საქართველოს ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოს რესპუბლიკა

გამოდის 1990 წლის დეკემბრიდან. №294 (2994) ხუთშაბათი, 12 ნოემბერი, 1998 წელი. ფასი 40 თეთრი, თბილისს გარეთ – 45 თეთრი.

კანონმდებლები

საქართველოს საშინაო საქმეებში ჩარევის კიდევ ერთი მცდელობა

ამ დღეებში რუსეთის ფედერაციის ფედერალური კრების სახელმწიფო სათათბირომ მიიღო მიმართვა რუსეთის ფედერაციის მთავრობისადმი „რუსეთის ფედერაციის მიერ აფხაზეთის მოსახლეობისათვის ჰუმანიტარული და სხვა სახის დახმარებისათვის სასაზღვრო პუნქტ ფსოუზე სამართლებრივი და სატრანსპორტო პირობების გაუმჯობესების ღონისძიებათა შესახებ“.

აღნიშნულ მიმართვას უპასუხისმგებლო უწოდა საქართველოს პარლამენტის საგარეო ურთიერთობათა კომიტეტის თავმჯდომარემ კახა ჩიტაიამ. ეს მიმართვა ხელს ვერანაირად ვერ შეუწყობს საქართველო – რუსეთს შორის ურთიერთობის გაუმჯობესებას. ვინაიდან, მომავალი ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით არ იმართება პარლამენტის პლენარული სხდომები, პარლამენტის ხელმძღვანელობასთან შეთანხმებით საგარეო ურთიერთობათა კომიტეტმა 11 ნოემბერს გააკეთა საქართველოს პარლამენტის განცხადება ზემოაღნიშნულ მიმართვასთან დაკავშირებით.

საქართველოს პარლამენტი გამოთქვამს შეშფოთებას რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს ა. წ. 4 ნოემბრის მიმართვასთან დაკავშირებით, რომლის მიხედვითაც რუსეთის ფედერაციის მთავრობამ უნდა უზრუნველყოს აფხაზეთში ჰუმანიტარულ ტვირთებთან ერთად „აფხაზეთის ეკონომიკის განვითარებისათვის საჭირო ტვირთებისა და საქონლის გატარება“ და მოახდინოს სამთავრობათშორისო შეთანხმების ინიცირება ადლერსა და გაგრის სადგურებს შორის სარკინიგზო კავშირის აღდგენის შესახებ.

მიმართვა ეწინააღმდეგება თანამეგობრობის ქვეყნების სახელმწიფოს მეთაურთა ალმათის, მინსკისა და მოსკოვის შეხვედრებზე მიღებულ დოკუმენტებს, რომლის მიხედვითაც იკრძალება საქართველოს ხელისუფლებასთან შეუთანხმებლად აფხაზეთის სეპარატისტულ რეჟიმთან პოლიტიკური, საფინანსო-სავაჭრო და სხვა სახის ურთიერთობის დამყარება. რაც შეეხება ჰუმანიტარულ დახმარებას აფხაზეთისათვის, საქართველო არასდროს ყოფილა ამის წინააღმდეგი, თუ დახმარების გაწევა საქართველოს მთავრობასთან შეთანხმებით ხდება.

აღნიშნული მიმართვა კახა ჩიტაიას განცხადებით, არის საქართველოს სუვერენული სახელმწიფოს შინაურ საქმეებში უხეში ჩარევის მაგალითი. ეს აღმაშფოთებელია განსაკუთრებით ახლა, როდესაც ქართულ-აფხაზური კონფლიქტის პოლიტიკური მოგვარების გზები უკვე გამოიკვეთა და ამ მიმართულებით, გარკვეული ნაბიჯებიც გადაიდგა, სახელმწიფო სათათბიროს მოთხოვნამ შესაძლოა უარყოფითი გავლენა მოახდინოს საქართველოს პრეზიდენტისა და აფხაზთა ლიდერის დაგეგმილ შეხვედრაზე და მთლიანად სამშვიდობო პროცესზე.

საქინფორმი.

პრეზიდენტი

მილიონი წითელი ვარდი ალა პუგაჩოვასთვის

11 ნოემბერს საქართველოს პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ მიიღო თბილისში მყოფი რუსეთის ესტრადის სახელგანთქმული და ლეგენდარული ვარსკვლავი ალა პუგაჩოვა, რომელმაც ერთადერთი სოლო კონცერტი 10 ნოემბერს სპორტის სასახლეში გამართა.

საქართველოს პრეზიდენტის პრესსამსახური – საქინფორმი.

სურათზე: ალა პუგაჩოვა და ნანი ბრეგვაძე საქართველოს პრეზიდენტთან მიღებისას.

საქინფორმის ფოტოქრონიკა.

დაჯილდოება

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 5 ნოემბერი ქ. თბილისი

მ. გაგუას III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით დაჯილდოების შესახებ

საქართველოს სასაზღვრო ძალების აღმშენებლობაში შეტანილი პირადი წვლილისა და სახელმწიფო საზღვრის დაცვის თანამედროვე ელექტრონული სისტემის პროექტის დამუშავების ორგანიზაციაში გამოვლენილი მაღალი პროფესიონალიზმისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალების განვითარების სამმართველოს უფროსი, პოლკოვნიკი **მალხაზ გაგუა** დაჯილდოვდეს III ხარისხის ვახტანგ გორგასლის ორდენით.

ე. შევარდნაძე.

საქართველოს პრეზიდენტის
განკარგულება

1998 წლის 5 ნოემბერი ქ. თბილისი

ა. გორგოშიძის ღირსების მედლით დაჯილდოების შესახებ

სახელმწიფო საზღვრის დაცვის თანამედროვე ელექტრონული სისტემის პროექტის შექმნაში შეტანილი პირადი წვლილისა და ნაყოფიერი სამეცნიერო მოღვაწეობისათვის საქართველოს სახელმწიფო საზღვრის დაცვის სახელმწიფო დეპარტამენტის სასაზღვრო ძალების განვითარების სამმართველოს სამეცნიერო, სამხედრო-ტექნიკური განყოფილების უფროსი, ტექნიკის მეცნიერებათა კანდიდატი **ანატოლი გორგოშიძე** დაჯილდოვდეს ღირსების მედლით.

ე. შევარდნაძე.

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

განისაზღვრა საბიუჯეტო კრიზისის დაძლევის გადაუდებელი ღონისძიებანი

მიმდინარე წლის დამდეგიდან საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულებაში ღრმა კრიზისის დაძლევის გადაუდებელი ღონისძიებანი განისაზღვრა 11 ნოემბერს გამართულ ფინანსური სტაბილიზაციის საგანგებო სამთავრობო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე, რომელიც მიმდინარეობდა ქვეყნის პრეზიდენტის ედუარდ შევარდნაძის თავმჯდომარეობით. სხდომაში მონაწილეობდნენ მთავრობის წევრები და პარლამენტის კომიტეტების თავმჯდომარეები, სამინისტროთა და უწყებათა ხელმძღვანელები, სამხარეო ადმინისტრაციათა მეთაურები, მასობრივი ინფორმაციის საშუალებათა წარმომადგენლები.

მოხსენება გააკეთა სახელმწიფო მინისტრმა ვაჟა ლორთქიფანიძემ **(ქვეყნდება გაზეთის დღევანდელ ნომერში).**

პრინციპული სჯა-ბაასი ქვეყნის იმ მძიმე ვითარებიდან გამოყვანის კონკრეტული გზებისა და საშუალებების შესახებ, რომელშიც იგი აღმოჩნდა როგორც ობიექტური, ისე სუბიექტური მიზეზების გამო, გაგრძელდა ფინანსთა მინისტრის მიხეილ ჭკუასელის, ეკონომიკის მინისტრის ვლადიმერ პაპავას, ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ირაკლი მანაგაძის, სახელმწიფო საგადასახადო და საბაჟო დეპარტამენტების თავმჯდომარეთა მიხეილ ჩიკვილაძისა და თამაზ მალაკელიძის, სხდომის სხვა მონაწილეთა გამოსვლებში.

სხდომის შედეგები შეაჯამა ქვეყნის პრეზიდენტმა ედუარდ შევარდნაძემ.

(დაწვრილებითი ანგარიში გამოქვეყნდება).

საქინფორმი.

ზეინაბ ბარნაველის ფოტო (საქინფორმის ფოტოქრონიკა).

უდიდესი რეზერვებისა და რესურსების ამოქმედებით ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდება

საქართველოს სახელმწიფო მინისტრის ვაჟა ლორთქიფანიძის მოხსენება ფინანსური სტაბილიზაციის საგანგებო სამთავრობო კომისიის გაფართოებულ სხდომაზე

1998 წლის მეორე ნახევრიდან საქართველოში მეტად რთული საფინანსო-ეკონომიკური სიტუაცია შეიქმნა. ღრმა და გაბედული რეფორმების, ეკონომიკური ზრდისა და სტრუქტურული გარდაქმნების ტენდენციებს, რომლებიც მკვეთრად არის გამოხატული უკანასკნელი სამი-ოთხი წლის მანძილზე, დაუპირისპირდა არახელსაყრელ ფაქტორთა მთელი რიგი. ამასთან, თუ სამხრეთ-აღმოსავლეთ აზიასა და ლათინურ ამერიკაში განვითარებული ფინანსური კრიზისის ექო ძალზე შორეულად შეგვეხო, მეზობელ და ეკონომიკურად მრავალმხრივად დაკავშირებულ რუსეთში მომხდარმა ფინანსურმა კატასტროფამ საგრძნობლად შეარყია ჩვენი საფინანსო-საბიუჯეტო სტრუქტურა.

მეტ-ნაკლებად მდგრადი აღმოჩნდა საქართველოს ფულად-საბანკო სისტემა, რომელმაც გარედან ინიცირებული მძლავრი დარტყმა ლარის გასაცვლელი კურსის არც თუ ისე მნიშვნელოვანი დაწევით-გადაიტანა (მართალია, საერთაშორისო რეზერვების მნიშვნელოვანი დანახარჯებით). სამაგიეროდ, კრიზისული ვითარება შეიქმნა საბიუჯეტო სფეროში, სადაც ერთბაშად იჩინა თავი საგადასახადო სისტემისა და პოლიტიკის ნაკლოვანებებმა: საგადასახადო ადმინისტრაციის სისუსტემ, გაუმართლებელმა შეღავათებმა ამა თუ იმ დარგის დაბეგვრაში, დაფინანსების პრიორიტეტების დაუცველობამ.

აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ მძიმე საბიუჯეტო-საგადასახადო ვითარების მიუხედავად საქმე არა გვაქვს ეკონომიკურ და სისტემურ კრიზისთან. ეკონომიკური ზრდა კვლავ გრძელდება. წლევანდელ 9 თვეში მთლიანი შიდა პროდუქტის მოცულობამ შარშანდელთან შედარებით 7,3 პროცენტით მოიმატა. იმავე პერიოდში დასაქმების საერთო სურათი არ გაუარესებულა. ამავე დროს შარშანდელი ინფლაციის დაბალი ტემპის ნაცვლად (4,4 პროცენტი), ქვეყანაში ადგილი აქვს დეფლაციას. 10 თვის მანძილზე სამომხმარებლო ფასები 2,3 პროცენტით შემცირდა, რაც ანტიინფლაციურ მონეტარულ პოლიტიკასთან ერთად გამოწვეული უხელფასობის და პენსიების გაუცემლობის გამო, გამოწვეულია მოხმარების შეზღუდვითაც. ეს, ცხადია, უარყოფითად მოქმედებს წარმოების განვითარებაზეც.

იხ. მე – 2 გვ.

გვწერენ

გავიდა წელიწადი და სამი თვე...

მოხდა დანაშაული, რამაც მორალურად გააჩანაგა ჯაყელების ოჯახი

1997 წლის 13 ივლისს, ღამით, როდესაც ჩემი ვაჟი – დავით ჯაყელი და მისი მეგობარი – ლაშა სულაბერიძე ამხანაგის დედის პანაშვიდიდან შინ ბრუნდებოდნენ, მელიქიშვილის ქუჩაზე 0 საათსა და 20 წუთზე ბულგარელმა – საშა (ალექსანდრე) მარინოვმა, რომელიც მთვრალი იყო, ვერ დაიმორჩილა გადაჭარბებული სიჩქარით მოძრავი სამსახურებრივი მანქანა, გადავიდა საწინააღმდეგო მხარის სავალ ნაწილზე და იმსხვერპლა ორი ახალგაზრდის სიცოცხლე. ოჯახს ამის შესახებ გვიან ღამით, 03 საათზე შეგვატყობინეს, მანამდე კი მარინოვი არ დაემორჩილა სამართალდამცავ ორგანოთა წარმომადგენლებს, და იმ მოტივით, რომ იგი უცხო ქვეყნიდან ჩამოსული, ხელშეუხებელი, ე. ი. იმუნიტეტის მქონე პიროვნება იყო, უარი თქვა, გაჰყოლოდა მათ სიმთვრალის ხარისხის დასადგენად ნარკოლოგიის დისპანსერში.

გაზეთების საშუალებით ვგებულობთ, რომ ამ საქმეში ჩაერთვნენ ქვეყნის პროკურატურა, ქალაქის პროკურორი ნუგზარ გაბრიჩიძე, რომელმაც გაზეთ „საქართველოს რესპუბლიკაში“ მიუთითა, თუ როგორ ცლიდა ჭიქას ჭიქაზე სასტუმრო „მეტეხში“ ალექსანდრე მარინოვი. ეს ვიდეო კასეტებზეც არის აღბეჭდილი.

საგარეო საქმეთა სამინისტრო, კერძოდ, მინისტრის მოადგილე მალხაზ კაკაბაძე, ნოტას ნოტაზე გზავნიდა ჟენევაში, რათა მოეხსნათ მარინოვისთვის იმუნიტეტი, მაგრამ ამაოდ. ასეა დღემდე, წაყრუების პოლიტიკა აშკარაა. უფრო მეტიც, „გარიგობანაც“ კი დაგვწამეს ოჯახს, რომელსაც დათო ჯაყელისაგან დარჩა სამი მცირეწლოვანი შვილი – გოგონა – 9 წლის, ერთი ვაჟი – 8 წლის და მეორე ორი წლის. გავიდა ერთი წელიწადი და სამი თვე.

არადა, როდემდე უნდა გვაფურთხოს სულში მთელ საქართველოს და პირადად ჩვენს ოჯახებს „წითელი ჯვრისა და ნახევარმთვარის“ საზოგადოებამ? ამის თაობაზე ვისმენთ ბატონ გურამ შარაძის გამოსვლებს პარლამენტში, ვკითხულობთ პრესაში, მაგრამ, მათი ხმა რჩება „ხმად მღაღადებლისა უდაბნოსა შინა“. თუმცა, პარლამენტის თავმჯდომარემ პარლამენტის მსჯელობის დროს აღნიშნა, რომ არავის არა აქვს მიცემული სიკვდილის ლიცენზია.

მე, როგორც მშობელი მოვითხოვ: ჩამოიყვანონ მარინოვი საქართველოში, გასამართლდეს სსკ-ის 241-ე მუხლის მე-4 პუნქტით და აგვინაზღაურდეს მორალური ზარალი (და არა ის კაპიკები, რაც მათ გაიღეს), რათა ობლად დარჩენილი ბავშვები ნორმალურ პირობებში გაიზარდონ.

სულიკო ჯაყელი.

აქტუალური ინტერვიუ

უსინდისობასთან კომპრომისი დაუშვებელია

იუსტიციის მინისტრი ლადო ჭანტურია საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების, „რეფორმის მამების“ პოზიციის და სადღეისო სახელმწიფოებრივი პრობლემების შესახებ

– ბატონო ლადო! საკონსტიტუციო სასამართლოს 3 ნოემბრის გადაწყვეტილების გამო აჟიოტაჟი არა და არ წყდება. ამ ფაქტის ირგვლივ თითქმის ყველაფერი ითქვა, დაიწერა, გამოქვეყნდა, მაგრამ, მაინც ხომ არ გვეტყოდით რაიმე ახალს, თქვენთვის და საზოგადოებისთვის მოულოდნელს?

– ჩემთვის, როგორც ადამიანისთვის, როგორც იუსტიციის მინისტრისთვის და იურისტისთვის მოულოდნელი სწორედ ის იყო, რომ საკონსტიტუციო სასამართლომ, რომელიც სასამართლო რეფორმების შედეგად დაიბადა, მიიღო ამ რეფორმების საწინააღმდეგო გადაწყვეტილება! საკონსტიტუციო სასამართლოს, რომელიც ამ რეფორმების განხორციელების ავანგარდში უნდა იყოს, საკუთარი გადაწყვეტილება, ჩემის აზრით, სამომავლოდ საკმაოდ მძიმე ტვირთად დააწვება.

იხ. მე – 4 გვ.

> იუსტიციის საბჭო უკომპრომისოა მოქმედი მოსამართლეების მიმართ, – ვინც წესრიგს, ეთიკის ნორმებს არღვევს, ვინც უდიერად ეპყრობა მოქალაქეებს. სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენ არ მივცემთ შესაძლებლობას ბოროტად გამოიყენონ თანამდებობით მინიჭებული უფლებები.

ინფორმაცია

სამართალდამცავებს კიდევ 6 ამბოხებული ჩაბარდა

სენაკში მიმდინარე წლის 19 ოქტომბრის სამხედრო ამბოხების კიდევ ექვსი მონაწილე გამოცხადდა და საკუთარი ნებით ჩაბარდა სამართალდამცავებს, – უთხრა პრაიმ-ნიუსს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილემ თემურ მურღულიამ.

მისი თქმით, ამ ხალხს შეფარდებული აქვთ აღკვეთი ღონისძიება გაუსვლელობის ხელწერილით. ამჟამად მიმდინარეობს საკმაოდ სერიოზული მუშაობა, ამბოხებულთა ორგანიზატორების დასაკავებლად. კონკრეტული ღონისძიებების დასახელებისაგან კი შს მინისტრის მოადგილე გამოძიების ინტერესებიდან გამომდინარე თავს იკავებს.

მურღულიას თქმით, ამჟამად სამეგრელოს რეგიონში სრული სიმშვიდეა და მდგომარეობა კონტროლს ექვემდებარება.

ზურაბ ჟვანია დაეთანხმა საქართველოს ომბუცმენს

სააგენტო იბერიას კორესპონდენტს საქართველოს პარლამენტის იურიდიული კომიტეტიდან აცნობეს, რომ საქართველოს პარლამენტის თავმჯდომარე ზურაბ ჟვანია დაეთანხმა საქართველოს სახალხო დამცველის – ომბუცმენის დავით სალარიძის თხოვნას, დაიწყოს 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის ცნობილი მოვლენების გამოძიება და შესაბამისი რეკომენდაციაც მისცა იურიდიულ კომიტეტს, შეუდგეს მასალების შეგროვებას პარლამენტის მიერ ამ მოვლენათა შეფასებისათვის. თუმცა, ზურაბ ჟვანიას აზრით, აუცილებლად უნდა შეფასდეს არა მხოლოდ 1991-92 წლების დეკემბერ-იანვრის მოვლენები და ძალადობის ფაქტები, არამედ ყველა ის პროცესი, რომლებიც მათ წინ უძღოდა.

„ბიზნესის წარმოება საქართველოში“

16-17 ნოემბერს ლონდონის სასტუმრო „ჰილტონი“ დიდ ბრიტანეთში საქართველოს საელჩოს მიერ ორგანიზებულ საერთაშორისო კონფერენციას – „ბიზნესის წარმოება საქართველოში“ უმასპინძლებს.

დიდ ბრიტანეთში ვიზიტისას საქართველოს დელეგაციას სახელმწიფო მინისტრი ვაჟა ლორთქიფანიძე უხელმძღვანელებს. დელეგაციის შემადგენლობაში სათბობ-ენერგეტიკის, ტრანსპორტის, კავშირგაბმულობისა და ფოსტის, სახელმწიფო ქონების მართვის, სოფლის მეურნეობისა და სურსათის მინისტრები, ეროვნული ბანკის პრეზიდენტი, ბათუმისა და ფოთის ნავსადგურების ხელმძღვანელები, „საქართველოს ბანკის“ პრეზიდენტი იქნებიან. ისინი კონფერენციაზე, რომელსაც სხვადასხვა ქვეყნის 300-მდე ფირმის წარმომადგენლები დაესწრებიან, საქართველოში ენერგეტიკის, კავშირგაბმულობისა და სხვა დარგების პრივატიზების სტრატეგიის, საბანკო და სავალუტო სექტორში მიმდინარე რეფორმების, სატრანსპორტო პროექტების ფინანსირების შესახებ ინფორმაციას წარადგენენ.

ინფორმაციები მოგვაწოდეს: იბერიამ, ბეამ, პრაიმ-ნიუსმა.

უკანასკნელ საათს

გუშინ რუსეთელმა კომუნისტებმა ორი დოკუმენტი გაავრცელეს. პირველით, ფაქტობრივად, მხარი დაუჭირეს თანაპარტიული გენერლის ალბერტ მაკაშოვის ანტისემიტურ გამოსვლას, მეორეთი კი გენადი ზიუგანოვმა პრემიერ ევგენი პრიმაკოვს მიმართა, პრესის თავისუფლების შეზღუდვის მოთხოვნით.

იაპონიის პრემიერ-მინისტრი კეიძო ობუჩი გუშინ მოსკოვში ოფიციალურ ვიზიტად ჩავიდა. განიხილავენ კურილიის კუნძულების იაპონიისთვის გადაცემის საკითხს.

გუშინ გაეროს უკანასკნელმა დამკვირვებელმა დატოვა ერაყი. აშშ განცხადებით, თუ სადამ ჰუსეინი გონს არ მოეგება, ერაყის მიმართ სამხედრო ძალას გამოიყენებენ.

გუშინ კრასნოიარსკიდან 25 კილომეტრის დაშორებით აფრენიდან 4 წუთის შემდეგ კატასტროფა განიცადა АН -12 ტიპის სამგზავრო თვითმფრინავმა. დაიღუპა ეკიპაჟის 7 წევრი და 6 მგზავრი.

ფინანსები

ლარის კურსი

საქართველოს ეროვნულმა ბანკმა 1998 წლის 12 ნოემბრისათვის დაადგინა ლარის მიმართ უცხოური ვალუტის შემდეგი კურსები:

გირვანქა სტერლინგი	1	2.3859	ლარი
გერმანული მარკა	1	0.8566	ლარი
აშშ დოლარი	1	1.4400	ლარი
ფრანგული ფრანკი	1	0.2554	ლარი
თურქული ლირა	10,000	0.0489	ლარი
რუსული რუბლი	1	0.0892	ლარი

დღეს

ამინდი



დასავლეთ საქართველოში
ღრუბლიანი ამინდი, უნალექოდ.
აღმოსავლეთის ქარი 10-15 მ/წ.
დაბლობში: ღამით +1+6;
დღისით +11+16.
მთაში: ღამით 0-5;
დღისით +5+10.
მაღალ მთაში: ღამით -4-9;
დღისით 0+5.

აღმოსავლეთ საქართველოში
ცვალებადი მოღრუბლულობა, ზოგან ნალექი, მთებში თოვლი, ნისლი.
ბარში: ღამით -2+3;
დღისით +5+10;
მთაში: ღამით 0-5;
დღისით +1+6.
მაღალ მთაში: ღამით -5-10;
დღისით -2+3.

თბილისში
ცვალებადი მოღრუბლულობა, მცირე წვიმა, დილით ნისლი. სუსტი ქარი.
ღამით +1+3;
დღისით +7+9.

საქართველოს ჰიდრომეტცენტრი.

საბაჟო

ბიუჯეტში შეიტანეს

გუშინდელი ოპერატიული ინფორმაციით ადგილობრივი საბაჟო ორგანოებიდან ბიუჯეტში შეტანილია 3 278,3 ათასი ლარი. დღის საბიუჯეტო შემოსავლებმა შეადგინა 320,2 ათასი ლარი.

საბაჟო დეპარტამენტის ოპერატიულმა სამსახურმა გამოავლინა საბაჟო წესების დარღვევის 3 ფაქტი. მოკვლევის პროცესში ბიუჯეტის სასარგებლოდ დამატებით მოქცეულია 2174 ლარი.

აგარის საბაჟო მიმღებ-განმანაწილებელში შემოწმების მიზნით შეყვანილი იქნა აჭარის რეგიონიდან მომავალი სამგზავრო ავტობუსი „იკარუსი“ დატვირთული 242 ყუთი იმპორტული წარმოების საავტომობილო ზეთებით, რომელზეც ვერ იქნა წარმოდგენილი ტვირთის იმპორტის საბაჟო გაფორმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

აგარის საბაჟო მიმღებ-განმანაწილებელში შესამოწმებლად შეიყვანეს ბათუმიდან მომავალი „კამაზის“ მარკის სატვირთო ავტომანქანა დატვირთული 15 ტონა ფქვილით, რომელზეც წარმოდგენილი იქნა ტვირთის იმპორტის საბაჟო გაფორმების არასრულყოფილი დოკუმენტაცია.

აგარის საბაჟო მიმღებ-განმანაწილებელში შემოწმების მიზნით შეყვანილი იქნა თურქეთიდან მომავალი „მერსედესის“ მარკის ავტობუსი, დატვირთული 50 ყუთი ასლის გადასაღები ქაღალდით, რომელზეც ვერ იქნა წარმოდგენილი ტვირთის საქართველოში იმპორტის საბაჟო გაფორმების დამადასტურებელი დოკუმენტაცია.

მიმდინარეობს მოკვლევა.

გაზეთის გენერალური სპონსორია საქართველოს ნავთობის საერთაშორისო კორპორაცია

აღმასრულებელი ხელისუფლება მუშაობს

უდიდესი რეზერვებისა და რესურსების ამოქმედებით ქვეყნის ეკონომიკური და ფინანსური მდგომარეობა რადიკალურად გაუმჯობესდება

(პირველი გვერდიდან)

წინასწარი მონაცემებით, 10 თვეში მრეწველობის პროდუქციის მატებამ მხოლოდ 101,1 პროცენტი შეადგინა, რაც შიდა პროდუქტის ტემპზე 6,2 პროცენტული პუნქტით ნაკლებია (ეს ერთგვარი წინგადადგმული ნაბიჯია ბოლო თვეში, თორემ 9 თვის მონაცემებით, ადგილი ჰქონდა წარმოების მოცულობის დაცემას 1,2 პროცენტით). აღნიშნული მდგომარეობის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორია უმოქმედო სამრეწველო საწარმოთა დიდი ხვედრითი წილი. მათმა რაოდენობამ სექტემბერში 872-ს მიაღწია, რაც მოქმედი სამრეწველო საწარმოების 29,2 პროცენტს შეადგენს. უმოქმედო სამრეწველო საწარმოთა მაღალი ხვედრითი წილით ხასიათდება ქ. თბილისი (35,5 პროცენტი) და ქვემო ქართლი (32,4 პროცენტი), რომელთა ხვედრითი წილი სამრეწველო პროდუქციის მთელ მოცულობაში ნახევარზე მეტია (53,4 პროცენტი). ასევე მაღალი ხვედრითი წილი აქვთ უმოქმედო საწარმოებს აჭარაში, კახეთსა და სხვა რეგიონებში.

პროდუქციის 100 მნიშვნელობის სახეობიდან ამ პერიოდისათვის წარმოების ზრდა აღინიშნებოდა 33 სახეობის მიხედვით, პროდუქციის წარმოება შემცირდა 44 სახეობის მიხედვით, ხოლო 23 სახეობის პროდუქცია საერთოდ არ წარმოებულა.

ქვეყნის მრეწველობის 3 ათასამდე საწარმოს მიერ წარმოებული პროდუქციის ნახევარზე მეტი მოდის 52 მსხვილ საწარმოზე, რომლებიც განსაზღვრავენ მრეწველობის წარმოების ზრდის ტემპებს. მათ მიერ წარმოებული საქონლისა და მომსახურების მოცულობა 287,9 მლნ ლარს შეადგენს შესადარ ფასებში, ანუ მთელი სამრეწველო პროდუქციის 51,4 პროცენტს შეადგენს.

მოტანილი ფაქტები მიუთითებს იმაზე, რომ ჩვენს საწარმოებში, უწინარეს ყოვლისა, მსხვილ სამრეწველო ობიექტებზე რესტრუქტურიზაციის პროცესები არ მიმდინარეობს დღევანდელი საბაზრო ეკონომიკის მოთხოვნების შესაბამისად, სტრატეგიული ინვესტორების შერჩევის საკითხებში დაშვებულ იქნა მთელი რიგი ხარვეზები. ჩვენი აზრით, კერძოდ, ეს ეხება სააქციო საზოგადოება „ჭიათურმანგანუმის“, რუსთავის მეტალურგიული კომბინატის, „აზოტის“ და სხვა საწარმოებს.

არადა მსხვილი სამრეწველო საწარმოს გამართული მუშაობა ქვეყნისთვის მრავალი პრობლემის გადაწყვეტის მნიშვნელოვანი ფაქტორია. კვების მრეწველობის საწარმოებმა დიდ ნაწილში ვერ დაიბრუნეს ტრადიციული ბაზრები – მათ ადგილს იჭერს საზღვარგარეთის ზოგიერთ ქვეყნებში წარმოებული ფალსიფიცირებული პროდუქცია. რუსეთში მიმდინარე კრიზისულმა მოვლენებმა კიდევ უფრო შეზღუდეს საქართველოს საექსპორტო ბაზარი. ამ მიზეზებმა უარყოფითი გავლენა მოახდინა ექსპორტ-იმპორტის ბალანსზეც. თუ მიმდინარე წლის 6 თვეში საგარეო ვაჭრობის უარყოფითმა სალდომ 434,2 მლნ ლარი შეადგინა, 9 თვეში ეს მაჩვენებელი 567,6 მლნ ლარის დონეზე დაფიქსირდა, ხოლო 10 თვეში 655,2 მლნ ლარი შეადგინა. ეს დიდ პრობლემებს ქმნის ქვეყნის საგადამხდელო ბალანსში. რომ არა საერთაშორისო საფინანსო ორგანიზაციების დახმარება, ცხადია, ჩვენ ლარის კურსის მეტნაკლებ სტაბილურობას ვერ შევინარჩუნებდით. პროგრამის შეუსრულებლობა განაპირობა SAC-II ტრანშისა და ევროგაერთიანებიდან გრანტის მიუღებლობამაც, ასევე, აგვისტოსა და სექტემბერში რუსეთის კრიზისის გავლენით საქართველოს სავალუტო ბაზარზე უცხოურ ვალუტაზე მოთხოვნილების ზრდამ და შესაბამისად თბილისის ბანკთაშორის სავალუტო ბირჟაზე ეროვნული ბანკის ინტერვენციების გადიდებამ.

სექტემბერში შეიქმნა სავალდებულო რეზერვების ნორმის 12-16 პროცენტამდე გაზრდის აუცილებლობა. შედეგად, სავალდებულო რეზერვების მოცულობამ 1 ნოემბრის მდგომარეობით, შეადგინა 22,6 მლნ ლარი. მიმდინარე წლის 10 თვეში გარკვეული სამუშაოებია ჩატარებული ფულად-საკრედიტო რეგულირების დამატებითი ინსტრუმენტების აქტიურად გამოყენების კუთხით. კერძოდ, შემუშავდა და დამტკიცდა სახაზინო ვალდებულებების უზრუნველყოფით ლომბარდული კრედიტების გაცემის წესები, ხოლო სახაზინო ვალდებულებების მეშვეობით რეპოოპერაციების განხორციელების შესახებ დებულება წარდგენილია დასამტკიცებლად. სამწუხაროდ, ამ ინსტრუმენტების გამოყენების შესაძლებლობა მინიმუმამდე არის დასული იმის გამო, რომ, ჩვენი აზრით, სახაზინო ვალდებულებების გამოშვებისა და განთავსების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებებია.

მიმდინარე წლის 10 თვის შედეგებმა გვიჩვენა, რომ არადამაკმაყოფილებელმა ფისკალურმა პოლიტიკამ, ჩრდილოვანი ეკონომიკის დიდმა მასშტაბებმა განაპირობა ლარის კურსისა და სავალუტო რეზერვების შემცირება.

სამწუხაროდ, კიდევ ერთხელ გვიხდება კონსტატაცია იმისა, რომ ქვეყნის საფინანსო სისტემაში შექმნილი მდგომარეობა რთულია. წლის ბოლომდე დარჩენილია ორ თვეზე ნაკლები, ხოლო საქართველოს სახელმწიფო ბიუჯეტი 10 თვის წინასწარი მონაცემებით, მხოლოდ 76 პროცენტითაა შესრულებული, ხოლო წლის გეგმა – 62 პროცენტით. იზრდება გარღვევა, რომელმაც 160 მლნ ლარს მიაღწია. აქედან 100 მლნ ლარი საგადასახადო შემოსავლების მიხედვით არსებულ ჩამორჩენაზე მოდის.

შესაბამისად, ვერ სრულდება ბიუჯეტის ვალდებულებები ხელფასების, პენსიების, სოციალური გასაცემლების ნაწილში. საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის სალაროს ხარჯებმა შეადგინა 530,2 მლნ ლარი, რაც გეგმით გათვალისწინებული მოცულობის (653,1 მლნ ლარი) მხოლოდ 81 პროცენტია. ჯანდაცვის სფერო დაფინანსებულია მხოლოდ 56 პროცენტით, განათლება – 80, სოფლის მეურნეობა კი – 59 პროცენტით.

საქართველოს მასშტაბით საბიუჯეტო სფეროში ხელფასების დავალიანებამ 12 მლნ ლარს, მათ შორის, პედაგოგთა ხელფასების – 7 მლნ ლარს მიაღწია, გაუცემელი პენსიების ოდენობამ კი 48 მლნ ლარს გადააჭარბა. მართალია, შექმნილ რთულ მდგომარეობაზე პასუხისმგებლობა ფინანსთა სამინისტროსთან ერთად ადგილობრივი მმართველობის ორგანოებმაც უნდა გაიზიარონ, მაგრამ პრობლემის სათავეები მაინც სახელმწიფო ბიუჯეტის ქრონიკულსა და მზარდ შეუსრულებლობაში უნდა ვეძებოთ.

როდესაც ბიუჯეტის დაცული მუხლების დაფინანსება ესოდენ დაბალად მიმდინარეობს, სხვა სახის ხარჯების სრულფასოვან დაფინანსებაზე, მათ შორის, ინვესტიციურ ხარჯებზე, სამწუხაროდ, საუბარიც კი ზედმეტია.

მერამდენედ გვიხდება იმის გამეორება, რომ განსაკუთრებით არასახარბიელო მდგომარეობაა შექმნილი საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის სფეროში და საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის უზრუნველსაყოფად საჭიროა ყველა ძალის კონცენტრაცია. საანგარიშო პერიოდში, დაზუსტებული მონაცემებით, საგადასახადო დეპარტამენტის მიერ მობილიზებულია 265 მლნ ლარამდე შემოსავალი, რაც 10 თვის გეგმის (322,5 მლნ ლარი) 82 პროცენტია. მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის გეგმის შესრულება, საგადასახადო ინსპექციის მონაცემებით, უზრუნველყოფილია მხოლოდ 80 პროცენტით; ნაცვლად 170 მლნ ლარისა, ცენტრალურ ბიუჯეტში გადარიცხულია 136 მლნ ლარი.

რაც შეეხება საბაჟო დეპარტამენტს, მის მიერ მთლიანად მობილიზებულია 175,3 მლნ ლარის შემოსავალი, რაც 10 თვის საგეგმო დავალების (220 მლნ ლარი) მხოლოდ 80 პროცენტს შეადგენს, მათ შორის, ცენტრალური ბიუჯეტის 10 თვის გეგმა საბაჟო დეპარტამენტის მიერ 71,3 პროცენტითაა შესრულებული და 210,3 მლნ ლარის ნაცვლად, 150 მლნ ლარია გადარიცხული.

საანგარიშო პერიოდში ბიუჯეტის დავალებათა შეუსრულებლობაზე პასუხისმგებლობა საფინანსო ორგანოებთან ერთად ადგილობრივმა მმართველობამაც უნდა გაიზიაროს. კერძოდ, იანვარ-ოქტომბრის პერიოდში ვერ უზრუნველყვეს საგადასახადო შემოსავლების გეგმათა შესრულება ქ. თბილისის საგადასახადო ინსპექციამ (შესრულება – 84,4 პროცენტი), ასევე კახეთის (93,6 პროცენტი), იმერეთის (87,4 პროცენტი), სამეგრელოსა და ზემო სვანეთის (90,2 პროცენტი), ქვემო ქართლის (83,7 პროცენტი), გურიის (73,2 პროცენტი), სამცხე-ჯავახეთის (76,5 პროცენტი) მხარეებში. საგადასახადო შემოსავლების გეგმა შესრულებულია მხოლოდ აფხაზეთისა და აჭარის ავტონომიური რესპუბლიკების მიხედვით (შესაბამისად 130,5 და 120 პროცენტი), ასევე შიდა ქართლის (102,8 პროცენტი), მცხეთა-მთიანეთისა (100,2 პროცენტი) და რაჭა-ლეჩხუმის (103,6 პროცენტი) მხარეებში.

ასევე მძიმე მდგომარეობა შეიქმნა საანგარიშო პერიოდში ცენტრალური ბიუჯეტის საგადასახადო შემოსავალთა გეგმების შესრულების მხრივ. წინასწარი მონაცემებით, ცენტრალური ბიუჯეტის გეგმები ვერ შეასრულეს აჭარის ავტონომიურმა რესპუბლიკამ (შესრულება – 57,7 პროცენტი), ქ. თბილისმა (84 პროცენტი), იმერეთის (88,8 პროცენტი), სამეგრელოსა და ზემო სვანეთის (83,8 პროცენტი), ქვემო ქართლის (93,2 პროცენტი), გურიის (79,1 პროცენტი), სამცხე-ჯავახეთის (96,2 პროცენტი) მხარეებმა. განსაკუთრებული ჩამორჩენა აღინიშნა ქ. ჭიათურასა (შესრულება – 43 პროცენტი) და ქ. ფოთის (66,3 პროცენტი), ხარაგაულის (62,3 პროცენტი), მარტვილის (42,4 პროცენტი), მესტიის (67 პროცენტი), გარდაბნის (70 პროცენტი), ოზურგეთის (63,5 პროცენტი), ნინოწმინდის (50,8 პროცენტი), ახალგორის (56,2 პროცენტი), ლენტეხის (55 პროცენტი) რაიონებში.

მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიხედვით, 10 თვის გეგმა 74,7 პროცენტითაა შესრულებული. ამასთან, აღსანიშნავია ის სასიკეთო ძვრები, რომლებიც შეინიშნება აღნიშნული ინსტიტუტის მიხედვით. კერძოდ, თუ სექტემბერში მსხვილ გადამხდელთა ინსპექციის მიერ მობილიზებული იყო 7 მლნ ლარი, ანუ თვის გეგმის 68,6 პროცენტი, ოქტომბერში ამოღებულმა თანხამ 9 მლნ ლარი, ანუ გეგმის 84 პროცენტი შეადგინა.

საბიუჯეტო და, პირველ რიგში, საგადასახადო შემოსავლების მწვავე უკმარისობით განპირობებული კრიზისული მდგომარეობის გამოსასწორებლად, აუცილებელია არაორდინარული მიდგომების გამოყენება და რადიკალური ღონისძიებების განხორციელება. საგადასახადო შემოსავლების მობილიზაციის გაუმჯობესების კომისიის სხდომაზე შევიმუშავეთ და შემდგომ მთავრობის სხდომაზე განხილულ იქნა საბიუჯეტო ღონისძიებათა გაზრდის გადაუდებელი კონკრეტული ღონისძიებების პროგრამა, რომლის შექმნაშიც მრავალმა უწყებამ მიიღო მონაწილეობა. ამ დოკუმენტის სახით ჩამოყალიბდა ქვეყანაში არსებული საფინანსო კრიზისის დაძლევის გეგმა, სადაც მითითებულია კონკრეტული შემსრულებლებიც და ვადებიც. კერძოდ, უნდა მომზადდეს წინადადებები საგადასახადო სფეროში დაშვებულ სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის დანაშაულისათვის პასუხისმგებლობის გამკაცრებასთან დაკავშირებით სისხლის სამართლისა და ადმინისტრაციულ კოდექსში ცვლილებების შეტანის შესახებ. მთელი რიგი ღონისძიებანი ითვალისწინებს ფალსიფიცირებული საქონლის ბრუნვისა და კონტრაბანდული იმპორტის აღკვეთას, საბაჟო პროცედურების გამარტივებას და მათი ეფექტიანობის ამაღლებას, სხვადასხვა საგადასახადო შეღავათსამოფარებული არაკეთილსინდისიერი პირებისათვის ხელსაყრელი ნიადაგის გამოცლას, პრივატიზაციის პროცესის დაჩქარებას, დარგობრივი სამინისტროებისა და უწყებების საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის ხელშეწყობის პროცესში აქტიურად ჩართვას და სხვა.

პარლამენტის მიერ ახლადდამტკიცებულ კანონში გათვალისწინებულია პურის, მაკარონის პროდუქციისა და საქართველოში ხორბლისგან ფქვილის დაბეგვრის ჩვეულებრივ რეჟიმში მოქცევა, ანუ ხორბალზე დამატებული ღირებულების გადასახადის საერთო განაკვეთის შემოღება 20 პროცენტის ოდენობით, ნაცვლად არსებული 7 პროცენტისა.

მნიშვნელოვანი ფისკალური ეფექტია მოსალოდნელი აქციზის ნაწილში განსახორციელებელი ცვლილებების შედეგად. გამარტივდა აქციზური საქონლის ჩამონათვალი, მოხდა მისი მისადაგება სასაქონლო კოდების არსებულ სისტემასთან, ასევე ალკოჰოლური სასმელების დაბეგვრის განაკვეთების უნიფიცირება.

კანონში გათვალისწინებულია აქციზური მარკების შემოღების მექანიზმი, კერძოდ, აქციზის სრული გადახდა მოხდება აქციზური მარკების შეძენისას, რაც დაახლოებით 20 მლნ ლარის დამატებით ფისკალურ ეფექტს მოგვცემს.

განხორციელდა აქციზის განაკვეთის უნიფიცირება ნავთობპროდუქტებზე, კერძოდ, ბენზინზე და ასევე სხვა ნავთობპროდუქტებზე დაწესდა 60-პროცენტიანი აქციზი.

შეტანილია სხვა ცვლილებებიც, რომლებიც უზრუნველყოფს გარკვეულ ფისკალურ ეფექტს.

საკანონმდებლო სიახლეთა შესახებ

საბიუჯეტო შემოსავლების მობილიზაციის სამუშაო კომისიაზე ბოლო ორი თვის განმავლობაში მომზადდა და მთავრობის სხდომაზე განვიხილეთ შემდეგი კანონპროექტები: „სასაქონლო ბირჟებისა და საბირჟო ვაჭრობის შესახებ“, „პატენტის შესახებ“, „სასაქონლო ნიშნების შესახებ“, „სახელმწიფო შესყიდვის შესახებ“. ყველა ეს კანონპროექტი წარდგენილია პარლამენტში.

მომზადებულია კანონპროექტი „საგადასახადო სფეროში სამართალდარღვევათა და სისხლის სამართლის დანაშაულზე პასუხისმგებლობის გამკაცრების თაობაზე ცვლილებების შესახებ“. უნდა ვთხოვოთ იუსტიციის სამინისტროს, პირადად ბატონ ლადო ჭანტურიას დააჩქაროს ამ საკითხის ბოლომდე მიყვანა.

მზადდება „ფალსიფიცირებულ და არალიცენზირებულ პროდუქციაზე სანქციების გამკაცრების თაობაზე“ კანონპროექტი და საქართველოს პრეზიდენტის ბრძანებულების პროექტი „უკანონო ბრუნვაში არსებული კვების პროდუქტების კონფისკაციის უტილიზაციის გამოყენებისა და ამოღების წესის შესახებ“ და, ამ ბრძანებულებიდან გამომდინარე, კანონპროექტი „საქართველოს ადმინისტრაციულ სამართალდარღვევათა კოდექსში ცვლილებათა და დამატებათა შეტანის შესახებ“ და სხვა.

საყოველთაოდ ცნობილია, რომ ბიუჯეტის შესრულების პროცესი მისი ობიექტური და რეალური დაგეგმვით იწყება. ამ საკითხშიც ბევრი შეცდომაა დაშვებული და მანკიერი პრაქტიკა დამკვიდრდა. საქართველოს ფინანსთა სამინისტრო ხშირად საპროგნოზო დავალებებს ტერიტორიულ ერთეულებზე ისე ანაწილებს, რომ არც სამინისტრო და არც საგადასახადო დეპარტამენტი არ ფლობს ინფორმაციას რაიონში, ან ქალაქში არსებული დასაბეგრი ბაზის რეალური მოცულობის შესახებ. ეს კი, თავის მხრივ, სათანადო აღრიცხვის მოუწესრიგებლობის შედეგია. ხშირია ყოველთვიური საპროგნოზო დავალებების რამდენჯერმე შეცვლა, რაც გაუთავებელი დავისა და კამათის საგანი ხდება. საბოლოო ჯამში კი ქვეყნის ბიუჯეტი ზარალობს.

ვფიქრობთ, დღეისათვის ნათელია, რომ ფინანსთა სამინისტროს მიერ საგადასახადო შემოსავლების წლიური განწერა არასწორად მოხდა. I კვარტალი დაიგეგმა 70 მლნ შემოსავლების დონეზე, II კვარტალი თითქმის 100 მილიონზე, მესამე პირველთან შედარებით თითქმის ორჯერ მეტი, მეოთხე კი – სამჯერ მეტი. ასეთი არაპროპორციული განწერის პირობებში მივიღეთ უარყოფითი შედეგი – I კვარტალი შესრულდა 100 პროცენტით, უფრო მეტიც, 17 ქალაქმა და რაიონმა გადაჭარბებით შეასრულა გეგმა, ჭარბი შემოსავალიც მიიღო. ჭარბი თანხები თავისი შეხედულებით გადახარჯეს, შემდგომ პერიოდში კი ხელფასებისა და დაცული აუცილებელი მუხლების ანაზღაურებაც ვერ შეძლეს. ანალოგიური მცდარი განწერა და დაგეგმვა განხორციელდა თვეების მიხედვითაც. იანვარი დაიგეგმა 17 მლნ დონეზე, მაისი – ორჯერ მეტი, 33 მლნ-ზე, აგვისტო – 38 მლნ-ზე, ნოემბერი სამჯერ მეტი, 42 მლნ-ზე და ა. შ. 1998 წლის 10 თვეში 1997 წლის შესაბამისი პერიოდის ფაქტობრივ შესრულებასთან შედარებით საპროგნოზო დავალების მოცულობა გაზრდილია 1,6-ჯერ. ასეთ პირობებში 14 რაიონის საპროგნოზო მაჩვენებელი დაიგეგმა კლებით, რის გამოც მათმა დიდმა ნაწილმა გეგმები დიდი გადაჭარბებით შეასრულა. ასეთი მდგომარეობაა მცხეთაში, ხობში, წალენჯიხაში, ჩოხატაურში, დუშეთში, გორში, ხაშურში, ბაღდათში, საგარეჯოში და სხვა რაიონებში, სადაც საერთო გეგმები 104 პროცენტიდან 173,6 პროცენტამდე, ხოლო ცალკეულ სახეობებში 800 პროცენტამდე გადაჭარბებით შესრულდა. შედეგად, რიგ რაიონებში წლის პირველ 5 თვეში მიიღეს ჭარბი შემოსავლები, რომელთა მიზნობრიობა კანონით კი არა, ადგილობრივი ხელისუფლების შეხედულებით განისაზღვრა. საჭიროა ამ მოვლენისა და პროცესების კიდევ უფრო ღრმა გაანალიზება.

აღნიშნული მოვლენის საპირისპიროდ არის ფაქტები, როდესაც ქალაქებსა და რაიონებს შემოსავლების დავალებები განაწილებული აქვთ საშუალო ზრდის მაჩვენებელზე გაცილებით მეტი ოდენობით. კერძოდ, ცალკეულ რაიონებში დაგეგმილმა ზრდამ 150 პროცენტიდან 240 პროცენტამდე შეადგინა. ფაქტობრივად კი, ამ რაიონებში საბიუჯეტო შემოსავლების გეგმა მხოლოდ 40 -დან 80 პროცენტამდე შესრულდა.

გაკვირვებას იწვევს ის ფაქტი, რომ თუ იმერეთის მხარეში მეტ-ნაკლებად ხერხდება შემოსავლების მიახლოებითი პროგნოზული გათვლა, რატომ ვერ შეძლეს ეს სხვა რეგიონებში.

არ შეიძლება დაიგეგმოს ისე, რომ ლაგოდეხის რაიონს ჰქონდეს საგარეჯოს რაიონზე ორჯერ მეტი გეგმა. შედეგად, საგარეჯოში გეგმა დაძაბვის გარეშე 10 თვე 131 პროცენტით სრულდება, ხოლო ლაგოდეხში – 68 პროცენტით. ოქტომბერში საგარეჯომ გეგმა შეასრულა 701 პროცენტით, ლაგოდეხმა – მხოლოდ 12-ით.

არ შეიძლება ფაქტობრივ შესრულებაში ერთი და იგივე მაჩვენებელი ჰქონდეს სხვადასხვა სამრეწველო და ეკონომიკური შესაძლებლობების მქონე რაიონებს. 10 თვეში თითქმის ერთნაირი შემოსავლები მიიღეს მარტვილისა და მესტიის რაიონებში, ჩხოროწყუში – ორჯერ მეტი, წალენჯიხაში – 8-ჯერ მეტი და სხვა.

ოქტომბერში ერთნაირი გეგმა მიეცათ დმანისის, თეთრი წყაროს, ქარელის, ამბროლაურის, აბაშის, ლენტეხისა და საგარეჯოს რაიონებს.

შედეგი: ერთი რაიონი (საგარეჯო), ფაქტობრივად, გეგმას 700 პროცენტით ასრულებს, ხოლო მეორე (ლენტეხი) – 4,5 პროცენტით.

დაგეგმვის პროცესის სრულყოფას და საგადასახადო ინსპექციის მიერ რეზერვების გამოვლენას ხელს უშლის ის გარემოებაც, რომ არ აღირიცხება შემოსავლები დარგობრივ ჭრილში, უმნიშვნელოვანესი სახეობის პროდუქციის, აგრეთვე, ბანკების, სადაზღვევო კომპანიებისა და სხვათა მიხედვით. დარგობრივ ჭრილში შემოსავლების დაგეგმვა, მათი აღრიცხვა, კონტროლი აუცილებლად მოსაგვარებელი საკითხია და საგადასახადო სამსახურის ახალ ხელმძღვანელებს მეტი ძალისხმევა სჭირდებათ.

ბიუჯეტის საშემოსავლო ნაწილის შეუსრულებლობის ერთ-ერთ მიზეზად არსებული ვადაგადაცილებული დავალიანებები და მათ ამოსაფხვრელად სათანადო ღონისძიებების განუხორციელებლობა უნდა ჩაითვალოს. გადასახადის ოდენობა კანონით არის განსაზღვრული და მისი გადაუხდელობა კანონის უხეშ დარღვევად უნდა იქნას განხილული, რასაც შესაბამისი პასუხისმგებლობაც უნდა მოყვეს. უამისოდ მეწარმეთა ნაწილი არაფრად აგდებს კანონის მოთხოვნებს და შეგნებულად არ იხდის გადასახადებს, რის გამოც ვადაგადაცილებულ დავალიანებებს შემცირების ნაცვლად, სწრაფი ზრდის ტენდენცია ახასიათებს. ზრდამ 1998 წლის 1 ნოემბრისათვის 254,8 მლნ ლარი შეადგინა.

ცალკეული გადამხდელების მიხედვით დიდი ოდენობის ნარჩენები ერიცხება „საქენერგოს“ – სანქციებთან ერთად 6.863,6 ათასი ლარი, „საქენერგოგენერაციას“ – 4.965,0 ათასი ლარი, საჰაერო-სატრანსპორტო დეპარტამენტს – 362,9 ათასი ლარი, ს/ს თამბაქოს ფაბრიკა „ქართლს“ – 2.094,2 ათასი ლარი, შპს „კოკა-კოლა ბოთლერს ჯორჯიას“ – 284,3 ათასი ლარი, „თბილლუდს“ – 4.109,5 ათასი ლარი, შპს „ყაზბეგს“ – 4.173,2 ათასი ლარი, სახელმწიფო კომპანია „საქნავთობს“ – 800,2 ათასი ლარი, ფოთის სავაჭრო ნავსადგურს – 6,8 მლნ ლარი, ჭიათურმანგანუმს – 1.859,7 ათასი ლარი, მეტალურგიულ კომბინატს – 7.620,4 ათასი ლარი, რუსთავცემენტს – 2.229,7 ათასი ლარი, ს/ს „აზოტს“ – 2 ათასი ლარი და ა. შ. ამასთან, ცალკეული ორგანიზაციების დავალიანებები მნიშვნელოვნად აღემატება ამ ორგანიზაციების მიერ ბიუჯეტში მობილიზებულ თანხებს.

საგადასახადო ინსპექციას დღეისათვის ჯერ კიდევ არ გააჩნია სათანადო ეფექტიანი სისტემა ნარჩენების არათუ სრულად, თუნდაც, ნაწილობრივ შემცირებისათვის.

რიგ შემთხვევაში ბიუჯეტის წინაშე წინა პერიოდის ვალდებულებების მიჩქმალვის მიზნით, ადგილი აქვს ცალკეული ფირმების თვითლიკვიდაციას და ბუღალტრული საბუთების განადგურებას. ასე, მაგალითად, ტსს „ჯორჯიან პეტროლიუმ ექსიმის“ მიერ 1996-97 წლებში საქართველოს რკინიგზით გადაზიდულია 300 ათას ტონაზე მეტი ნავთობპროდუქტი. მარტო ტვირთზიდვისათვის გადახდილმა თანხამ შეადგინა 5 მლნ ლარზე მეტი, მაშინ, როდესაც საზოგადოების მიერ დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში წარდგენილ გაანგარიშებებსა და ბალანსებში ასახულია შემოსავალი მხოლოდ 179 ათასი ლარი, გასავალი (ხარჯები) 164,2 ათასი ლარი, საბოლოოდ, დიდუბის რაიონის საგადასახადო სამსახურის ხელშეწყობით საზოგადოება ლიკვიდირებულია მიმდინარე წლის თებერვალში და საბურთალოს რაიონის სასამართლოს მიერ ამოღებულია სამეწარმეო რეესტრიდან. დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციამ „ჯორჯიან პეტროლიუმ ექსიმი“ შეამოწმა ლიკვიდაციის წინ და მას ბიუჯეტის წინაშე დააკისრა მხოლოდ 5,8 ათასი ლარი. საგადასახადო დეპარტამენტის ახალ ხელმძღვანელობას ვთხოვ, ბოლომდე შეისწავლოს ეს ფაქტი და განახორციელოს მკაცრი ზომები.

საქართველო მეღვინეობის ტრადიციული ქვეყანაა და ჩვენმა ღვინომ უკვე დაიპყრო ჩვენივე საკუთარი ბაზარი. ასეთ პირობებში ქვეყანამ არ იცის რა ოდენობის შემოსავალს ღებულობს ღვინის მრეწველობიდან. იგივე ითქმის არყის, კონიაკისა და ლუდის საწარმოებზეც.

ყველა დასახელებული პროდუქცია აქციზურია და ასეთ პირობებში ქვეყანამ აქციზის გადასახადის სახით პროდუქციის ამ სახეობებიდან 10 თვეში მხოლოდ 2 მლნ-მდე ლარი მიიღო. დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ ასეთი მაჩვენებლები ამ სფეროში, ისევე როგორც სხვა სფეროებში, აღრიცხვიანობის მოშლის, შემოსავლების დიდი ოდენობით დამალვის შედეგია.

ცალკეული ინსპექციების მიხედვით, აქციზის სახეობაში პროგნოზით გათვალისწინებული დავალება 39-დან ვერ შეასრულა 21-მა საგადასახადო სამსახურმა. საყურადღებოა ისიც, რომ როგორც ღვ. ასევე აქციზის სახეობებშიც ცალკეული ინსპექციების მიერ გეგმები შესრულებულია 1,4 პროცენტიდან 82,5 პროცენტამდე, და ეს კვლავ არასწორი დაგეგმვის შედეგია.

სახსრების სათანადო მობილიზებას ხელს უშლის გადამხდელთა მუშაობაზე კონტროლის მექანიზმის უსისტემობა, რაც მნიშვნელოვანწილად იმითაცაა განპირობებული, რომ არ ხდებოდა კოორდინაცია ორ უწყებას, საგადასახადო სამსახურსა და საბაჟო დეპარტამენტს, მათ ოპერატიულ სამსახურებს შორის. სამწუხაროდ, მნიშვნელოვანი ძვრები არც ახლა შეიმჩნევა. შედეგად, იმპორტირებული პროდუქციის რეალიზაციიდან გადამხდელთა მიერ მიღებული შემოსავლები სრულად არ აღირიცხება და შემდგომში ინფორმაციათა გაუცვლელობის გამო მათი გამოვლენაც არ ხდება.

ასე, მაგალითად, თბილისის ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციაში აღრიცხვაზე მყოფი შპს „მარისკა“ სისტემატურად ეწევა ქვეყანაში სიგარეტის იმპორტს. კერძოდ, მას 1998 წელს შემოტანილი აქვს სხვადასხვა დასახელების 35 მლნ კოლოფი სიგარეტი. პროდუქციის რეალიზაციიდან 1 კოლოფზე 5 თეთრის მოგების მიღების შემთხვევაშიც კი მისი მოგება ამ პერიოდში 1.726,5 ათასი ლარი უნდა ყოფილიყო. ასეთ პირობებში ჩუღურეთის რაიონის საგადასახადო ინსპექციის ცნობის თანახმად, შპს „მარისკას“ 1998 წლის განვლილ პერიოდში ბიუჯეტში მოგების გადასახადის სახით გადახდილი აქვს მხოლოდ 1200 ლარი.

ფირმა „პირამიდას“ 1997-1998 წლებში საქართველოში იმპორტირებული აქვს 601,5 ათასი კოლოფი სხვადასხვა მარკის სიგარეტი, 1 კოლოფ სიგარეტზე მოგების 5 თეთრის მიღების შემთხვევაშიც კი ფირმის დასაბეგრავ მოგებას 30 ათას ლარზე მეტი უნდა შეედგინა. ასეთ პირობებში საგადასახადო სამსახურმა მოგების გადასახადის სახით, 1997 წელს დაარიცხა 847 ლარი, 1998 წლის 6 თვეში კი – მხოლოდ 399 ლარი.

შპს „პინტას“ 1997-1998 წლებში საქართველოში იმპორტირებული აქვს 11 მლნ კოლოფი სიგარეტი. მარტივი გაანგარიშებით, 1 კოლოფზე მინიმალური მოგების 5 თეთრის მიღების შემთხვევაში ფირმის დასაბეგრავ მოგებას 528 ათას ლარზე მეტი უნდა შეედგინა, ფირმას კი ბიუჯეტის სასარგებლოდ მხოლოდ 2900 ლარი აქვს გადახდილი.

აღსანიშნავია, რომ შპს „პინტა“, „ოჩო“ და „პირამიდა“ 1998 წელს შემოწმებული აქვს დიდუბის რაიონის საგადასახადო ინსპექციას და დარიცხული აქვთ ბევრად ნაკლები, შესაბამისად – 528 ლარი, 1550 ლარი და 173 ლარი.

ანალოგიურად, ვაკის რაიონში რეგისტრირებულ შპს „ზურგის ქარის“ მიერ 1997-1998 წლებში ქვეყანაში იმპორტირებულია 17 მლნ კოლოფი სიგარეტი. პროდუქციის რეალიზაციიდან 1 კილოფზე მოგების 0,05 ლარის მიღების შემთხვევაშიც დასაბეგრავ მოგებას 841,8 ათასი ლარი უნდა შეედგინა. ფაქტობრივად კი, მას მოგების გადასახადის სახით, მხოლოდ 26,9 ათასი ლარი აქვს გადახდილი. სამწუხაროდ, აღნიშნული დარღვევები დღესაც გრძელდება. საგადასახადო დეპარტამენტმა შესაბამისი რეაგირება უნდა განახორციელოს, როგორც გადამხდელთა მიმართ, ასევე, აქ დასახელებული რაიონული საგადასახადო სამსახურების მიმართ.

კონტროლის პალატის შერჩევითი შემოწმებებით დადგენილია, აგრეთვე, არარეგისტრირებულ მეწარმეთა მხრიდან დიდი ოდენობით საქონლის იმპორტის განხორციელების ფაქტებიც. 1998 წელს 6 სხვადასხვა ინდივიდუალური პირის მიერ, რომლებიც წინა წლებში აღრიცხვაზე იმყოფებოდნენ დიდუბის რაიონში და საქონლის იმპორტს ახორციელებდნენ, ამავე რაიონის საგადასახადო ბაზის კოდის ჩვენებით, ქვეყანაში იმპორტირებული აქვთ 401,5 ტონა მაიონეზი. ამასთან, მათ 1997 წლიდან ახალი ვადით რეგისტრაცია არა აქვთ გაგრძელებული. შესაბამისად, მათი გადამხდელის მოწმობები ძალადაკარგულად, ხოლო აღნიშნული ფიზიკური პირები არარეგისტრირებულ მეწარმეებად ითვლებიან. ამდენად, მნიშვნელოვანი რაოდენობის საქონლის იმპორტის მიუხედავად, მათი საქმიანობა საგადასახადო ინსპექციის კონტროლს მიღმა იყო დარჩენილი.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, შესაძლებელია დავასკვნათ, რომ საბაჟო და საგადასახადო სამსახურები არ ცვლიან ელემენტარულ ინფორმაციას, უგულებელყოფენ კოორდინაციას; შემოსავლების ძიების ნაცვლად ურთიერთშეუთანხმებელი და უსისტემო მუშაობის შედეგად, იმპორტირებული საქონლის რეალიზაციიდან მისაღები შემოსავლების დიდი ნაწილი იკარგება და ჩრდილოვანი ეკონომიკის ძირითადი შემადგენელი ნაწილი ხდება.

განსაკუთრებულად საყურადღებოდ მიმაჩნია ის, რომ ქვეყანაში არ აღირიცხება მეურნეობის სხვადასხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლები. სამწუხაროდ, საფინანსო-საგადასახადო ანგარიშების გამარტივების მოტივაციამ ზოგიერთ შემთხვევაში დამახინჯებული ხასიათი მიიღო.

მიმაჩნია, რომ შემოსავლების ყველა სახე დარგობრივ აღრიცხვასა და ანალიზს მოითხოვს. საბიუჯეტო შემოსავლებზე ზრუნვა მხოლოდ ერთი სამინისტროს საქმე არ არის. იგი თანაბრად ეხება აღმასრულებელი ხელისუფლების ყველა რგოლს. აუცილებელია იმის ცოდნა, რა მიიღო ბიუჯეტმა სოფლის მეურნეობიდან, მრეწველობიდან, კავშირგაბმულობიდან, ტრანსპორტიდან და სხვა. რა საქმიანობა (პოლიტიკა) განხორციელდა ამ შემოსავლების ბაზის შექმნისა და მათი მობილიზებისათვის. ავიღოთ ერთი მაგალითი ბუღალტრული აღრიცხვით.

დღეს 1 სულზე პურის საშუალო დღიური მოხმარება 95 გრამია. 2 წლის წინათ კი – 300 გრამი იყო. შეიძლება დავიჯეროთ, რომ რეალურად პურის მოხმარება საქართველოში ასე შემცირდა? ექსპერტული შეფასებით, 1998 წლის იანვარ-ოქტომბერში აღურიცხავი დარჩა დაახლოებით 200 მლნ ლარის პურის წარმოება. ქვეყნის რიგ რაიონებში ბუღალტრულად აღრიცხული პურის დღიური მაჩვენებელი ერთ სულ მოსახლეზე 40, 32, 12 გრამს უდრის. 12 გრამია, მაგალითად, ნაჩვენები ხაშურში! (ლენინგრადის ბლოკადის დროს 50 გრამი იყო).

მხოლოდ საცხობი საწარმოებისა და საგადასახადო სამსახურების მხრიდან არასახელმწიფოებრივი მიდგომისა და დანაშაულებრივი ქმედების შედეგად, ქვეყნის საბიუჯეტო შემოსავლებს ყოველწლიურად, დაახლოებით 20 მლნ ლარი აკლდება.

ანალოგიური მდგომარეობაა ტრანსპორტშიც. გაცემული ლიცენზიების რაოდენობა 3-ჯერ აღემატება საგადასახადო ინსპექციაში გადამხდელად აღრიცხულ სატრანსპორტო ერთეულს, ე. ი. ასეთი მარტივი გაანგარიშებით, საბიუჯეტო შემოსავლები სულ ცოტა 3-ჯერ ნაკლები ფიქსირდება.

არაერთგზის აღნიშვნის მიუხედავად, ვერ ხერხდება გარემოზე ზემოქმედების გადასახადის სრულად მობილიზებაც. შედეგად, ამ გადასახადის სახით 1998 წლის 10 თვეში მობილიზებულია 50,3 პროცენტი.

საფინანსო-საბუღალტრო აღრიცხვის უქონლობისა და საგადასახადო სამსახურების უმოქმედობის შედეგად გარდაბნის რაიონში 32 ავტოგასამართ სადგურს საშუალო ყოველდღიურად ნაჩვენები აქვს მხოლოდ 121 კგ ბენზინისა და 111 კგ დიზელის საწვავის რეალიზაცია. მარნეულის რაიონში 27 გასამართი სადგურს, საშუალოდ – 82 კგ ბენზინი და 61 კგ დიზელის საწვავი, ქ. რუსთავში 22 გასამართ სადგურს შესაბამისად – 110 კგ ბენზინი და 90 კგ დიზელის საწვავი და ა. შ.

მსგავსი ვითარებაა მომსახურების და ვაჭრობის სფეროს საწარმოებში, სადაც შემოსავლების დიდი ნაწილი საერთოდ არ აღირიცხება და ჩრდილოვანი ეკონომიკის შემადგენელი ნაწილი ხდება. ასე, მაგალითად, რუსთავში 47 საკვების ობიექტიდან დღეში საშუალოდ ბიუჯეტში 47 ლარი შედის, ანუ თითოეულზე 1 ლარი, გარდაბანში – 2 ლარი, მარნეულში – 3 ლარი, ბოლნისში – 1,5 ლარი.

ანალოგიურად, ქ. რუსთავში ლიმონათის 9 მწარმოებელი საწარმო საშუალოდ დღეში ბიუჯეტში მხოლოდ 1 ლარს იხდის, მარნეულში – 2 ლარს და ა. შ. ასეთივე მდგომარეობაა გადასახადების დანარჩენ სახეობებშიც, როგორც ნარჩენების ლიკვიდაციის, ასევე, არსებული რეზერვების მოძიების თვალსაზრისით.

ვაანალიზებთ რა ვადაგადაცილებული დავალიანებებისა და გადასახადების დამალვის ფაქტებს, არ შეიძლება არ აღინიშნოს ისიც, რომ ამ მიმართებით, განსაკუთრებით კი დამალული შემოსავლების გამოვლენის მიზნით, სრულიად არაეფექტიანია საგადასახადო სამსახურის ოპერატიული დეპარტამენტის საქმიანობა.

საგადასახადო სამსახურის ახალ ხელმძღვანელობას ვთხოვთ, უზრუნველყონ ოპერატიული რგოლის სტრუქტურულად და ხარისხობრივად სრულიად ახალი სამსახურის ფორმირება.

მიგვაჩნია, რომ ოპერატიული სამსახური თავის ძირითად ფუნქციას, ანუ ოპერატიულ მუშაობას უნდა ახორციელებდეს.

გვინდა შევეხოთ ერთ უმნიშვნელოვანეს პრობლემას და რეზერვს. კონკრეტულად ცნობილია, თუ ვის ერიცხება ბიუჯეტიდან გატანილი და დღემდე დაუბრუნებელი კრედიტები. 1993-1998 წლებში ქვეყნის ცალკეულ საწარმოთა და ორგანიზაციათა ფინანსური მდგომარეობის გაუმჯობესების, მოსახლეობის სასურსათო პროდუქტებით მომარაგების, სათბობ-ენერგეტიკული რესურსებით უზრუნველყოფისა და სხვა მიზნებით საწარმოებსა და ორგანიზაციებისთვის ბიუჯეტიდან საერთო ჯამში გაცემულია 105 მლნ ლარამდე და, ასევე, 41,5 მლნ აშშ დოლარის ოდენობის კრედიტები.

1998 წლის 1 ოქტომბრის მდგომარეობით, დაუბრუნებელმა სასესხო დავალიანებამ შეადგინა 73,3 მლნ ლარი და 55,9 აშშ დოლარის ეკვივალენტი თანხა ეროვნულ ვალუტაში. მათ შორის, პრივატიზაციიდან მიღებული თანხებიდან გაცემული სესხების მიხედვით არსებული დავალიანება შეადგენს 19,7 მლნ ლარზე მეტს, სხვადასხვა მიზნობრივი საბიუჯეტო კრედიტების მიხედვით – 6 მლნ ლარამდე, თურქული კრედიტის ხარჯზე გაცემული სესხებიდან – 56 მლნ ლარამდე, სხვა საბიუჯეტო კრედიტების მიხედვით – 47,6 მლნ ლარზე მეტი. თუ აღნიშნულ მაჩვენებლებს შევაჯამებთ, სახელმწიფო ბიუჯეტის ერთი თვის გეგმა მხოლოდ აღნიშნული დავალიანებების დაბრუნების ხარჯზეც კი შესრულდებოდა.

დიდი ოდენობით ბიუჯეტის ვალი ერიცხებათ ს/ს „აისბერგს“ (3 მლნ ლარზე მეტი), „ფოთითევზს“ (2,2 მლნ ლარზე მეტი), „რუსთავის ქიმკომბინატს“ (3,6 მლნ ლარამდე), რუსთავის მეტალურგიულ კომბინატს (1,5 მლნ ლარი), ს/ს „მარცვალს“ (1,6 მლნ ლარი), სასმელი წყლის ქარხანა „ვევას“ (6,9 მლნ ლარი) და სხვა მრავალს. რეალურად აღნიშნული საწარმოებიდან დავალიანებების ამოსაღების საქმეში რაიმე დადებითი ძვრები ჯერჯერობით ვერ იქნა მიღწეული და ეს, ობიექტურ ფაქტორებთან ერთად, ხშირად ჩვენი უწყებების მოუქნელობისა და უნიათობის ბრალია.

არაერთგზის აღნიშვნის მიუხედავად, კვლავ მძიმე მდგომარეობაა ფიქტიური ტრანზიტული ოპერაციებით საბაჟო გადასახადებისაგან თავის არიდებისა და კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში, რაც გამოწვეულია იმით, რომ გარკვეული ჯგუფები და პირები დანაშაულებრივ კავშირებს ამყარებენ საბაჟო, საგადასახადო სამსახურებისა და სხვა ორგანოების წარმომადგენლებთან. სწორედ ასეთი კორუმპირებული მოხელეებისა და გავლენიანი ძალების ალიანსი მფარველობს და ხელს უწყობს ტვირთების ტრანზიტად გატანის ყალბი დოკუმენტების გაფორმებას, რის საფუძველზეც ხდება ამგვარად გაფორმებული ტვირთების საქართველოს შიდა ბაზარზე დაუბეგრავად მოხვედრა.

უნდა ითქვას, რომ ჩვენი ძალოვანი უწყებები, მათ შორის, შინაგან საქმეთა სამინისტრო აქტიურად ჩაება კონტრაბანდის წინააღმდეგ ბრძოლის საქმეში. ამაზე მათ ხელთ არსებული სტატისტიკაც მეტყველებს. ადგილი აქვს ფაქტებს, როდესაც სასაქონლო კოდის არასწორი მიყენებით განზრახ იცვლება საბაჟო გადასახადის განაკვეთი საქონლის შემომტანის სასარგებლოდ და ქვეყნის საზიანოდ.

ხშირ შემთხვევაში ადგილი აქვს დადგენილი მარშრუტების უსაფუძვლო შეცვლას იმ მიზნით, რომ შემდგომში ტვირთი დარჩეს საქართველოში და მოხვდეს სამომხმარებლო ბაზარზე იმპორტული რეჟიმის წესით დადგენილი საბაჟო გადასახადების გადაუხდელად.

დაფიქსირებულია ისეთი ფაქტები, როდესაც საზღვარგარეთიდან საქართველოში კონტეინერებით შემოსული საქონლის თანხლებ დოკუმენტებში, მიმწოდებლებთან წინასწარი შეთანხმებით, ამცირებენ საქონლის რაოდენობას, ან ღირებულებას. ტერმინალში შემოსული ასეთი ტვირთი ფორმდება არა ფაქტობრივი რაოდენობისა და ღირებულების მიხედვით, არამედ შემცირებული რაოდენობით, ყალბი დოკუმენტაციის საფუძველზე. ხოლო, როდესაც აღურიცხავი საქონლის მთლიანი რეალიზაცია ჩაივლის ყოველგვარი გართულების გარეშე, ნარჩენ საქონელს, რაც გაყალბებულ დოკუმენტებშია ასახული და, შესაბამისად, დეკლარაციაშიც ნაჩვენები, უპრობლემოდ განაბაჟებენ.

სამწუხაროდ, ეს არის ჩვენი საბაჟო ორგანოების მუშაობის ყოველდღიური მანკიერი პრაქტიკა. მარტო საანგარიშო პერიოდში ჩვენი სამართალდამცავების მიერ გამოვლენილია კონტრაბანდის 46 ფაქტი. შეგვიძლია ვივარაუდოთ, რომ, ფაქტობრივად, ასეთი ფაქტი ბევრად მეტია.

აი, მხოლოდ რამდენიმე მაგალითი. შინაგან საქმეთა სამინისტროს მიერ მხილებულ იქნა გარდაბნის რაიონის შპს „ლახარას“ დირექტორი, რომელმაც დედაქალაქის რეგიონული საბაჟოს კონკრეტული თანამშრომლის ხელშეწყობით გააფორმა ფიქტიური დოკუმენტაცია 300 ათას ლარამდე ღირებულების 477 ტონა სამანქანო ზეთის საბაჟო კონტროლზე აყვანის შესახებ, ხოლო ზეთი განბაჟების გარეშე გაყიდა, შედეგად, ბიუჯეტს 100 ათას ლარამდე გადასახადი დააკლდა.

მხილებულნი იქნენ შპს „ტრანსტერმინალის“ გენერალური დირექტორი და ლიტვის რესპუბლიკის ერთ-ერთი ფირმის წარმომადგენელი საქართველოში, რომლებმაც გორის რაიონის სოფელ ტყვიავში შპს „ტრანსტერმინალის“ საწყობიდან კერძო პირს განბაჟების გარეშე მიჰყიდეს ტრანზიტის რეჟიმით საბაჟო კონტროლზე მყოფი 12 ტონა ეთილის სპირტი და სპირტიანი სასმელები, სულ 327 ათას ლარზე მეტი ღირებულების საქონელი.

დადგენილ იქნა, რომ მარნეულის შპს „ჯორჯს“ მიმდინარე წლის იანვრიდან საბაჟო კონტროლზე ერიცხებოდა 3 ათას ტონამდე ბენზინი, რომელიც შემოწმებისას საცავებში არ აღმოჩნდა და განბაჟების გარეშე გაიყიდა. ასევე, დადგენილ იქნა, რომ თბილისის ფირმა „მერანს“, დოკუმენტების თანახმად, საბაჟო კონტროლზე ერიცხებოდა 443 ტონა დიზელის საწვავი, რომელიც არ აღმოჩნდა ადგილზე. შედეგად, ბიუჯეტმა 23 ათას ლარამდე იზარალა, ხოლო შპს „ლაშარის“ საქმიანობის შედეგად 416 ათასი ლარის ოდენობის გადასახადი დაიკარგა. ამ ჩამონათვალის გაგრძელება კიდევ შეიძლება, მაგრამ, ალბათ, ისედაც გასაგებია, თუ რა დიდ ბოროტებასთან გვაქვს საქმე. სწორედ ეს არის ყველაზე დიდი რეზერვი, რომლის აუთვისებლობის გამო ბიუჯეტი ყოველთვიურად უზარმაზარ თანხებს კარგავს.

ჯერ კიდევ არ არის მოწესრიგებული კაპიტალური შემოსავლების საპროგნოზო მაჩვენებლების რეალური განსაზღვრის მექანიზმი.

სამწუხაროდ, აღნიშნული ტენდენცია უკვე რამდენიმე წელია გრძელდება და მთელი რიგი ქალაქებისა და რაიონების საპროგნოზო საბიუჯეტო შემოსავლები, სხვა ძირითად საგადასახადო შემოსავლებში ჩამორჩენის მიუხედავად, პრივატიზაციის შედეგად მიღებული თანხებით სრულდება.

უაღრესად არასაკმარისია სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობით შექმნილი საწარმოების მოგებიდან სახელმწიფოს კუთვნილი დივიდენდების ბიუჯეტში ჩარიცხვის საკითხი. სახელმწიფო საკუთრების ბაზაზე ჩამოყალიბებულია 1090 სააქციო საზოგადოება. სახელმწიფო ქონების მონაწილეობით შექმნილია 127 საწარმო, მათ შორის, 11 საზღვარგარეთულ ფირმებთან ერთობლივად და ამ სახის საწარმოებში მხოლოდ თანხობრივად სახელმწიფოს წილობრივი მონაწილეობა 3 მლნ ლარზე მეტია. ასეთ პირობებში, სათანადო ყურადღებას არ ვაქცევთ მოგების განაწილების საკითხს და საზოგადოებებში დარჩენილი მოგების დანიშნულებისამებრ გამოყენებას. ამასთან, საწარმოში დატოვებული მოგების სანაცვლოდ არ ხდება შესაბამისი ნომინალური ღირებულების აქციების დამატებით გამოშვება.

აქვე აღსანიშნავია, რომ განსახელმწიფოებული საწარმოებიდან, სადაც სახელმწიფოს გარკვეული წილი გააჩნია, მხოლოდ 1997 წლის განმავლობაში განხორციელებული სამეურნეო საქმიანობის შედეგად ბიუჯეტს 1998 წლის 10 თვეში უნდა მიეღო 500 ათასი ლარი, რაც თავისთავად, ჩვენი აზრით, ოდნავაც არ შეესაბამება რეალურს. ფაქტობრივმა შემოსავალმა მხოლოდ 193 ათასი ლარი შეადგინა. სახელმწიფოს წილის მქონე სააქციო საზოგადოებებიდან მისაღები დივიდენდების დიდი ნაწილი იმალება და ჩრდილოვანი ეკონომიკის არხებში მიმოიქცევა. სამწუხაროდ, საგადასახადო კოდექსით დივიდენდებიდან მისაღები შემოსავლების ცალკე აღრიცხვა გათვალისწინებული არ არის, რაც თავის მხრივ ართულებს შესაბამისი ანალიზისა და რეზერვების გამოვლენის შესაძლებლობას.

როგორც ხედავთ, წარმოდგენილ დარღვევათა აბსოლუტური უმრავლესობა სუბიექტური ხასიათისაა, რომელიც სახელმწიფო მმართველობითი ორგანოების მხრიდან შესაბამისი დასკვნების გამოტანას მოითხოვს.

საქართველოს რესპუბლიკა
№294. ხუთშაბათი. 12 ნოემბერი. 1998 წელი.

საქართველოს კანონი

სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის მართვისა და განკარგვის შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – მიწის ყველა ნაკვეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით არ გამოიყენება;

ბ) პერსპექტიული განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის ზონა – ქალაქებისა და სხვა დასახლებათა დადგენილი წესით დამტკიცებული, გენერალური გეგმით გათვალისწინებული, პერსპექტიული განაშენიანებისათვის შერჩეული ტერიტორიები;

გ) ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაცია – ტერიტორიულ-სივრცითი და ფუნქციური ორგანიზაციის მიზნით დადგენილი წესით დამტკიცებული რაიონული დაგეგმარების სქემები და პროექტები, ქალაქებისა და სხვა დასახლებათა გენერალური სქემები და გეგმები, განვითარების ქალაქმშენებლობითი პროგრამები;

დ) მიწის ნორმატიული ფასი – გარკვეული ხარისხისა და ადგილმდებარეობის მქონე მიწის ნაკვეთის ღირებულება;

ე) ტერიტორიული ზონირება – ადგილმდებარეობის, ინფრასტრუქტურის, ბუნებრივ-ეკოლოგიური და სხვა პარამეტრების გათვალისწინებით ქალაქის, რაიონის ტერიტორიის ზონებად დაყოფა;

ვ) პრესტიჟულობა – სინთეზური მახასიათებელი, რომელიც ასახავს ტერიტორიის ფასეულობას სხვა ტერიტორიებთან მიმართებაში.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

ეს კანონი აწესრიგებს სახელმწიფო საკუთრებაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის (შემდგომში – სახელმწიფო მიწის) მართვისა და განკარგვის საკითხებს და განსაზღვრავს იმ სახელმწიფო ორგანოთა კომპეტენციას, რომლებიც სახელმწიფო მიწით სარგებლობასა და განკარგვასთან დაკავშირებულ ურთიერთობებში წარმოადგენენ სახელმწიფოს.

მუხლი 3. სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემაზე გადაწყვეტილების მიღების წესი

1. გადაწყვეტილებას სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემის შესახებ იღებენ შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანოები.

2. ქალაქებისა და სხვა დასახლებათა პერსპექტიული განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის ზონაში არსებული სახელმწიფო საკუთრების მიწის ნაკვეთები სარგებლობაში ან საკუთრებაში გაიცემა ქალაქებისა და სხვა დასახლებების დადგენილი წესით დამტკიცებული გენერალური გეგმების, განაშენიანების პროექტებისა და სხვა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტაციის საფუძველზე.

3. საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანო, ადგილობრივ არქიტექტურულ სამსახურებთან შეთანხმებით, ორგანიზებას უწევს ინფორმაციის გამოქვეყნებას სარგებლობაში ან საკუთრებაში გასაცემი სახელმწიფო მიწის შესახებ, იღებს და რეგისტრაციაში ატარებს განცხადებებს, განცხადებების მიღებიდან ორი კვირის განმავლობაში წერილობით ატყობინებს განმცხადებლებს მათი მიღების შესახებ. საინფორმაციო ცნობის გამოქვეყნების შემდეგ საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები ყველა დაინტერესებულ ფიზიკურ და იურიდიულ პირს საშუალებას აძლევენ წინასწარ გაეცნონ მიწის ნაკვეთს და ქმნიან ამისათვის საჭირო პირობებს.

4. სახელმწიფო მიწის ნაკვეთი სარგებლობაში ან საკუთრებაში გაიცემა კონკურსის ან აუქციონის წესით.

5. სახელმწიფო მიწის ნაკვეთის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემაზე მოწყობილ კონკურსში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია საკონკურსო პირობების სრულად დაკმაყოფილება და სახელმწიფოსათვის ყველაზე უკეთესი პირობების შეთავაზება.

6. სახელმწიფო მიწის ნაკვეთის სარგებლობაში ან საკუთრებაში გაცემაზე მოწყობილ აუქციონში გამარჯვებულის გამოვლენის კრიტერიუმია აუქციონის პირობების სრულად დაკმაყოფილება, რომელთა შორის უმთავრესია ყველაზე მაღალი ფასის შეთავაზება.

7. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, სახელმწიფო მიწა სარგებლობაში ეძლევათ ინდივიდუალური განხილვის წესით, კონკურსის ან აუქციონის გამოუცხადებლად.

8. მიღებული გადაწყვეტილების შესახებ განმცხადებელს წერილობით ეცნობება 10 დღის განმავლობაში.

9. სადავო საკითხები წყდება სასამართლოს მეშვეობით.

10. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოები, „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონით დადგენილი წესით, აფორმებენ, რეგისტრაციაში ატარებენ და გასცემენ მიწის ნაკვეთით სარგებლობის ან საკუთრების დამადასტურებელ დოკუმენტებს.

თავი II
სახელმწიფო მიწის იჯარა

მუხლი 4. სახელმწიფო მიწის იჯარით გაცემის წესი

გადაწყვეტილება ქალაქის, რაიონის ტერიტორიის ფარგლებში მოქცეული სახელმწიფო მიწის იჯარით გაცემაზე მიიღება ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი წესით.

მუხლი 5. სახელმწიფო მიწის იჯარის ხელშეკრულება, მისი გაფორმებისა და რეგისტრაციის წესი

1. მოიჯარე მიწათსარგებლობის უფლებას მოიპოვებს ხელშეკრულების საფუძველზე.

2. იჯარის ხელშეკრულება იდება საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის მიერ დამტკიცებული ფორმით. იჯარის ხელშეკრულებით განისაზღვრება სახელმწიფო მიწის ფართობები, საიჯარო ქონების შემადგენლობა და მისი ღირებულება, დგინდება იჯარის ვადა, მიწისა და სხვა ქონების გამოყენებისათვის საიჯარო ქირის ოდენობა და გადახდის წესი, მხარეთა უფლებამოვალეობები და პასუხისმგებლობა, იჯარით აღებული ობიექტების მოვლისა და გამოყენების, იჯარის ვადის გასვლის შემდეგ მათი დაბრუნების პირობები.

3. საიჯარო ურთიერთობის დაწყებამდე და დამთავრების შემდეგ მხარეები ერთობლივად აღწერენ იჯარით აღებული მიწისა და სხვა ობიექტების რაოდენობას და მდგომარეობას და აფიქსირებენ ქონების აღწერის ოქმში.

4. ადგილობრივი მმართველობის ორგანოს გადაწყვეტილების საფუძველზე გასაფორმებელ იჯარის ხელშეკრულებაში მიწის ნაკვეთის მეიჯარედ შეიტანება სახელმწიფო, წარმოდგენილი საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ტერიტორიული ორგანოების სახით.

5. იჯარის ხელშეკრულებას საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი საქალაქო, რაიონული სამსახური ატარებს რეგისტრაციაში და საჯარო რეესტრში და იგი ძალაშია რეგისტრაციის თარიღიდან, თუ ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

6. იჯარის ვადა განისაზღვრება მეიჯარისა და მოიჯარის შეთანხმებით ამ კანონის მოთხოვნათა შესაბამისად და ის არ უნდა აღემატებოდეს 99 წელს. იჯარის ვადა უნდა დაფიქსირდეს იჯარის ხელშეკრულებაში.

7. იჯარის ხელშეკრულების განუყოფელი ნაწილია ქონების აღწერის ოქმი და საიჯარო ნაკვეთის გეგმა, რომელსაც ადგენს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის შესაბამისი ტერიტორიული ორგანო.

მუხლი 6. სახელმწიფო მიწის იჯარის ქირა და გადახდის წესი

1. იჯარით აღებული სახელმწიფო მიწით და სხვა ქონებით სარგებლობისათვის მოიჯარე მეიჯარის სასარგებლოდ იხდის იჯარის ქირას.

2. მიწის იჯარის ქირა შედგება მიწის იჯარის ქირისა და იჯარით გაცემული, მიწასთან მყარად დაკავშირებული, ქონების იჯარის ქირისაგან. ქონების იჯარის ქირა ცალკე სტრიქონით აღირიცხება იჯარის ხელშეკრულებაში.

3. საიჯარო ქირის ოდენობა განისაზღვრება იჯარის ხელშეკრულებით.

4. მიწის იჯარის ქირა შეიძლება შეიცვალოს მხარეთა შეთანხმებით. ერთ-ერთ მხარეს, მიწით სარგებლობისათვის გადასახადისა და ამორტიზაციის ნორმების, რეგულირებადი სახელმწიფო ფასებისა და ტარიფების შეცვლისას, აგრეთვე საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებულ სხვა შემთხვევებში, უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ქირის ოდენობის შეცვლა. თუ მიწის იჯარის ხელშეკრულების დადების შემდეგ წარმოიშვა ისეთი გარემოებები, რომლებიც ხელს უშლის ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების შესრულებას, მაშინ დაინტერესებულ მხარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულებაში ცვლილების შეტანა.

5. იჯარის ქირის გადახდა არ ათავისუფლებს მოიჯარეს მიწით სარგებლობისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი გადასახადისა და საქართველოს კანონმდებლობით გათვალისწინებული სხვა გადასახდელებისაგან.

6. საიჯარო ქონების აღწერის ოქმის, საიჯარო ნაკვეთების გეგმის შედგენისა და იჯარის ხელშეკრულების რეგისტრაციის ხარჯებს მოიჯარე გაიღებს.

მუხლი 7. საიჯარო ქონების გაცემა ქვეიჯარით

1. მოიჯარეს უფლება აქვს მეიჯარესთან შეთანხმებით სრულად გაასხვისოს იჯარის უფლება.

2. მოიჯარეს უფლება აქვს მიწა და იჯარით აღებული ქონება ან მისი ნაწილი მეიჯარის თანხმობით გასცეს ქვეიჯარით, თუ კანონმდებლობით ან იჯარის ხელშეკრულებით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული; ამასთან, იჯარის ხელშეკრულებისათვის მოიჯარის პასუხისმგებლობა მეიჯარის წინაშე კვლავ უცვლელი რჩება. მოიჯარეს უფლება აქვს იჯარით გასცეს საიჯარო ნაკვეთზე მის საკუთრებაში არსებული შენობა-ნაგებობები.

მუხლი 8. იჯარის ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და მოშლა

1. იჯარის ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ მხარეებს უფლება აქვთ გააგრძელონ მისი მოქმედების ვადა. ხელშეკრულების განახლებისას მხარეთა შეთანხმებით შეიძლება შეიცვალოს ხელშეკრულების პირობები. ისინი შეიძლება შეიცვალოს ერთ-ერთი მხარის მოთხოვნითაც კანონმდებლობით ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევაში.

2. თუ იჯარის ვადის გასვლის შემდეგ არც ერთ მხარეს არ შეუტანია ხელშეკრულების შეწყვეტის ან შეცვლის განცხადება, მაშინ გამოიყენება საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 589-ე მუხლით დადგენილი წესები.

3. იჯარის ხელშეკრულება მხარეთა შეთანხმებით შეიძლება ვადამდე მოიშალოს. ერთ-ერთი მხარის მოთხოვნით იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა დასაშვებია მხოლოდ კანონმდებლობის შესაბამისად ან ხელშეკრულებით გათვალისწინებულ შემთხვევებში.

4. მეიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს იჯარის ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ მოიჯარე:

ა) დანიშნულებისამებრ არ იყენებს იჯარის ობიექტებს და არღვევს ხელშეკრულების პირობებს;

ბ) არ იხდის საიჯარო ქირას ხელშეკრულებით დადგენილი ვადის გასვლიდან სამი თვის განმავლობაში.

5. მოიჯარეს უფლება აქვს მოითხოვოს ხელშეკრულების ვადამდე მოშლა, თუ:

ა) მეიჯარე არ ასრულებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს;

ბ) საიჯარო მიწის ნაკვეთი და იჯარის სხვა ობიექტები გამოუსადეგარი გახდა იმ გარემოებათა გამო, რისთვისაც მოიჯარეს პასუხისმგებლობა არ ეკისრება.

6. იჯარის ხელშეკრულების განახლება, შეცვლა, შეწყვეტა და მოშლა ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

მუხლი 9. უპირატესობა და შეზღუდვა სახელმწიფო მიწის იჯარით აღებისას

1. სასარგებლო წიაღისეულის და დაცული ტერიტორიების, წიაღით სარგებლობის ობიექტებზე მიწის მინაკუთვნის, იშვიათი და უნიკალური არქეოლოგიური, კულტურული და ისტორიული ძეგლების გავრცელების, აგრეთვე საავტომობილო გზების პერსპექტიული განვითარების საზღვრებში, კურორტებისა და საკურორტო ადგილების სანიტარიულ ზონებში სახელმწიფო მიწა იჯარით გაიცემა მხოლოდ შესაბამისად საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტროს, კულტურის სამინისტროს, გეოლოგიის სახელმწიფო დეპარტამენტის, ტურიზმისა და კურორტების სახელმწიფო დეპარტამენტისა და მეცნიერებათა აკადემიის არქეოლოგიური კვლევის ცენტრის თანხმობით.

2. იმ მიწის ნაკვეთის (მისი ნაწილის) იჯარით გაცემისას, რომელზედაც განლაგებულია სახელმწიფო საკუთრების ობიექტები (შენობა-ნაგებობები), საკითხი უნდა შეთანხმდეს საქართველოს სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროსთან და შესაბამის უწყებებთან.

3. მიწის ნაკვეთის იჯარით აღებისას საიჯარო მიწის ნაკვეთზე განლაგებული შენობა-ნაგებობის მესაკუთრეს ან მოიჯარეს უპირატესი უფლება აქვს.

თავი III
სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სახელმწიფო მიწის ქირავნობის, აღნაგობის და უზუფრუქტის ფორმით გაცემა

მუხლი 10. სახელმწიფო საკუთრებაში არსებული სახელმწიფო მიწის ქირავნობის, აღნაგობის და უზუფრუქტის ფორმით გაცემის წესი

1. გადაწყვეტილება სახელმწიფო მიწის ქირავნობის, აღნაგობის და უზუფრუქტის ფორმით გაცემაზე მიიღება ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი წესით.

2. სახელმწიფო მიწის ქირავნობის, აღნაგობის და უზუფრუქტის ფორმით გაცემა ხდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და ამ კანონის მეორე თავის შესაბამისად.

3. საჯარო სამართლის იურიდიულ პირებს, რომელთა დაფინანსება ხორციელდება სახელმწიფო ბიუჯეტიდან, მიწა სარგებლობაში ეძლევათ უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით.

თავი IV
სახელმწიფო მიწის გასხვისება

მუხლი 11. სახელმწიფო მიწის გასხვისების წესი

1. გადაწყვეტილება სახელმწიფო მიწის გასხვისებაზე მიიღება ამ კანონის მე-3 მუხლით დადგენილი წესით.

2. ქალაქებისა და სხვა დასახლებათა პერსპექტიული განაშენიანებისა და რეკონსტრუქციის ზონაში არსებული სახელმწიფო მიწის ნაკვეთები საქართველოს მოქალაქეებსა და საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კონკურსის ან აუქციონის წესით მიეყიდებათ ქალაქების (დასახლებების) გენერალური გეგმების, განაშენიანების პროექტებისა და სხვა ქალაქმშენებლობითი დოკუმენტების გათვალისწინებით. ზემოთ აღნიშნული მიწის ნაკვეთები რეგისტრირებულ უნდა იქნეს საჯარო რეესტრში (სააღგილმამულო წიგნში).

3. მიწის ნაკვეთის შემძენ საქართველოს მოქალაქეებს, საქართველოს კანონმდებლობით რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირებსა და სახელმწიფოს, როგორც მესაკუთრეს შორის, წარმოდგენილს საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოების სახით, ფორმდება ნასყიდობის ხელშეკრულება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი წესით.

4. საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი საჯარო-სამართლებრივი შეზღუდვები, რომლებიც ცალკეული კატეგორიების მიწების მიმართ გამოიყენება, მესაკუთრის შეცვლის მიუხედავად უცვლელი რჩება.

მუხლი 12. სახელმწიფო მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის, მიწის ფასის გადახდის და შემოსავლების განაწილების წესი

1. საქართველოს ქალაქების რაიონების მაკრომდებარეობის ინდექსებს, ზონირებას და წელიწადში ერთხელ, არა უგვიანეს ყოველი წლის თებერვლისა, არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიულ ფასს ადგენს შესაბამისი ადგილობრივი მმართველობის ორგანო საქართველოს ეკონომიკის სამინისტროსა და ფინანსთა სამინისტროს მიერ დამტკიცებული მეთოდიკის მიხედვით. მიწის ნორმატიული ფასი გამოიყენება სახელმწიფო მიწის ნაკვეთის საკუთრებაში გაცემაზე მოწყობილი კონკურსის ან აუქციონის დროს, როგორც საწყისი ფასი.

2. საქართველოს ქალაქების, რაიონების მაკრომდებარეობის ინდექსები დგინდება დასახლებათა სოციალურ-ეკონომიკური და ბუნებრივი მახასიათებლების მიხედვით, შემდეგი პარამეტრების საფუძველზე:

ა) მოსახლეობის რაოდენობა;

ბ) ადმინისტრაციული სტატუსი;

გ) სამეურნეო და ფუნქციური პროფილი;

დ) სიმაღლე ზღვის დონიდან;

ე) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურით უზრუნველყოფა;

ვ) ადგილი განსახლების სისტემაში.

3. ქალაქებში, რაიონებში ზონების გამოყოფა ხდება ტერიტორიის შემდეგი პარამეტრების გათვალისწინებით:

ა) საინჟინრო ინფრასტრუქტურა;

ბ) სატრანსპორტო ინფრასტრუქტურა;

გ) სოციალური ინფრასტრუქტურა;

დ) კეთილმოწყობა;

ე) ბუნებრივ-ეკოლოგიური პირობები;

ვ) პრესტიჟულობა.

4. მიწის ნაკვეთის ფასი გადაიხდება მიწის ნაკვეთის გამოყოფიდან ორი თვის ვადაში. მიწის ნაკვეთის ფასის დაწესებულ ვადაში გადაუხდელობისას მიიღება კანონით გათვალისწინებული ზომები.

5. შემძენი მიწის ნაკვეთის მესაკუთრე ხდება მხოლოდ მიწის ფასის სრულად გადახდისა და საჯარო რეესტრში (სააღგილმამულო წიგნში) მისი, როგორც მესაკუთრის, რეგისტრაციის შემდეგ.

თავი V
სახელმწიფო მიწის და სხვა უძრავი ქონების შესყიდვა და სარგებლობის უფლების გაუქმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის

მუხლი 13. სახელმწიფო მიწის და სხვა უძრავი ქონების შესყიდვა და სარგებლობის უფლების გაუქმება სახელმწიფო და საზოგადოებრივი საჭიროებისათვის

სახელმწიფო და საზოგადოებრივი ინტერესებიდან გამომდინარე, აუცილებლობის შემთხვევაში, სახელმწიფოს აქვს უპირატესი უფლება შეისყიდოს მიწის ნაკვეთი და მიწასთან მყარად დაკავშირებული უძრავი ქონება ან გააუქმოს მიწის ნაკვეთით სარგებლობის უფლება საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად.

თავი VI
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 14. გარდამავალი დებულებანი

1. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნორმატიული ფასის განსაზღვრის მეთოდიკას კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში ამტკიცებენ საქართველოს ეკონომიკის სამინისტრო და ფინანსთა სამინისტრო მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტთან შეთანხმებით.

2. ამ კანონის ამოქმედებიდან ერთი თვის ვადაში საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტი, ურბანიზაციისა და მშენებლობის, სახელმწიფო ქონების მართვის სამინისტროებთან და სხვა დაინტერესებულ დაწესებულებებთან შეთანხმებით ამტკიცებს სახელმწიფო მიწის სარგებლობაში ან საკუთრებაში გადაცემაზე კონკურსის ან აუქციონის ჩატარების წესს.

3. საქართველოს სასაზღვრო ზონაში მოქცეული მიწის გასხვისების წესი განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

4. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც „ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ“ საქართველოს კანონის საფუძველზე გადავიდა კერძო საკუთრებაში.

თავი VII
დასკვნითი დებულებანი

მუხლი 15. დასკვნითი დებულებანი

1. ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

2. ამ კანონის ამოქმედებასთან დაკავშირებით:

ა) მიწის მოსარგებლე ფიზიკურმა და იურიდიულმა პირებმა მიწის ნაკვეთებით სარგებლობის დამადასტურებელი დოკუმენტები გააფორმონ ამ კანონის მიღებიდან ერთი წლის განმავლობაში;

ბ) „სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის არასასოფლო-სამეურნეო მიზნით გამოყოფისას სანაცვლო მიწის ათვისების ღირებულებისა და მიყენებული ზიანის ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს კანონის ამოქმედების გამო ძალადაკარგულად ჩაითვალოს „არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით გამოყოფილი მიწების სანაცვლოდ ახალი მიწების ათვისების ნორმატივის დამტკიცებისა და სასოფლო-სამეურნეო პროდუქციის წარმოების დანაკარგების ანაზღაურების შესახებ“ საქართველოს რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს 1991 წლის 21 იანვრის №31 დადგენილება.

3. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის დროებით მაკონტროლებელი სეპარატისტული სტრუქტურების მიერ მიწის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით მიღებული აქტები ბათილია.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 28 ოქტომბერი.

საქართველოს კანონი

ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადების შესახებ

თავი I
ზოგადი დებულებანი

მუხლი 1. კანონში გამოყენებულ ტერმინთა განმარტება

კანონში გამოყენებულ ტერმინებს აქვს შემდეგი მნიშვნელობა:

ა) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის კერძო საკუთრებად გამოცხადება – ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მათ სარგებლობაში არსებულ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭება;

ბ) არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი – მიწის ყველა ნაკვეთი, რომელიც სასოფლო-სამეურნეო დანიშნულებით არ გამოიყენება;

გ) სარგებლობაში არსებული მიწის ნაკვეთი – დადგენილი წესით ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის გამოყოფილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთი;

დ) მიწის გამოყოფის დადგენილი წესი – მიწით მოსარგებლისათვის არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის გამოყოფის დროისათვის მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული მიწის გამოყოფის წესი;

ე) გამოყოფილი მიწა – ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი საბუთით განსაზღვრული ფორმით სარგებლობაში გადაცემული მიწა;

ვ) მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი საბუთი – ამ კანონის ამოქმედებამდე დადგენილი წესით რომელიმე შესაბამისი სამსახურის მიერ გაცემული მიწის ნაკვეთის მიმაგრების აქტი ან მიწის ნაკვეთის გეგმა ან სათანადო წესით მათი დამოწმებული ასლი;

ზ) შესაბამისი სამსახური – სახელმწიფო ან ადგილობრივი თვითმმართველობისა და მმართველობის ორგანოები, საქართველოს ურბანიზაციისა და მშენებლობის სამინისტროსა და მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ცენტრალური და ტერიტორიული ორგანოები.

მუხლი 2. კანონის რეგულირების სფერო

1. ეს კანონი აწესრიგებს ფიზიკური პირებისა და კერძო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ საკითხებს.

2. ფიზიკურ პირებსა და კერძო სამართლის იურიდიულ პირებს კერძო საკუთრების უფლება მიენიჭებათ მათ სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების შემდეგ მიწებზე:

ა) პრივატიზებულ (კერძო) საწარმოთა სარგებლობაში არსებული არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე;

ბ) ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირებისათვის სარგებლობაში დადგენილი წესით გამოყოფილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე.

3. ამ კანონის მოქმედება არ ვრცელდება:

ა) საჯარო სამართლის იურიდიული პირების სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;

ბ) სახაზინო საწარმოების სარგებლობაში არსებულ სახელმწიფო საკუთრების არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწებზე;

გ) მაგისტრალური მილსადენებით, მიწისქვეშა კომუნიკაციებით, მაღალი ძაბვის ელექტროგადამცემი ხაზებით, რკინიგზისა და სხვა სატრანსპორტო მაგისტრალებით, საზღვაო ნავსადგურებით, ჰიდროტექნიკური ნაგებობებით დაკავებულ და მათ სანიტარიულ-ტექნიკურ ზონას მიკუთვნებულ მიწებზე, აგრეთვე ნავმისადგომების ექსპლუატაციის უზრუნველსაყოფად არსებულ ტერიტორიებზე და სახელმწიფოს მიერ ისტორიის, ბუნებისა და კულტურის ძეგლებად მიჩნეულ სახელმწიფო საკუთრების ნაგებობების დაცვითი ზონების მიწებზე;

დ) დროებითი სარგებლობის უფლებით გამოყოფილ იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ადგილობრივი თვითმმართველობის ან მმართველობის ორგანოების მოთხოვნისთანავე მოყვანილ უნდა იქნეს პირვანდელ მდგომარეობაში და რაც აღნიშნულია მიწათსარგებლობის უფლების დამადასტურებელ საბუთში;

ე) იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსის ამოქმედებიდან ითვლება ფიზიკური პირების ან კერძო სამართლის იურიდიული პირების საკუთრებად;

ვ) ყველა სხვა არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ამ მუხლის მე-2 პუნქტით არ არის გათვალისწინებული.

მუხლი 3. ფიზიკური პირისა და კერძო სამართლის იურიდიული პირის სარგებლობაში არსებულ მიწის ნაკვეთებზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭების წესი

1. კერძო საკუთრების უფლება ენიჭებათ საქართველოს მოქალაქეს და საქართველოს კანონმდებლობის შესაბამისად რეგისტრირებულ კერძო სამართლის იურიდიულ პირს იმ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთებზე, რომლებიც ამ კანონის ამოქმედებამდე მათ მიწით სარგებლობის დამადასტურებელი საბუთით აქვთ გამოყოფილი. ამ მიწის ნაკვეთებზე ვრცელდება საქართველოს სამოქალაქო კოდექსით უძრავი ნივთებისათვის გათვალისწინებული წესები.

2. მიწის ნაკვეთზე კერძო საკუთრების მინიჭებისას ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი მიწის ერთ კვადრატულ მეტრზე იხდის ერთჯერად საზღაურს 1998 წლის 1 ოქტომბრისათვის საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის წლიური გადასახადის ოდენობით.

3. ამ მუხლის მე-2 პუნქტით დაწესებული ერთჯერადი საზღაური გადაიხდება 1998 წლის 31 დეკემბრამდე. ამ ვადის გასვლის შემდეგ ერთჯერადი საზღაური ორმაგდება.

4. თუ ფიზიკური პირი ან კერძო სამართლის იურიდიული პირი არ გადაიხდის ამ კანონით დადგენილ ერთჯერად საზღაურს, იგი ვალდებულია 1999 წლის 31 დეკემბრამდე მიწის ნაკვეთი გააფორმოს საქართველოს სამოქალაქო კოდექსით დადგენილი სარგებლობის (იჯარა, აღნაგობა, უზუფრუქტი, ქირავნობა) ფორმით. ამ მუხლის მე-2 და მე-3 პუნქტებით განსაზღვრული ერთჯერადი საზღაურის გადახდისთანავე მას მიენიჭება მიწაზე კერძო საკუთრების უფლება.

5. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებისათვის ერთჯერადი საზღაურის გადახდა მიწის კერძო საკუთრებაში მიმღებ სუბიექტს არ ათავისუფლებს საქართველოს საგადასახადო კოდექსით დადგენილი მიწის გადასახადისაგან.

6. ფიზიკური და იურიდიული პირებისათვის დადგენილი წესით ბინათმშენებლობისათვის გამოყოფილი მიწის ნაკვეთი, რომელიც საქართველოს სამოქალაქო კოდექსით კერძო საკუთრებად არ გამოცხადებულა, უსასყიდლოდ გადადის მათ საკუთრებაში, გარდა იმ მიწის ნაკვეთებისა, რომლებიც გამოყოფილი ჰქონდათ სახელმწიფო უწყებებსა და ორგანიზაციებს საბინაო მშენებლობისათვის.

მუხლი 4. რეგისტრაციის წესი

1. საკუთრების ან სარგებლობის უფლება მიწის ნაკვეთზე, რომელიც ამ კანონის საფუძველზე მიენიჭება ფიზიკურ პირს ან კერძო სამართლის იურიდიულ პირს, პირველადი რეგისტრაციის ფორმით რეგისტრირდება მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ზონის რეგისტრატურაში ამ კანონის, საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და „მიწის რეგისტრაციის შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად.

2. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის პირველადი რეგისტრაცია წარმოებს მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელი საბუთის საფუძველზე, რომელიც ოფიციალურად აღრიცხული ან გაცემულია რომელიმე შესაბამისი სამსახურის მიერ.

3. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კერძო საკუთრების უფლების პირველადი რეგისტრაციისათვის განმცხადებელი რეგისტრატორს წარუდგენს შემდეგ დოკუმენტებს:

ა) განცხადებას;

ბ) მიწით სარგებლობის უფლების დამადასტურებელ საბუთს;

გ) კერძო საკუთრების უფლების მისანიჭებელ მიწის ნაკვეთთან მყარად დაკავშირებულ უძრავ ქონებაზე საკუთრების დამადასტურებელ საბუთს;

დ) საქართველოს საგადასახადო კოდექსით განსაზღვრული მიწის გადასახადისა და ამ კანონით დადგენილი ერთჯერადი საზღაურის გადახდის დამადასტურებელ საბუთს;

ე) კერძო სამართლის იურიდიული პირის რეგისტრაციის შესახებ სასამართლოს გადაწყვეტილების ასლს.

4. განცხადებისა და თანდართული საბუთების წარდგენისას რეგისტრატორი ან მისი უფლებამოსილი პირი განცხადების ასლზე ხელის მოწერით, თარიღის მითითებითა და ბეჭდის დასმით ადასტურებს მათ მიღებას.

5. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწაზე კერძო საკუთრების უფლების რეგისტრაციას რეგისტრატორი ან მისი უფლებამოსილი პირი ახორციელებს განცხადების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში.

6. თუ რეგისტრატორი ან მისი უფლებამოსილი პირი უარს ამბობს განცხადების მიღებაზე ან კერძო საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე, იგი ვალდებულია განცხადების მიღებიდან 10 დღის განმავლობაში წერილობით აცნობოს განმცხადებელს უარის დასაბუთებული მიზეზი.

7. მიწაზე საკუთრების უფლების რეგისტრაციაზე ფიზიკურ ან იურიდიულ პირს შეიძლება ეთქვას უარი, თუ:

ა) ვერ წარადგინა ამ მუხლის მე-3 პუნქტით განსაზღვრული საბუთები;

ბ) არსებულ დოკუმენტში დაფიქსირებული სარეგისტრაციო მიწის ნაკვეთი ან მასზე განლაგებული შენობა-ნაგებობანი სხვა ფიზიკური ან იურიდიული პირის საკუთრებაა.

მუხლი 5. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ გარიგებათა ბათილობა

1. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხებს და გარიგებათა ბათილად ცნობის საკითხებს განიხილავს სასამართლო.

2. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებულ სადავო საკითხთა განხილვისა და გარიგებათა ბათილად ცნობის უფლებრივი და ქონებრივი შედეგები განისაზღვრება საქართველოს კანონმდებლობით.

3. მიწაზე კერძო საკუთრების უფლების მინიჭებასთან დაკავშირებული სადავო საკითხების განხილვის ხანდაზმულობის ვადაა 3 წელი.

II თავი
გარდამავალი დებულებანი

მუხლი 6. გარდამავალი დებულებანი

1. ამ კანონის ამოქმედების შემდეგ სახელმწიფო ქონების პრივატიზება ხდება იმ მიწის ნაკვეთთან ერთად, რომელზედაც ის არსებული წესით არის დამაგრებული „სახელმწიფო ქონების პრივატიზების შესახებ“ საქართველოს კანონის შესაბამისად, საქართველოს მიწის მართვის სახელმწიფო დეპარტამენტის ორგანოებთან შეთანხმებით.

2. საქართველოს სასაზღვრო ზონაში მოქცეული მიწებით სარგებლობა რეგულირდება „სახელმწიფო საზღვრის შესახებ“ საქართველოს კანონით.

3. საქართველოს ტერიტორიის ნაწილის დროებით მაკონტროლებელი სეპარატისტული სტრუქტურების მიერ მიწის სამართლებრივ სტატუსთან დაკავშირებით მიღებული აქტები ბათილია.

III თავი
დასკვნითი დებულება

მუხლი 7. დასკვნითი დებულება

ეს კანონი ამოქმედდეს გამოქვეყნებისთანავე.

საქართველოს პრეზიდენტი
ედუარდ შევარდნაძე.

თბილისი, 1998 წლის 28 ოქტომბერი.

აქტუალური ინტერვიუ

უსინდისობასთან კომპრომისი დაუშვებელია



(პირველი გვერდიდან)

ახლახან ეს დოკუმენტი გამოქვეყნდა პრესაში, ბევრი იურისტი მას გაეცნო, თითქმის ყველა დაინტერესებულმა პირმა გულდასმით წაიკითხა და დარწმუნდა, რომ იურიდიულად ის საკმაოდ დაუსაბუთებელია.

თქვენ იცით, რომ კანონი საერთო სასამართლოების შესახებ არ ეწინააღმდეგება საქართველოს კონსტიტუციას. მან საკმაოდ დიდი ექსპერტიზა გაიარა, — როგორც სამართლებრივი, ისე პოლიტიკური: ჯერ პარლამენტამდე, შემდეგ — პარლამენტშიც. მოსამართლეთა უფლებამოსილების შეწყვეტის საკითხიც ასევე საკმაოდ საჯაროდ იყო განხილული და მას პარლამენტმაც დაუჭირა მხარი. პრობლემა ეხება ახალი სახელმწიფოს აღმშენებლობას, ამ სახელმწიფოს სასამართლო სისტემას, რომელიც ახალი კონსტიტუციის შესაბამისად უნდა ჩამოყალიბდეს. ეს გადაწყვეტილება სწორედ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე არჩეული ახალი საკანონმდებლო ორგანოს — პარლამენტის მიერ არის მიღებული. ბუნებრივია, საკანონმდებლო ორგანოს უფლება აქვს მიიღოს ის გადაწყვეტილება, რომელიც ამა თუ იმ ეტაპზე ქვეყნისთვის აუცილებელია. ეს თავსდება თანამედროვე დემოკრატიული სახელმწიფოების აღიარებული პრინციპების და ღირებულებების ფარგლებში. ანალოგიური რამ მოხდა აღმოსავლეთ ევროპის ქვეყნებში. ასე რომ, ამ მხრივ საქართველო რაიმე გამონაკლისს არ წარმოადგენდა. მაგალითად, ხორვატიამ, სლოვენიამ, ლიტვამ, მოლდოვამ მიიღეს ზუსტად ანალოგიური გადაწყვეტილებანი. იქ ხაზგასმით თქვეს, რომ სასამართლო რეფორმის ფარგლებში მოსამართლეთათვის ასეთი უფლებამოსილების შეწყვეტა შეესაბამება კონსტიტუციას და მოსამართლეთა უცვლელობის პრინციპი ვრცელდება მხოლოდ ახალი კონსტიტუციის საფუძველზე დანიშნულ მოსამართლეებზე. და ეს, სხვათა შორის, ძალიან კარგად მიუთითა ბატონმა გია მეფარიშვილმა თავის განსხვავებულ აზრში, რომელიც საკმაოდ დასაბუთებული იყო. იმიტომ კი არა, რომ მეც მის აზრს ვიზიარებ, არამედ იმიტომ, რომ მეფარიშვილის გადაწყვეტილებაში იკითხებოდა მაღალი კვალიფიკაციის იურისტის ნააზრევი. როგორც ჩანს, ის გაეცნო ლიტერატურას მანამ, ვიდრე ამ გადაწყვეტილებას მიიღებდა, გაეცნო მსგავს პრეცედენტებს სხვა ქვეყნებში და ამდენად, პირადად ჩემთვის, რაც საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება გამოქვეყნდა, გია მეფარიშვილის განსხვავებული აზრი უფრო დამაჯერებლად გამოიყურება, ვიდრე ის დოკუმენტი.

— ამ საკითხზე თქვენ თავიდანვე (თუნდაც ტელევიზიისთვის მიცემულ ინტერვიუს ვგულისხმობ), უფრო აკადემიურ, ნაკლებად ემოციურ სტილში მსჯელობდით, რაიმე განსაკუთრებული აღშფოთება არც გამოგიხატავთ. ხომ არ თვლით, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ეს გადაწყვეტილება გარკვეული დოზით მოსალოდნელიც კი იყო?

— მე შევეცადე ჩემი აღშფოთება საზოგადოებისთვის თავს არ მომეხვია. სინამდვილეში მეც საკმაოდ აღელვებული ვიყავი სწორედ იმ მოულოდნელობის გამო, რომელზეც ზემოთ ვისაუბრე. ბოლოს და ბოლოს, საკონსტიტუციო სასამართლომ პრაქტიკულად დიდი ეჭვისა და კითხვის ნიშნის ქვეშ დააყენა სასამართლო რეფორმა... მაგრამ, როცა ავწონ-დავწონე ყველაფერი, სხვებთან ერთად, ამ გადაწყვეტილებიდან გამომდინარე, ბევრ პრობლემაზე ვიმსჯელე, დავრწმუნდი, რომ საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას ნამდვილად არ შეუძლია სასამართლო რეფორმის ჩაშლა. სწორედ ამან მომცა შესაძლებლობა ტელემაყურებლებთან დამშვიდებულს მესაუბრა.

ისიც მინდა იცოდეთ, რომ რეფორმის განხორციელება სულაც არ იქნება იოლი: ჩვენ მოგვიწევს საკანონმდებლო ცვლილებების მომზადება. პირველ რიგში, ეს ცვლილება საკონსტიტუციო სასამართლოს ერთ-ერთი კოლეგიის გადაწყვეტილების გასაჩივრების შესაძლებლობას შეეხება. ეს კანონში უნდა იყოს გათვალისწინებული. როგორც პრეზიდენტმა თავის ამასწინანდელ რადიოინტერვიუში ბრძანა, კოლეგიის დასკვნა არ შეიძლება იყოს საბოლოო, ისეთი, რომელიც თვით საკონსტიტუციო სასამართლოს შიგნით გადასინჯვას არ დაექვემდებარება.

— გასაგებია, მაგრამ საკონსტიტუციო სასამართლო ხომ თავისთავად მართლმსაჯულების უმაღლესი ორგანოა. ვთქვათ, გაასაჩივრეთ, მაინც ვინ მიიღებს საბოლოო გადაწყვეტილებას?

— საბოლოო გადაწყვეტილებას მიიღებს საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი. საკონსტიტუციო სასამართლო შედგება ორი კოლეგიისაგან — პირველი და მეორე, მაგრამ ზოგ უმნიშვნელოვანეს საკითხზე საბოლოო გადაწყვეტილებას საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმი იღებს. ამ შემთხვევაში, ვთქვათ, უმცირესობაში მყოფი კოლეგიის წევრს გია მეფარიშვილს რომ ჰქონოდა ამის შესაძლებოლბა, ჩემი აზრით, ის აუცილებლად მოითხოვდა კოლეგიის გადაწყვეტილების გადასინჯვას სწორედ საკონსტიტუციო სასამართლოს პლენუმზე.

— კი, მაგრამ, თუ პლენუმი არსებობს, ხელს რაღა უშლიდა?

— პლენუმი კი არსებობს, მაგრამ, ეს ჯერ კანონში არ დევს, სწორედ ამიტომ ეს ცვლილება აუცილებლად უნდა შეიტანონ კანონში, რომ ასეთი შეცდომისაგან მომავალში დაზღვეულნი ვიყოთ.

მოსახლეობის დიდი ნაწილი ნდობით მოეკიდა სასამართლო რეფორმას, ეს რომ ასეა, ამას საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილების შემდეგ საზოგადოების რეაქციაც ადასტურებს. საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლე ამას უთუოდ უნდა უწევდეს ანგარიშს, სხვაგვარად ის საზოგადოებას მოწყდება. ამიტომაც არის, რომ მოსამართლეებს აქვთ ნორმის ინტერპრეტაციის უფლება, ნორმის განმარტების უფლება, ნორმის არსის დადგენის უფლება. სხვათა შორის, ეს მხოლოდ მოსამართლეს, მით უფრო საკონსტიტუციო სასამართლოს მოსამართლეს აქვს, სხვას არავის!

— ბატონო ლადო! სასამართლოს რეფორმას ხალხი მართლაც იმედის თვალით უყურებს და დარწმუნებულია, რომ სახელგატეხილ, კორუმპირებულ სასამართლოებში მალე განათლებული, პრინციპული, ხელფასით უზრუნველყოფილი პიროვნებები მივლენ და ყველაფერი მოწესრიგდება. ბუნებრივია, ამას გაუსვა ხაზი ფრაქცია „მოქალაქეების" ლიდერმა, პარლამენტარმა მიხეილ სააკაშვილმაც, როცა სტრასბურგში ეს გადაწყვეტილება შეიტყო. იქვე მან პირდაპირ დაასახელა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, რომლებიც კორუმპირებულნი არიან და მათი საკონსტიტუციო სასამართლოში ყოფნა არ შეიძლება! თქვენ როგორ ფიქრობთ, რამდენად გამართლებულია საკონსტიტუციო მოსამართლეებზე ასეთი ემოციური თავდასხმა?

— უწინარეს ყოვლისა, მინდა შევეხო ბატონ მიხეილ სააკაშვილის აღშფოთებას. მე სრულიად ვიზიარებ მის გულისტკივილს და მინდა საჯაროდ განვაცხადო: მიხეილ სააკაშვილს არაფერი ამოძრავებს, გარდა საქართველოს ნორმალურ სამართლებრივ სახელმწიფოდ ჩამოყალიბების სურვილისა. და როცა ის ასეთ შეფასებას აძლევს საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას, ერთადერთი რამ აღელვებს — გაჭირვებული ხალხის ბედი, იმ საცოდავი ადამიანების ბედი, რომელთაც სასამართლოებში სირბილით არაქათი გამოეცალათ და პრაქტიკულად სამართალს ვერ მიაღწიეს. სამწუხაროდ, ასეთი ადამიანები მრავლად არიან ჩვენს საზოგადოებაში. ასე რომ, ეს არის მიხეილ სააკაშვილის სრულიად გულწრფელი, სწორი რეაქცია იმ ფაქტზე, რომელიც ჩვენს თვალწინ მოხდა რეფორმის პირმშო ორგანოს მიერ. სწორედ ეს არის ჩემთვისაც ყველაზე მტკივნეული.

— ესე იგი, სწორია, როცა ეს გადაწყვეტილება აღიქმება როგორც სასამართლო რეფორმისადმი, ახალი სახელმწიფოს მშენებლობისადმი, პატიოსანი ხალხისადმი საკუთარი „შვილების" მხრიდან უზნეობის, კრიჭაში დგომის საუკეთესო მაგალითად?

— რა თქმა უნდა, ნამდვილად ასეა. ამიტომაც, ვიმეორებ: ეს იყო მართალი ადამიანის მიხეილ სააკაშვილის სრულიად ლოგიკური აღშფოთება, რომელსაც ელემენტარულად არ სურს უსინდისობასთან კომპრომისი. ჩვენი თაობისთვის, პრეზიდენტის ჯგუფისთვის, რეფორმის „მამებისთვის" უსინდისობასთან კომპრომისი დაუშვებელია!

— თქვენ ბრძანებთ, რომ რეფორმა არამც თუ ჩაიშლება, არც შეფერხდება და სრული სვლით გაგრძელდება. გამოდის, რომ მალე საქართველო სრულყოფილი სამართლებრივი სახელმწიფო გახდება. მაინც, როგორ და როდის მიაღწევთ ამას?

— მინდა ასევე სახალხოდ ვთქვა, რომ „ძველ" მოსამართლეთა დიდი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს ამ გადაწყვეტილებას მხარს არ უჭერს. ეს გამოჩნდა მოსამართლეთა ასოციაციის მიერ გამართულ სხდომაზეც, რომელიც ამ დღეებში გაიმართა. დიდი ჯგუფი მოსამართლეებისა გამოცდაზე გამოვიდა. სხვა საქმეა, რომ ცოდნა ბევრს არ ეყო და ჩაიჭრა, მომავალში მოსამართლეთა დიდი ნაწილი საკონსტიტუციო სასამართლოს ამ პრივილეგიით არ ისარგებლებს. ეს ერთი. მეორე — მომავალი წლიდან ამოქმედდება სააპელაციო და საოლქო სასამართლოები. ეს იმას ნიშნავს, რომ, პრაქტიკულად, ფილტრი, აუცილებელი ფილტრი პირველი ინსტანციის სასამართლოების მიერ განხორციელებულ ფაქტებზე ჩვენ გვექნება. მომავალი წლიდან ეს, როგორც დაგეგმილი იყო, ზუსტად ისე განხორციელდება. რაც შეეხება პირველი ინსტანციის მოსამართლეთა უფლებამოსილების საკითხს, საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება იძლევა იმის საფუძველს, რომ ჩვენ სხვაგვარად მოვახდინოთ ამ პროცესის დაჩქარება და არ ველოდოთ 2001 წელს. ამის შესაძლებლობა არის, საკანონმდებლო ტაქტიკის (ტექნიკის) თვალსაზრისით ამის გადაწყვეტა შეიძლება და დიდ პრობლემას არ წარმოადგენს. საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილება პირიქით დააჩქარებს ზოგიერთი პრობლემის მოგვარებას. ზოგიერთი პოლიტიკოსის საყვედური იმის შესახებ, რომ ჩვენ ვჩქარობთ, არასწორია. ვჩქარობთ იმიტომ, რომ ეს რეფორმა ძალიან სჭირდება ხალხს სწორედ დღეს, სწორედ ახლა, თორემ იმის თქმა, რომ 10-15 წლის შემდეგ გვექნება სრულყოფილი სამართლებრივი სისტემა, დღევანდელი გაჭირვებულისათვის ვერაფერი ნუგეშია..

აი, მაგალითად, რითი უნდა ვანუგეშოთ ჩვენ ისეთი ადამიანი, როგორიც დღეს იყო ჩემთან — უსამართლობისგან გულმოკლული პროფესორი, თავის დასთან ერთად რომ ცხოვრობს 6 კვადრატულ მეტრ ოთახში და უფლება აქვს მის გვერდით გამოთავისუფლებულ ფართზე. თურმე, სხვა შემოიჭრა ამ ფართში! ყველა ინსტანცია მოიარა პროფესორმა, თითქოს, გაიმარჯვა კიდეც, მაგრამ, საბოლოოდ სასამართლოში მაინც მისი საწინააღმდეგო გადაწყვეტილება მიიღეს... ვუთხრათ ასეთ კაცს, რომ 15 წელიწადი ელოდოს სასამართლოს რეფორმას? ნუთუ, დღესვე არ უნდა ავიმაღლოთ ხმა ამ უმსგავსობის წინააღმდეგ? ნუთუ, ვინმე ამაში დაგვძრახავს? სხვა რამ, არც მე, არც მიშა სააკაშვილს არ გვამოძრავებს. ვიმეორებ, ვჩქარობთ იმიტომ, რომ ვხედავთ ტოტალურ უსამართლობას და არ გვინდა ამას შევეგუოთ!

— მერწმუნეთ, თქვენს მხარეზეა ხალხი, ჩვენი მორალი, ეთიკური ნორმები, თუმცა, ცალმხრივად მორალი და ეთიკა ტოტალურ უზნეობას ვერ მოშლის, მთავარია სასამართლო რეფორმა ბოლომდე განხორციელდეს და მეუვალი სამართლებრივი სისტემა ჩამოყალიბდეს.

— რა თქმა უნდა, მთავარი სისტემაა. ჩამოყალიბდება კიდეც. იუსტიციის საბჭო უკომპრომისოა მოქმედი მოსამართლეების მიმართაც, ვინც წესრიგს, ეთიკის ნორმებს არღვევს, ვინც უღიერად ეპყრობა მოქალაქეებს. 30-ზე მეტი დისციპლინური დევნა აღიძრა მოსამართლეების წინააღმდეგ. ეს პროცესი გაგრძელდება. ასე რომ, სასამართლო ხელისუფლების წარმომადგენლებს ჩვენ არ მივცემთ შესაძლებლობას ბოროტად გამოიყენონ თანამდებობით მინიჭებული უფლებები. აქ ჩვენ უკომპრომისონი ვიქნებით.

სასამართლო რეფორმის განხორციელებას ვჩქარობთ იმიტომ, რომ ჩვენს გვერდით ტოტალურ უსამართლობას ვხედავთ და არ გვინდა ამას შევეგუოთ!

— როგორ წარმოგიდგენიათ კონკურსში გამარჯვებული მოსამართლეების დაფინანსების, მაღალი ხელფასებით მათი უზრუნველყოფის პრობლემა? ფინანსურად დაუძლურებული, საბიუჯეტო ტერორის პირობებში მცხოვრები ქვეყანა მოახერხებს ყოველთვიურად მოსამართლეებს მინიმუმ 500-500 ლარი გადაუხადოს?

— საერთოდ, გულწრფელად უნდა ვთქვა, რომ ჩვენი სახელმწიფოს ყველაზე დიდი, უმძიმესი და უპირველესი პრობლემა დღეს სწორედ ფინანსური პრობლემაა. ახლა ჩვენთან არის კატასტროფული მდგომარეობა, რისი ახსნაც არაფრით არ შეიძლება.

— თუ იუსტიციის მინისტრი, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ერთ-ერთი რეფორმატორი ამას ახსნას ვერ უპოვის, მაშინ რიგითმა ადამიანებმა, სახელმწიფო ბიუჯეტს შემყურე 300 000-ზე მეტმა მოსამსახურემ და 900.000-ზე მეტმა პენსიონერმა რა ქნას?

— ეს სერიოზული პრობლემაა და სერიოზული გადაწყვეტილებებია მისაღები. კერძოდ, ის მოვალეობა, რომელიც აკისრია სახელმწიფო სამსახურებს და გარკვეული თანამდებობის პირებს, აუცილებლად უნდა შესრულდეს! არადა, სასამართლო რეფორმას კი არა, საერთოდ ვერანაირ რეფორმას ვერ განვახორციელებთ. არ სჭირდება რეფორმა იმას, რომ რიგითმა სახელმწიფო მოხელემ ხელფასი მიიღოს. თუ სასამართლო რეფორმის დაფინანსება არ გახდა პრიორიტეტული, როგორც ეს იყო წლის დასაწყისში და როგორც არის გათვალისწინებული მომავალი წლისთვისაც, მაშინ რეფორმა დაგვრჩება შიშველ სიტყვებად. მე ძალიან არ მინდა, რომ ეს ასე მოხდეს.

— აღურიცხავი, ფალსიფიცირებული პროდუქციის პრობლემაზე რას იტყვით? ეს ხომ სპობს ჩვენს მეწარმეობას, აკნინებს სახელმწიფო ბიუჯეტს...

— სრულიად გეთანხმებით, აღურიცხავი და ფალსიფიცირებული საქონელი სპობს ჩვენს მეწარმეობას და კეთილსინდისიერ ხალხს არა მარტო სტიმულს უკარგავს, არამედ შრომის ყოველგვარ საფუძველსაც აცლის. ეს ღუპავს არა მარტო მეწარმეებს, არამედ თვით სახელმწიფოსაც. თუ აღრიცხვის საკითხი დღემდე ვერ მოწესრიგდა, ისევ და ისევ ჩვენი ბრალია, ამას სხვას ვერავის გადავაბრალებთ.

— მაინც, ვინ იგულისხმება ამ „ჩვენში"?

— აი, ჩვენი, აღმასრულებელი ხელისუფლების ბრალია. 1994 წელს მივიღეთ კანონი მეწარმეობის შესახებ. ამ კანონს ჰქონდა კონკრეტული საბუღალტრო წესები, აქვს დღესაც... იმ დღიდან მოყოლებული, მისი დანერგვა ვერ მოხერხდა. პრაქტიკულად ჩვენ უნიფიცირებული საბუღალტრო წესები არა გვაქვს. არადა, სწორედ აქედან მოდის ბევრი დარღვევა. ჩვენ ახლა ვმუშაობთ ე. წ. სამეურნეო დანაშაულებზე. ჩვენში მსგავსი დანაშაულები შემოიფარგლება ორი ან სამი მუხლით, მაშინ, როდესაც დასავლეთის ქვეყნებში არის 500-მდე სხვადასხვანაირი შემადგენლობა სამეურნეო დანაშაულისა, რომლისთვისაც პასუხს აგებენ! მაგალითად — სერიოზული პასუხისმგებლობაა ინფორმაციის მიუწოდებლობისათვის, ფალსიფიცირებული პროდუქციის გამოშვებისთვის, აღურიცხავი პროდუქციისთვის და ა. შ. ჩვენთან, პრაქტიკულად, ამისთვის არვინ არ ისჯება. გამოდის, რომ სახელმწიფო სამსახურებს, რომლებიც ამით უნდა ინტერესდებოდნენ, პირიქით, სურთ, რომ ასეთი მდგომარეობა ბევრგან იყოს. სხვანაირად ვერ ავხსნით იმას, დღემდე რატომ ხუჭავს თვალს სახელმწიფო, როცა ბაზრობებზე ამდენი აღურიცხავი, ფალსიფიცირებული საქონელია და აქედან ბიუჯეტში არაფერი შედის!

— დავუშვათ, მოხდა სასწაული, გამკაცრდა მოთხოვნები და ყველა მეწარმემ გადაწყვიტა ბოლომდე აღრიცხოს ყველაფერი, ბოლომდე გადაიხადოს საბიუჯეტო შესატანები და თავი გაწიროს გაკოტრებისთვის (ბევრ მეწარმეს მიაჩნია, რომ თუ ყველაფერი გადაიხადე, აუცილებლად გაკოტრდებით), პერსპექტივაში საბაზრო ეკონომიკის გზაზე მდგარი ჩვენი სახელმწიფო ხომ ფინანსურად მაინც განწირულია? ნუთუ არ შეიძლება ოქროს შუალედის გამოძებნა?

— გამოსავალი არის ის, რომ საგადასახადო კანონმდებლობა უნდა შეიცვალოს. არამც და არამც არ შეიძლება კანონების მექანიკური გადმოღება სხვა ქვეყნებიდან. არ გახლავთ უსაფუძვლო ის საყვედურები და კრიტიკა, რომლებიც საგადასახადო კოდექსის გამო გაისმის. ის მალე უნდა შეიცვალოს და ჩვენს რეალურ ვითარებას მიესადაგოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, ჩვენ უარეს მდგომარეობაში აღმოვჩნდებით. სხვათა შორის, დღეს ევროპაში ყველაზე კარგი, მისაღები საგადასახადო კანონი აქვს სლოვენიას, რომელიც გერმანელებთან თანამშრომლობით გაკეთდა. საჭიროა ამაზე ფიქრიც, ოღონდ, ვიმეორებ, სხვისი ნორმები მექანიკურად კი არ უნდა გადმოვიღოთ, არამედ ჩვენს რეალობას მოვარგოთ. წინააღმდეგ შემთხვევაში ის უკან ბუმერანგივით დაგვიბრუნდება. საქართველოს საგადასახადო კოდექსი უნდა იყოს ყველასთვის გასაგები და ხელმისაწვდომი. ჩვენთან არ არის საგადასახადო კონსულტანტების სამსახური, არ არის ამ კანონმდებლობის შესახებ ხელმისაწვდომი ინფორმაცია, ზეობს უფლებრივი ვაკუუმი. ამიტომაც, მიდის საგადასახადო ინსპექტორი და რაც უფრო მეტ დარღვევაში „გამოიჭერს" მეწარმეს, მით უფრო მეტ თანხას ჩაიჯიბავს. ეს პრობლემა, უწინარეს ყოვლისა, სახელმწიფოს მოსაწესრიგებელია. თუ ჩვენ სასწრაფოდ არ გავაკეთეთ ეს, მდგომარეობა კიდევ უფრო დამძიმდება. მოგეხსენებათ, საბიუჯეტო დავალიანება 100 მილიონ ლარზე მეტია!... ასეთი ფინანსური კრიზისის პირობებში რა უნდა გააკეთოს ან იუსტიციის, ან შინაგან საქმეთა, ან უშიშროების, თუ თავდაცვის სამინისტრომ? თუ სახელმწიფო მოხელეებს ელემენტარული სოციალური პირობები არ გვექნა, რა უნდა ვქნათ? მოსამართლეს თუ ხელფასი არ მიეცი, ხომ იძულებული გახდება ქრთამი აიღოს?

— საფინანსო კრიზისის მთავარ მიზეზებზე რას იტყვით?

— მიზეზი მრავალია. ამის შესახებ თქვენი გაზეთის ფურცლებზე ამას წინათ დაწვრილებით ილაპარაკა ფინანსთა მინისტრმა, მაგრამ საბაჟო და საგადასახადო სამსახურების ჩავარდნები მე მაინც გამოუცდელობის ბრალი მგონია. საბაჟო და საგადასახადო სამსახურები ხომ ჩვენთან რამდენიმე წლის წინათ შეიქმნა. სრულფასოვნების მიღწევა არც ისე იოლია, ამას ათეული წლები სჭირდება. როგორც ჩანს, სწავლებაც უფრო საფუძვლიანი უნდა იყოს....

— აღურიცხაობის, საფინანსო ტერორის პრობლემა ე. წ. მფარველი ანგელოზების ანუ „კრიშების" არსებობას უკავშირდება. არის ერთი გაუთავებელი მითქმა-მოთქმა სახელმწიფო სტრუქტურებში მოკალათებული კორუმპირებული „უზინაზინების" შესახებ. თქვენ რას იტყვით, მართლა ასეა?

— სამწუხაროდ, ასეა. მე არა თუ გამოვრიცხავ ასეთი „კრიშების" არსებობას, არამედ დავადასტურებ კიდეც, რადგანაც, ელემენტარულად შეუძლებელია იმ ფინანსური უზრუნველყოფის პირობებში, რომელშიც სახელმწიფო მოსამსახურეები არიან, იცხოვრონ ისე, როგორადაც სინამდვილეში ცხოვრობენ! ეს პირველ რიგში ადმინისტრაციული ორგანოების ზოგიერთ მუშაკს ეხება! ამიტომაცაა, რომ ნებისმიერი მეწარმე, მცირე ბიზნესით დაკავებული პიროვნებაც კი, იძულებულია ვიღაცას შეეკრას, რომ ერთად უფრო თამამად, უდარდელად დამალონ ყოველგვარი შემოსავალი და სახელმწიფო ფეხებზე დაიკიდონ.

სამწუხაროდ, ჩვენი დღევანდელი რეალობა ზუსტად ასეთია.

ამიტომაც, ყოველივე ამაზე პასუხისმგებლობა ვიღაცამ უნდა იკისროს და თქვას: სახელმწიფოს ამდენი მოსამსახურე არ სჭირდება, სჭირდება გაცილებით ნაკლები, ოღონდ კარგად უზრუნველყოფილი ხელფასით და სახელმწიფოებრივი პასუხისმგებლობით. ხაზგასმით მინდა განვაცხადო: თუ დღეს ერთმა მუჭა ფანატიკოსებმა, ქვეყანაზე შეყვარებულმა ადამიანებმა გარდატეხა ვერ შეიტანეთ ჩვენს ცხოვრებაში, ხვალ გვიან იქნება და საქართველო კორუმპირებული სახელმწიფო გახდება, რომელიც ვერანაირ პოლიტიკურ მიზანს ვერ მიაღწევს. კორუმპირებული სახელმწიფო აპარატის ხელში ხომ რაიმეს მიღწევა ძალიან ძნელია. ნებისმიერი მტერი იყიდის იმ მოსამსახურეს, რომელიც შენ ქვეყნის ერთგული გგონია. ყველაზე დიდი პრობლემა ჩვენი სახელმწიფოსი ისიც არის, რომ მას არ ჰყავს ერთგული ადამიანები. 20-25 ლარზე მომუშავე ადამიანი კი შეუძლებელია სახელმწიფოს ერთგული იყოს. აქ არ არის ლაპარაკი მხოლოდ მინისტრებზე, მაღალი თანამდებობის პიროვნებებზე, აქ ლაპარაკია იმ რიგით ადამიანებზე, რომელთა მხრებზეც ძირითადად დგას სახელმწიფო. მსოფლიოს ყველა ქვეყანაში, ზოგჯერ ჩვენთანაც, კერძო ფირმები რიგით იურისტებს დიდ ხელფასს აძლევენ და უმაღლეს პასუხისმგებლობასაც აკისრებენ... აი, ეს უნდა შევძლოთ, აი, ეს უნდა ვისწავლოთ, თორემ მთავრობის წევრების შეცვლას და ახალი ხალხის მოსვლას თავისთავად არაფერი ახალი არ მოჰყვება, გარდა იმისა, რომ ყოველი ახალი წევრის მოსვლა-წასვლით იმედიც ქრება...

— ქვეყანაში ბოლო ხანებში ბევრი რამ კარგი გაკეთდა, მაგრამ თითქოს ამას ნაკლებ ყურადღებას ვაქცევთ. სამაგიეროდ, „ვბრავთ" იმ ნაკლოვანებებს, რომლებიც, არც მეტი, არც ნაკლები, ყველამ ერთად უნდა გადავწყვიტოთ....

— გადაბრალების პოლიტიკა ოდენ ჩვენი სენი არ არის, ეს თითქმის ყველა განვითარებადი (და არა მარტო განვითარებადი) ქვეყნის საერთო ტკივილია. მიზანში ამოიღებენ ხოლმე პრეზიდენტებს, პრემიერ-მინისტრებს, ცალკეულ მინისტრებს და ა. შ. ამის არ უნდა შევეშინდეს, სიფხიზლისთვის ეს კარგიც არის, მაგრამ საფინანსო პრობლემებს თუ დროზე არ მოვუარეთ, ვიმეორებ, ხვალ კიდევ უფრო გაგვიჭირდება და ჩვენი ყველანაირი მცდელობა რეფორმების განხორციელებისა ჩაიშლება....

მე ოპტიმისტი ვარ და მჯერა, რომ ამ პრობლემასაც მოევლება. ამის იმედს მაძლევს ბოლო სამი წლის მანძილზე ჩვენში განხორციელებული გარდაქმნები. ნუ დაგვავიწყდება, რომ სწორედ 3-4 წლის წინათ საქართველო უკაცრიელ უდაბნოს ჰგავდა, თბილისში მანქანაც არ დადიოდა, ხალხს გარეთ გამოსვლისა ეშინოდა... თანდათან მდგომარეობა შეიცვალა, ბევრი რამ ვისწავლეთ, სახელმწიფოც ყალიბდება და მომავლის იმედიც არის.

ეს იმედი მასულდგმულებს და რწმენას მმატებს...

— ბატონო ლადო, კორუმპირებული „ღლავებისაგან" ხომ არ ყოფილა იუსტიციის ახალი მინისტრის დაშინების ან მოსყიდვის მცდელობა?

— არა. ვერავინ შემაშინებს და მომისყიდის. მე მეშინია ჯერ კიდევ ჩამოუყალიბებელი სახელმწიფოებრივი სისტემების გამო რაიმე გამოუსწორებელი შეცდომა არ მომივიდეს და დაუმსახურებელი კრიტიკა არ „დავიმსახურო"....

— ახალგაზრდა კაცს, რომელიც ამდენს შრომობს და ასე ღრმად ფიქრობს, წესით, გამოუსწორებელი შეცდომა არ უნდა მოუვიდეს...

— ღმერთმა გისმინოთ!

ესაუბრა
სპარტაკ ძოგულია.

რეგიონი

ვანის გამგებელი აკაკი კოპალეიშვილი კიდევ ერთ სიახლეზე მესაუბრება...

— დღეს სოფელი რომ ფეხზე დააყენო, სახსრები გჭირდება. სახსრები კი ჩვენვე უნდა მოვიპოვოთ. მოვიპოვეთ კიდეც. სწორედ ვანში, იმერეთის მხარეში პირველად გაიხსნა **ევროგაერთიანების საკრედიტო ხაზი**, რომლითაც 56 ათასი ლარის ინვესტიცია მოვიზიდეთ და ევროგაერთიანების საკრედიტო კავშირი დავაარსეთ, სადაც დღეისთვის 14 ფერმერი გაერთიანდა. მათ თავიანთი ბიზნესგეგმა წარმოგვიდგინეს, რომელიც გამგეობაზე განვიხილეთ — გამოვუყავით 87 ჰექტარი ფართობი, რომელზეც დაითესა მარცვლეული კულტურები და სწორედ ის ვანური ხახვი, რომლის წარმოების აღორძინებაც პრეზიდენტმა დაგვავალა.

— სიმართლე რომ გითხრათ, ვიდრე თქვენთან მოვიდოდი სასაუბროდ, პირადად გავეცანი ამ გაერთიანების მუშაობას, ვიყავი მინდვრებში, ბოსტნებში, ვესაუბრე მის ხელმძღვანელებს, წევრებს. როგორც დავრწმუნდი, ასეთი რამ მართლაც ახალი ხილია არა მხოლოდ ჩვენი სოფლისთვის, არამედ ჩვენთვის — ჟურნალისტებისთვისაც.

თანადგომა,
ანუ როცა გული გულობს...

ნავთობკონცერნი და ევროკავშირი ლვინიანიძის წიწაკის ბოსტანში

ევროგაერთიანების ვანის საკრედიტო გაერთიანებაში ახალი ყაიდის ფერმერები დამხვდნენ. ძველი კოლმეურნეობის გამგეობის შენობაში შემიძლვნენ და ფერმერთა კავშირის თავმჯდომარესთან რომან ლვინიანიძესთან მიმიყვანეს.

შუახანს გადაცილებული კაცია რომან ბატონი, მაგრამ მისი ენერგია და მონდომება, როგორც აქ ამბობენ, ბევრ ახალგაზრდასაც შეშურდება. გამოცდილება, იცოცხლეთ, იმდენი აქვს, რომ ფერმერთა კავშირს კი არა, მთელ სოფელს ეყოფა. — ეს საქმე, — მეუბნება ბატონი რომანი, შარშან წამოვიწყეთ ჩვენი რაიონის გამგებლის აკაკი კოპალეიშვილის ინიციატივითა და დახმარებით. მისივე ხელშეწყობით იჯარით გადმოგვეცა 90-მდე ჰექტარი, ევრობანკმა გამოგვიყო კრედიტი, რითაც დავამუშავეთ ჩვენი ფართობები... 44 ჰექტარზე დავთესეთ სიმინდი, კარტოფილი — 17 ჰექტარზე, საზამთრო — 11 ჰექტარზე, ვანური ხახვი — 9 ჰექტარზე. მიუხედავად წლევანდელი არნახული გვალვისა, მოსავალი მაინც კარგი მოვიწიეთ. უკვე გავყიდეთ კარტოფილი, ხახვი, ახლა სიმინდის და სხვა კულტურების მოსავალს ვაბინავებთ. ცხადია, გადავიხადეთ გადასახადებიც, მალე მოგების გადასახადსაც შევიტანთ ბიუჯეტში. შემდეგ ჩვენი საუბარი მანქანაში გაგრძელდა.

— მე უფრო ის მაინტერესებს, საკუთარ ოჯახებში რა შეიტანეთ თქვენ და თქვენმა თანაფერმერებმა?

— მე, პირადად ჩემი 10 ჰექტარიდან, ნახევარზე სიმინდი მქონდა დათესილი. ჰექტარზე საშუალოდ 22 ცენტნერი მივიღე. ეს რეკორდული მოსავალი იყო წლევანდელი ზაფხულის პირობებში. გაწეული ხარჯები ასევე კარგად აგვინაზღაურა კარტოფილმა, რომლიდან 300 კილოგრამი სოფლის საბავშვო ბაღს ვაჩუქე. ჩემი ოჯახიდან ამ საქმიანობაში სამნი ვიყავით ჩაბმული და როგორც წინასწარ დავიანგარიშეთ, წლეულს, საშუალოდ, 5.000 ლარზე მეტი შემოსავალი უნდა გვქონდეს. ასევე შემოუვათ ჩემს პარტნიორ ფერმერებსაც.

— საშუალება ხომ არ გექნებათ დროებით რომ მიშველოთ?

— ვეხუმრები ბატონ რომანს.

— ღმერთო მომკალი, — ხელს შუბლზე ირტყამს იმერელი კაცი და გამომწვევად მეკითხება:

— რავა, ჟურნალისტებსაც გჭირდებათ კარტოფილი?

— ისე კი, ჩემო ბატონო, — უკვე სერიოზულად განაგრძობს ჩემი თანამოსაუბრე, — ჩვენც და რაიონის ხელმძღვანელობაც თუ ასე გავაგრძელებთ, გაერთიანება უფრო გაფართოვდება. თუ კერძო სტრუქტურა საბოლოოდ დამკვიდრდა, სოფელიც ფეხზე წამოდგება და ბიუჯეტიც. ამ პროცესის უმთავრეს სიკეთეს იმაში ვხედავ, რომ სოფლის ახალგაზრდობა დასაქმდება, შეწყდება მათი ლტოლვა ქალაქისაკენ. თუ ამ დარგის მესვეურებმა ისევე არ იზრუნეს სოფლისთვის, როგორც ამას ჩვენი რაიონის ხელმძღვანელი აკეთებს, თუ პარლამენტმაც არ გაგვიმტკიცა საკანონმდებლო ბაზა იმისათვის, რომ მყარად დავდგეთ ფეხზე, თუ არ გამოიძებნა გლეხობისთვის დაბალპროცენტიანი კრედიტები, ინვესტიციები, სოფელი ვერ მომძლავრდება. ძლიერი სოფელი კი ძლიერ ქვეყანას ნიშნავს. ევროგაერთიანების კრედიტმა ყველა პირობა შეგვიქმნა, რათა სათანადოდ მოგვემზადებინა ნიადაგი, დაგვეთესა, შეგვეწამლა, გადაგვეხადა მუშათა ხელფასი და აგვეღო მოსავალი. ახლა ისიც იანგარიშეთ, 14 ფერმერის უკან 14 ოჯახი, დაახლოებით 60 კაცი დგას, ისიც, რომ თითოეული ჩვენგანი ქირაობდა დამხმარე მუშახელს. წელს დაახლოებით 110 კაცი დავიქირავეთ. მათაც კარგი გასამრჯელო მიიღეს. რაც შეეხება ბიუჯეტის შენატანებს, მარტში 4 500 ლარი შევიტანეთ, დღემდე კი უკვე 18 ათასი ლარი გვაქვს გადახდილი.

მოგეხსენებათ, ვანი ისეთი რაიონია, სადაც თავისუფლად შეიძლება ორი მოსავლის მიღება. კარტოფილის მოსავალი რომ ავიღე, იქვე კომბოსტო დავთესე და ნოემბრის ბოლოს 30-35 ტონა მოსავალს ველოდები. უკვე მომზადებული მაქვს ფართობი ნოემბრის ბოლოს ხახვის დასათესად, რომელსაც გაისად მაისში მივიღებ, შემდეგ აქ რომელიმე ერთწლიან კულტურას დავთესავ და ოქტომბერ-ნოემბერში მეორე მოსავალი მექნება. ახლა ჩვენ, ფერმერები საკუთარი თავის უფროსებიც ვართ. არავინ გვიკარნახებს რა და როდის დავთესოთ. ჩვენ კარგად ვიცით ჩვენი საქმე და, როგორც ხედავთ, ბედსა და იღბალს არ ვუჩივით.

ამასობაში რიონის პირას მდებარე ჭალებს ავუყევით და გაერთიანების ბოსტნებში აღმოვჩნდით. ბატონი რომანი სიამაყით მიჩვენებს ნაკარტოფილარზე დათესილ კომბოსტოს, რომელიც საცაა თავს დაიხვევს. საუბარში ისე ვიყავით გართული, რომ ვერც კი შევამჩნიე როგორ აღმოვჩნდი უზარმაზარი მილების ტყვეობაში.

— რომან ბატონო, რატომ არაფერი მითხარით, თურმე ბაქო-სუფსის მილსადენის პატრონიც ყოფილხართ... რაღა თქვენს ბოსტანს დაუმიზნეს ამ ოჯახამშენებულებმა? — ვხუმრობ...

— ახლა იმისთანა რამეს გეტყვი, არ დამიჯერებ... აი, ამ ადგილას, სადაც ეს უშველებელი მილები დევს, წიწაკა მეთესა. რაღაც 20-25 ტომარა მოსავალს ველოდი. ერთხელაც, დილით სამუშაოდ რომ მოვედი, აქ ეს მილები და ხალხი დამხვდა... უცხოურად ლაპარაკობდნენ. ჩვენებური კაცი ახლდათ... გამოვიყვანე და ვუთხარი ხუმრობით — რა იყო, შე კაცო, ეს მილები რაღა ჩემს წიწაკას დაუმიზნე-მეთქი. ამეიღო ბატონო, გადამიშალა ქაღალდი და მითხრა — ა, ზუსტად შენი წიწაკის ბოსტანზეაო ხაზი გავლებული. ამასობაში უცხოელი კაცი მოგვიახლოვდა და სიტყვაში ჩაგვერთო. — ასე ამბობს, ზარალს აგინაზღაურებთო, — მომითარგმნა ჩვენებურმა.

— რავა გეკადრებათ-მეთქი, ბატონო, რაკი იმას ველირსე, რომ ჩემი წიწაკა ამხელა საერო საქმეს უნდა შეეწიროს, თქვენი ჭირიც წაუღია-მეთქი, — ვუთხარი. მაგრამ თქვენ არ მომიკვდეთ, მოიკლა თავი ამ კაცმა, — როგორ, თქვენს კერძო მიწაზე შემოვიჭერით, გადაგითხარეთ, მოსავალი გაგიფუჭეთ, მერე უხერხულ მდგომარეობაში ჩაგაგდეთ. ეს მსხვერპლი ანაზღაურებას ექვემდებარება, ასეთია ჩვენი წესიო, მითხრა და დაამთავრა.

— დაიღუპე, მთავრობამ ან გამგებელმა რომ გაიგოს, ვიღაცა იმერელმა კაცმა ამ საშვილიშვილო საქმეს მკეთებლებს წიწაკის ფული მოსთხოვა, ხომ მომეჭრა თავი, ვიფიქრე და კატეგორიულად გამოვეუცხადე, — არც იფიქროთ ჩემს წიწაკაზე-მეთქი. მოვრჩი და გავათავე.

მეორე დილით რომ მივედი, ის ჩვენებური კაცი მოვიდა, უწყისზე ხელი მომაწერინა, კონვერტი გადმომცა... შიგ რომ ჩავიხედე, სახტად დავრჩი. იმდენი ფული იყო, მთელი საქართველოს სამყოფ წიწაკას ვიყიდდი.

— რა უთარგმნე ამისთანა იმ კაცს, რომ ასე მომჭრერი თავი მეც და მთელ საიმერეთოსაც-მეთქი, — ვუსაყვედურე....

— რა მეშველება ახლა ამ ამბავმა პრეზიდენტის ყურამდე რომ მიაღწიოს... ხომ შემინახავ სიტყვას? — მეკითხება ბატონი რომანი და ეშმაკურად იღიმება.

ახალი ცხოვრების წესი თავს ვანშიც იმკვიდრებს.

სიტყვა გავუტეხე ლვინიანიძეს და ევროკავშირის ვანის გაერთიანების წიწაკის ამბავი მისვლისთანავე ჩავუკაკლე რაიონის გამგებელს. მართლაც, ბევრი რამ ხდება საინტერესო და უჩვეულო ჩვენს ირგვლივ. ახალი საზოგადოებრივი ურთიერთობები ახალ ატმოსფეროს ამკვიდრებს ჩვენში. ამ რამდენიმე წლის წინათ, მართლაც ვინ წარმოიდგენდა იმას, რომ ვანელი გლეხის ბოსტანში საუკუნის ნავთობმაგისტრალი გაივლიდა და მნიშვნელოვნად შეცვლიდა ჩვენი ქვეყნის ცხოვრებას, მის მომავალს...

გარდა ევროკავშირის საკრედიტო კავშირისა, მსოფლიო ბანკის პროგრამით რაიონში კიდევ შეიქმნა ოთხი ასეთი გლეხთა კავშირი, რომლებშიც გაერთიანდა სოფლების: შუამთის, ბზვანის, ყუმურისა და სალხინოს 80 ფერმერი... კარგი მაგალითი რომ გადამდებია, ამის შედეგი მომავალ წელსვე გამოჩნდება.

29 ოქტომბრის მშვიდი საღამო იდგა, ჩვენი საუბარი რომ გავაგრძელეთ ვანის ერთ-ერთ უმშვენიერეს წალკოტში — სულორის ბალნეოლოგიური კურორტის ერთ-ერთი კოტეჯის აივანზე, რომელსაც ირგვლივ უზარმაზარი კედრების ტყე აკრავს. მართლაც, საოცარი იყო სულორი, ხოლო უფრო საოცარი ის ტელერეპორტაჟი, რომელსაც უშუალოდ ანკარიდან გადმოსცემდნენ ჩემი კოლეგები.

გია ჭელიძე,
„სრ" სპეც. კორ.
ვანი—თბილისი.

სურათებზე: სულორის ულამაზესი ხედი; ნავთობსადენი ლვინიანიძის ბოსტანში გაივლის.

ავტორის ფოტო.

(დასასრული იქნება).

გაგრძელება. დასაწყისი იხ. „სრ" № 293.



სტენლი ფიშერი საერთაშორისო სავალუტო ფონდისა და კრიზისის შესახებ

მსოფლიოში არსებული ეკონომიკურ და ფინანსური პრობლემების ფონზე არაერთი კრიტიკული მოსაზრება გამოთქმულა საერთაშორისო სავალუტო ფონდის საქმიანობის მიმართ. გასული თვის ჟურნალ „ეკონომისტში" გამოქვეყნდა სსფ მმართველი დირექტორის მოადგილის სტენლი ფიშერის სტატია „მსოფლიო ფინანსების რეფორმა" – კრიზისის გაკვეთილები", რომელშიც ავტორი აანალიზებს სსფ როლს რიგ ქვეყნებში შექმნილი საფინანსო და ეკონომიკური კრიზისების დაძლევის პროცესში.

დღეს მსოფლიოს წამყვანი საფინანსო ინსტიტუტების წინაშე სამი ძირითადი პრობლემა დგას: აზიის ქვეყნებისა და რუსეთისათვის დახმარების პროგრამების შემუშავება, საერთაშორისო საფინანსო არქიტექტურის ჩამოყალიბება, შექმნილ კრიზისულ მდგომარეობაზე რეაგირება საერთაშორისო სისტემის დაზიანების გარეშე.

ს. ფიშერი განიხილავს სსფ მიერ ტაილანდში, ინდონეზიასა და სამხრეთ კორეაში განხორციელებული პროგრამების შედეგებს. აღნიშნული პროგრამები მიზნად ისახავდა ამ ქვეყნებში მაკროეკონომიკური სტაბილურობისა და შემდგომი განვითარების უზრუნველყოფას, არსებული სტრუქტურული ნაკლოვანებების აღმოფხვრას, ითვალისწინებდა საპროცენტო განაკვეთების გაზრდას, რაც თავის მხრივ, ხელს შეუწყობდა ადგილობრივი ვალუტების სტაბილიზაციას. ეს მიღწეულ იქნა სამხრეთ კორეასა და ტაილანდში, სადაც ინფლაციის დონე კრიზისის წინა პერიოდთან შედარებით 35-40 პროცენტით ნაკლებია. მართალია, საპროცენტო განაკვეთების გაზრდამ გარკვეული უარყოფითი შედეგები გამოიწვია, მაგრამ, მათ მხოლოდ დროებითი ხასიათი აქვთ, მაშინ როდესაც, შემდგომი დევალვაცია უფრო მძიმე ეფექტს იქონიებდა. რაც შეეხება ინდონეზიას, აქ არსებულ პრობლემებს კიდევ უფრო ამწვავებს სუხარტოს რეჟიმის აღსასრულით გამოწვეული კაპიტალის მასობრივი გადინება და ინვესტორთა მხრიდან ნდობის დაკარგვა. ყოველივე ამის გამოსწორებას დრო და ფრთხილი პოლიტიკურ-ეკონომიკური ზომების განხორციელება სჭირდება.

სტენლი ფიშერის აზრით, დღეს სულ უფრო აქტუალური ხდება სსფ პროგრამებში სტრუქტურული ზომების გათვალისწინება, ვინაიდან საჭიროა საფინანსო და მმართველობის სფეროების არაეფექტიანობის აღმოფხვრა.

სსფ მიერ შემუშავებული პროგრამების ნაკლებეფექტიანობის მიზეზად სტენლი ფიშერი ორ მომენტს ასახელებს: ადგილობრივი მთავრობების პასიურობას და გარე ეკონომიკური გარემოს გაუარესებას, რაც მნიშვნელოვანწილად იაპონიის რეცესიით იქნა გამოწვეული.

რუსეთში შექმნილ ვითარებაზე საუბრისას ავტორი აღნიშნავს, რომ 1992 წლიდან დაწყებული სსფ წამყვან როლს ასრულებდა დასავლეთის მიერ რუსეთში დაწყებული ეკონომიკური რეფორმისადმი დახმარების საქმეში. ეს დახმარება თავიდანვე იყო დაკავშირებული სირთულეებთან, ვინაიდან რეფორმატორებს არასოდეს ჰქონიათ სრული კონტროლი ეკონომიკურ პოლიტიკაზე. მიუხედავად გარკვეული პროგრესისა, ქვეყნის მთავრობამ ვერ შესძლო სასურველი პოლიტიკის განხორციელება: სუსტ ეკონომიკურ თუ ფინანსურ მდგომარეობას გარე შოკური სიტუაციებიც დაემატა, რამაც თავის მხრივ შეუძლებელი გახადა კრიზისის თავიდან აცილება. რუსეთის მთავრობა ადრე თუ გვიან იძულებული გახდება დაუბრუნდეს ეკონომიკის სტაბილიზაციისა და შემდგომი რეფორმირების ამოცანებს. საერთაშორისო თანამეგობრობაც, თავის მხრივ, შეძლებს ფინანსური დახმარების გაგრძელებას. დღეს კი, სსფ ხელი უნდა შეუწყოს ადგილობრივ ხელისუფლებასა და კრედიტორებს შორის შეთანხმების მიღწევას სახელმწიფო სახაზინო ვალდებულებების რესტრუქტურიზაციისა და კერძო ვალების გადახდაზე დროებითი მორატორიუმის მოხსნის საკითხებში.

სტენლი ფიშერი სსფ რეფორმირების საკითხსაც განიხილავს და აღნიშნავს, რომ ფონდის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს მის ოპერაციებში უფრო მეტი გამჭვირვალობის მიღწევას. რაც უფრო მეტი ინფორმაცია გამოქვეყნდება სსფ ოპერაციების შესახებ, მით უფრო თვალსაჩინო გახდება მის მიერ წარმოებული საქმიანობა. ამ მიმართულებით უკვე გადაიდგა გარკვეული ნაბიჯები, მაგრამ უფრო მეტის გაკეთებაც შეიძლება, რა თქმა უნდა, წევრი ქვეყნების მხრიდან სრული მხარდაჭერის შემთხვევაში.

ფონდის ხელმძღვანელობა მხარს უჭერს მის ოპერაციებში უფრო მეტი გამჭვირვალობის მიღწევას. რაც უფრო მეტი ინფორმაცია გამოქვეყნდება სსფ ოპერაციების შესახებ, მით უფრო თვალსაჩინო გახდება მის მიერ წარმოებული საქმიანობა.

და ბოლოს, მსოფლიო საფინანსო და ეკონომიკურ სფეროებში შექმნილი რთული ვითარების დასაძლევად სტენლი ფიშერი საჭიროდ მიიჩნევს ოთხი ამოცანის განხორციელებას: 1. ფულად-საკრედიტო პოლიტიკის შეცვლას ამერიკასა და ევროპაში; 2. იაპონიის საფინანსო სფეროსადმი დახმარებას, რაც თავის მხრივ, დადებითად იმოქმედებს დანარჩენი აზიის გამოჯანმრთელებაზეც; 3. ყურადღების გააქტიურებას ლათინური ამერიკის მიმართ, რადგან კრიზისის გავრცელების თავიდან აცილების გასაღების სწორედ ეს რეგიონია, ხოლო რეგიონში – ბრაზილია, რომელმაც ფინანსურ ზეწოლას ფულად-საკრედიტო და ფისკალური პოლიტიკის გამკაცრებით უპასუხა; 4. საერთაშორისო საფინანსო სისტემის რეფორმირებას.

სსფ, რომელსაც ამ სისტემაში ცენტრალური ადგილი უჭირავს, მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებებისადმი ადაპტაციის პროცესში საჭიროებს წევრი-სახელმწიფოების მხარდაჭერას, და, რაც განსაკუთრებით აქტუალურია, – კვოტების გაზრდას.

მასალა მოამზადა

თეა კენჭაძემ,

სახელმწიფო კანცელარიის საგარეო პოლიტიკის ანალიზის განყოფილების რეფერენტმა.

მოდის ახალი ცვლა

უმნიშვნელოვანესი საქმით არიან დაკავებული ბანგლადეშელი გავროშები – ისინი რევოლუციურ ბრძოლას ეწევიან. საკუთრივ, რისთვის და ვის წინააღმდეგ იბრძვიან, ხეირიანად არ იციან, მაგრამ კმაყოფილი არიან იმით, რომ უფროსი ამხანაგები აქებენ. „ჩვენი საქმეა – პატარებს იარაღი მივცეთ, – ამბობენ გამოცდილი რევოლუციონერები, – გაივარჯიშონ თვალი, რათა ისწავლონ მტერ-მოყვარის გარჩევა. მაგალითად, პოლიციელი „ბუაა", მაშასადამე, მას ბომბი უნდა ესროლო..."

„დაშნაკცუტუნი" ომს უცხადებს კორუფციას

„დაშნაკცუტუნის" პარტიამ გამართა მიტინგი, რომელზეც მისმა ლიდერებმა განაცხადეს, რომ პროგრესის გზაზე მთავარ დაბრკოლებად რჩებიან ყოფილი პრეზიდენტის ტერპეტროსიანის რეჟიმის ფარული და აშკარა აპოლოგეტები და იმისათვის, რომ ისინი საბოლოოდ მოიცილონ თავიდან, საჭიროა სასწრაფოდ მიეცეს პოლიტიკური შეფასება ყოფილი ხელისუფლების ქმედობას. „დაშნაკცუტუნელებმა" გადაწყვიტეს, სიტყვიდან საქმეზე გადასულიყვნენ. მათ უკვე დაასახელეს 11 ყოფილი მაღალი თანამდებობის მოხელე, რომლებმაც, მამხილებელთა თქმით, დაანიავეს ქვეყნის მთელი ეროვნული ქონება. ბრალდებულთა შორის არიან სომხეთის ყოფილი მაღალი თანამდებობის პირნი საბაჟო სამმართველოს უფროსი, ერთ-ერთი ოლქის გუბერნატორი, ერევნის მერი, სამოქალაქო ავიაციის სამმართველოს უფროსი, პარლამენტის ვიცე-სპიკერი, სომხეთის უშიშროების სამსახურის შეფი და ზოგიერთი სხვა.

დუდაევის ქვრივი ჯოჰარგალაში ბრუნდება

1996 წლის აპრილი. „ჩეჩნეთის რესპუბლიკის პირველი პრეზიდენტი ჯოჰარ დუდაევი მისთვის ნასროლი რუსული რაკეტის აფეთქების შედეგად დაიღუპა". მე ვიყავი ერთი იმათგანი, ვისაც ეს უაღრესად საიდუმლო ვითარებაში ოფიციალურად გაანდო საველე მეთაურმა ახმედ ზაკაევმა, წერს „კომსომოლსკაია პრავდას" კორესპონდენტი ალექსანდრე ევტუშენკო, და განაგრძობს: მეორე დღეს მაშინდელმა ვიცეპრეზიდენტმა ზელიმხან იანდარბიევმა ილაპარაკა დუდაევის დაკრძალვის ფოტო და ვიდეოსაბუთებზე, რომელშიც მხოლოდ რამდენიმე მასთან განსაკუთრებით დაახლოებული ადამიანი მონაწილეობდა, მაგრამ, ეს მასალები არავისთვის უჩვენებიათ. საიდუმლოდ დარჩა ჩეჩენი პრეზიდენტის დაკრძალვის ადგილიც, რუსი ჯარისკაცების ვანდალიზმისაგან დასაცავად...

ამასობაში კი პერიოდულად ვრცელდებოდა ხმები, დუდაევი ცოცხალიაო. ამბობენ, რომ უმძიმესი ჭრილობის შემდეგ იგი სტამბოლის ერთ-ერთ კლინიკაში მკურნალობს. ამ ხმებს აღვივებდა დუდაევის ნათესავი სალმან რადუევიც, რომელიც ამტკიცებდა, რომ არაერთგზის შეხვედრია ჯოჰარს უკვე 1996 წლის აპრილის შემდეგ. სულ ცოტა ხნის წინათ კი რუსეთის სახელმწიფო სათათბიროს დეპუტატმა ალექსანდრე მიტროფანოვმა გამოაცხადა, რომ მას ხელთ აქვს „სიკვდილის შემდეგ" დუდაევის თურქეთს გამგზავრების დამამტკიცებელი საბუთები.

და აი, პრეზიდენტ მასხადოვისა და ჩეჩენი გენერლების შეხვედრაზე გადაწყდა, ბოლო მოეღოთ ჭორებისათვის. გადაწყვეტილება დაემთხვა სამახსოვრო თარიღს: სოფელ გეხი-ჩუში ამ რამდენიმე დღის წინათ აღინიშნა პირველი ჩეჩენი პრეზიდენტის ინაუგურაციის წლისთავი და მისი დაღუპვის ადგილი მემორიალური ლოდით შეამკეს. აქამდე, რამდენიმე დღით ადრე თურქეთიდან ჩამოვიდა ალევტინა დუდაევა ვაჟიშვილითურთ. ქვრივს განზრახული აქვს, ჯოჰარგალაში სამუდამოდ დარჩეს.

ლტოლვილებს აზერბაიჯანში ორი მილიარდი დარჩენიათ

სომხეთის სოცუზრუნველყოფის სამინისტრომ გამოაქვეყნა მონაცემები მატერიალური ზარალის შესახებ, რომელიც სომეხ ლტოლვილებს მიადგა 1988-1992 წლებში. მაგალითად, იუწყებიან, რომ მარტო აზერბაიჯანში დატოვებული ფულადი ანაბრები დაახლოებით 2 მილიარდ აშშ დოლარს შეადგენს. სულ, სამინისტროს მონაცემებით, სომხეთში ამ წლების მანძილზე იძულებით გადავიდა 419 ათასი ლტოლვილი და ადგილნაცვალი, მათ შორის, 360 ათასი აზერბაიჯანიდან, ჩეჩნეთიდან, აფხაზეთიდან, ტაჯიკეთიდან. 70 ათასი კაცი, რომელმაც სამუშაო ვერ იშოვა ისტორიულ სამშობლოში, კვლავ წავიდა სომხეთიდან, ხოლო 14 ათასი დღესაც უსახლკაროდ ცხოვრობს. ეს სტატისტიკა კიდევ უფრო მძიმედ გამოიყურება თუ მათ დავუმატებთ ათასობით იმ უბედურს, ვინც ცის ამარა დარჩა სპიტაკის 1988 წლის მიწისძვრის შემდეგ, წერს „იზვესტია".

რატომ ჰგონიათ გაეროვნულება ტუდი?

ბოლო დროს რატომღაც ითვლება, რომ ნაციონალიზაცია, ანუ გაეროვნულება ქვეყნის ძარცვასა და გაპარტახებას ნიშნავს. თურმე, აღმავლობის გზაზე მდგომი იაპონიაც კი გაეროვნულებას ნორმალურ პროცედურად თვლის კრიზისის პირობებში. იაპონიის პრემიერმა ამ რამდენიმე დღის წინათ სახელმწიფო კონტროლი დაუწესა უდიდეს LTB ბანკს. ბანკი გაკოტრდა, მეანაბრენი ცოდონი არიანო. მართალია, ბანკის ექსპროპრიაცია სამუდამოდ არ მომხდარა: ერთ წელიწადში ფეხზე დააყენებენ და კარგ ხელს გადასცემენ.

რადიო თავისუფლება

ავღანეთ თალიბთა ხელმძღვანელობამ გააფრთხილა აშშ ხელისუფალნი, რომ, მოითხოვენ რა საერთაშორისო ტერორისტის უსამა ბენ ლადენის გადაცემას, ისინი საფრთხეში აგდებენ საზღვარგარეთ მყოფი საკუთარი მოქალაქეების სიცოცხლეს. თალიბების ოფიციალურ განცხადებაში ხაზგასმულია, რომ აშშ ბენ ლადენის დევნით მთელ სამაჰმადიანოს გადაიმტერებს. თალიბები აცხადებენ, რომ ბენ ლადენი მათი საპატიო სტუმარია და მისი გადაცემის მოთხოვნები არღვევს ავღანეთის სუვერენიტეტსა და დამოუკიდებლობას.

ნიუ-იორკში გაეროს შენობასთან ძეგლი დაუდგეს შვედ დიპლომატს რაულ ვალენბერგს, რომელმაც მეორე მსოფლიო ომის დროს ათიათასობით უნგრელი ებრაელი გადაარჩინა სიკვდილს. ბუდაპეშტის განთავისუფლების შემდეგ საბჭოთა ჯარებმა ვალენბერგი შეიპყრეს, და იგი რუსეთის საკონცენტრაციო ბანაკებში დაიღუპა. მონუმენტის გახსნაზე გამოსული ნობელის პრემიის ლაურეატის ელი ვიზელის თქმით, ვალენბერგმა დაამტკიცა, რომ „ადამიანური თვისებები შეიძლება არაადამიანურ პირობებშიც გამოიჩინო".



ეგვიპტის საგარეო საქმეთა მინისტრმა ამრ მუსამ შეშფოთება გამოთქვა სამაჰმადიანოს ქვეყნებში ბირთვული იარაღის შესაძლო გამოჩენის გამო. მისი თქმით, ამას მოჰყვება გამალებული შეიარაღების დაწყება ახლო აღმოსავლეთში.

საბერძნეთმა განაცხადა, რომ ბლოკირებას მოუწყობს ევროპის კავშირის გაფართოების მოლაპარაკებას, თუ არ განიხილავენ კვიპროსის, როგორც ევროკავშირის ერთ-ერთი მომავალი ახალი წევრის კანდიდატურას. მან ბრალად დასდო ევროკავშირის დანარჩენ წევრებს, რომ მეტისმეტად ელოლიავებიან თურქეთს, რომელმაც ოკუპაციაჰყო კუნძულის ჩრდილოეთის ნაწილი, ამ განცხადებით საბერძნეთი გამოეხმაურა საფრანგეთის, გერმანიის, იტალიისა და ჰოლანდიის პოზიციას, რომლებმაც ეჭვქვეშ დააყენეს კვიპროსის მიღების მიზანშეწონილება, სანამ კუნძულის ბერძნული და თურქული თემები არ მიაღწევენ შეთანხმებას.



ვაშინგტონმა სერბებსა და კოსოველ ალბანელებს მოუწოდა მეტი თავშეკავება გამოიჩინონ კონფლიქტში. კერძოდ, აშშ სახელმწიფო დეპარტამენტმა სერბთა პოლიციას და კოსოველ ალბანელებს შეახსენა, რომ პატივი უნდა სცენ ოქტომბერში მიღწეულ დაზავების მორიგებას, ამასთან, დაგმო ორი სერბი პოლიციელის მკვლელობა.

ჩრდილოეთ კავკასიის ასობით მცირე ნავთობგადასამუშავებელი ქარხანა არალეგალურად იყენებს ბაქო-ნოვოროსიისკის სადენის ნავთობს. მარტო სტავროპოლის მხარის სამ რაიონში 20-ზე მეტი ქარხანა დღეში 20-20 ტონა იაფ ბენზინს აწარმოებს. ლიტრი საწვავი 70 კაპიკად იყიდება.

კიშინიოვსა და ტირასპოლს შორის ძირფესვიანად იცვლება ურთიერთობა უკეთესობისაკენ. თუ წინათ ისინი ერთმანეთს დიალოგის გაჭიანურებას აბრალებდნენ, ახლა ცხადყოფენ მტკიცე გადაწყვეტილებას პრაქტიკული შედეგების მისაღწევად. დნესტრისპირეთის ლიდერის იგორ სმირნოვისადმი მიმართვაში მოლდავეთის პრეზიდენტმა პეტრე ლუჩინსკიმ მოუწოდა, მხარი დაუჭირონ რესპუბლიკის ინიციატივას, რომელმაც ცალმხრივი წესით გამოაცხადა თავისი მშვიდობისმყოფელი ძალების შემცირება, და საბოლოოდ მიაღწიონ უშიშროების ზონის დემილიტარიზაციას, უზრუნველყონ სტაბილური მშვიდობა რეგიონში.

ბელგრადის პოლიციამ დააყადაღა დამოუკიდებელი გაზეთის „დნევნი ტელეგრაფის" მთელი გუშინდელი ტირაჟი მას შემდეგ, რაც გაზეთმა ვერ გაისტუმრა 120 ათასი დოლარი ჯარიმა. რედაქციას ჯარიმა დაეკისრა პრეზიდენტის რეჟიმის შესახებ კრიტიკული მასალის პუბლიკაციისათვის.

საფრანგეთსა და ბელგიაში გუშინ ზეიმით აღინიშნა პირველი მსოფლიო ომის დამთავრების 80 წლისთავი. პარიზში სატრიუმფო თაღთან გაიმართა ცერემონია, რომლის გახსნისას გაისმა სწორედ იმ ბუკის ხმა, რომელსაც 80 წლის წინათ ჩაბერეს ცეცხლის შეწყვეტის აღსანიშნავად. ბელგიის ქალაქ იპრში, რომლის მახლობლადაც ყველაზე გააფთრებული ბრძოლები მიმდინარეობდა, ქუჩებში დაღუპულთა ხსოვნის აღსანიშნავად, ყველგან იყო მიმოფანტული ყაყაჩოს ფურცლები. ცერემონიაში მონაწილეობას იღებდნენ, აგრეთვე, პირველი მსოფლიო ომის მონაწილენი, რომლებმაც პატივი მიაგეს იმ ომში 8 მილიონი დაღუპულის ხსოვნას.

შვეიცარიის რამდენიმე ბანკში დაყადაღებულია 40 მილიონი დოლარი, რომელიც ეკუთვნოდა უკრაინის ყოფილ პრემიერ-მინისტრს, უზენაესი რადას დეპუტატს პაველ ლაზარენკოს და პარლამენტარ ნიკოლოზ აგაფონოვს. ანგარიშს ყადაღა დაედო უკრაინის გენერალური პროკურატურის თხოვნით, რომელმაც უზენაეს რადას მოუწოდა, მოუხსნას ლაზარენკოსა და აგაფონოვს ხელშეუხებლობის სტატუსი.

ერაყი მკაცრად აკრიტიკებს სპარსეთის ყურის მეზობელ ქვეყნებს აშშ და ბრიტანეთის თავდაცვის მინისტრებთან გამართული მოლაპარაკებისათვის, რომელზეც ბაღდადის წინააღმდეგ ძალის გამოყენების შესაძლებლობას განიხილავდნენ. უილიამ კოენისა და ჯორჯ რობერტსონის ვიზიტებს ერაყის პრესა უწოდებს ბაღდადის დაშინების მორიგ ცდას და აცხადებს, რომ ერაყი კვლავინდებურად უარყოფს გაეროს უშიშროების საბჭოს მოთხოვნას სამხედრო ინსპექტორებთან თანამშრომლობის განახლების შესახებ.

უცხოეთის სააგენტოებისა და ჟურნალ-გაზეთების მიხედვით

უძღვებიან

არჩილ მანჯგალაძე, კახა ძორიძე.

ხვადი ბილის საყვარელი ხვადი, მეტსახელად ბადი

როგორც უნდა მოსწონდეთ ამერიკელებს თავიანთი პრეზიდენტი, მისი ძაღლი გაცილებით უფრო მეტად უყვართ. ერთხელ, მეორე მსოფლიო ომის წლებში, პრეზიდენტ რუზველტს კანარის კუნძულებზე, სადაც ბრიტანეთის პრემიერს ჩერჩილს ხვდებოდა, ძაღლი დარჩა. აღელვებულმა ფრანკლინ დელანომ მყისვე აფრინა ძაღლის წამოსაყვანად კრეისერი. როდესაც ეს რუზველტის მოწინააღმდეგეებმა შეიტყვეს, პრესაში ერთი ვაი-უშველებელი ატეხეს: ეგეც, თქვენი პრეზიდენტი, თავისი ძაღლის გულისათვის ამერიკელ მეზღვაურთა სიცოცხლე საფრთხეში ჩააგდოო! მაგრამ, შხამიანი ისარი მიზანს ასცდა. ამერიკელებმა კიდევ უფრო მეტად შეიყვარეს ბრძენი პრეზიდენტი. სხვა საქმეა, რუზველტს კრეისერი რომ გაეგზავნა პირველი ლედის – ელეონორას ან ჩერჩილის წამოსაყვანად. აი აქ კი მართლაც შავ დღეს დააყრიდნენ, თუმცა, ჩერჩილი ძალიან ჰგავდა ბულდოგს, ხოლო ელეონორა – გაქუცულ მწევარს, წერს **მელორ სტურუა** „მკ-ბულვარში".

შეერთებული შტატების ახლანდელ პრეზიდენტს ბილ კლინტონს დიდხანს არ ჰყოლია ძაღლი. თეთრ სახლში ბატონობდა პირველი კატა, მეტსახელად სოქსი. მაგრამ, ამერიკელთა კატების სიყვარული ახლოსაც ვერ მივა ძაღლების სიყვარულთან. და სანამ კლინტონს საქმე ისე რა მიუდიოდა, სოქსი სავსებით საკმარისი იყო პრეზიდენტის გასაადამიანურებლად. მაგრამ, პოლიტიკურ წყვიადში ყველა კატა შავია, და კლინტონი იძულებული გახდა, ძაღლი აეყვანა.

შოკოლადისფერი ლაბრადორი ბადი მყისვე იქცა ხალხის ნებიერად. იგი, ისე იყო სოქსთან, როგორც, საერთოდ, არიან, ხოლმე ძაღლი და კატა. მაგრამ ამერიკელთა სიმპათიები, არა აქვს მნიშვნელობა, დემოკრატების, რესპუბლიკელების, დამოუკიდებელი თუ თვით სენატორ მაკარტის მიერ ხელმოუთავებელი კომუნისტებისა – მთლიანად ბადის მხარეზე იყო.

ჩვეულებრივ რესპუბლიკელები, შარში რომ გაეხვევიან, ხალხში გამოჩენას იწყებენ თავიანთ მეუღლეებთან ხელიხელჩაკიდებულნი, და ამრიგად, ცხადყოფენ საოჯახო ღირებულებების ერთგულებას. საკმარისი იყო, „მონიკაგეიტი" ამტყდარიყო, რომ ბილი ტელევიზიის ეკრანზე გამოჩნდა ჰილარისთან ხელისთითებგადაჭდობილი, მეორე ხელით კი მხრებზე ეხვეოდა თავის ერთადერთ პირმშოს ჩელსის. მაგრამ, ვერც ამან გასჭრა. სწორედ მაშინ, კუთხეში მომწყვდეული ბილის დასახმარებლად მოვიდა შოკოლადისფერი ბადი. კლინტონმა ძაღლთან იწყო გამოჩენა ყველგან, თან დაჰყავდა პრეზიდენტის ლაინერსა თუ პრეზიდენტის შვეულმფრენში, საოჯახო ექსკურსიებსა თუ პოლიტიკურ რალიზე. და თუმცა, ბილი ბადის გულში კი არ იხუტებდა, არამედ ღვედით მიჰყავდა, შედეგებმა არ დააყოვნა. კლინტონის საქმიანობის მოწონების მრუდმა საზოგადოებრივი აზრის ყველა გამოკითხვის მიხედვით განუხრელად ზევითზევით იწყო სვლა.

ბადი უდიდეს როლს ასრულებს შეერთებული შტატების არა მარტო საშინაო, არამედ, აგრეთვე, საგარეო პოლიტიკაში. როდესაც ამ ცოტა ხნის წინათ ისრაელ-პალესტინის მოლაპარაკება, მერილენდში რომ მიმდინარეობდა, ჩიხში მოექცა, კლინტონმა ჯორზე შემჯდარ ნეთანიაჰუსა და არაფატზე თავისი ერთგული ბადი მიუშვა. არა, რა თქმა უნდა, ბადი არ ხცემია მაღალ ხელშემკვრელ მხარეებს, არ უღრენდა და არ კბენდა. ძაღლმა უბრალოდ მოხიბლა ისინი. მაჰმადიანი არაფატიც კი, რომელსაც ყურანი ასწავლის, ძაღლი უწმინდური ცხოველიაო, ისე მოაჯადოვა ბადიმ, რომ თამაში დაუწყო. მოლბა ფუნდამენტალისტი ნეთანიაჰუც.

მიღებული ტრადიციისამებრ, რომელიც ბუშის პრეზიდენტობის დროიდან მოდის, ჰილარიმ ამ რამდენიმე დღის წინათ გამოაქვეყნა პრეზიდენტის ძაღლის სახელზე შემოსული კითხვა-პასუხის წიგნი. იგი უხვად არის დასურათხატებული. მაგრამ, სამწუხაროდ, წიგნში არ არის კარიკატურა, რომელმაც მთელი ამერიკა ახარხარა. ამ ნახატზე გამოსახულია ბადი, რომელიც სინანულით აქნევს თავს. ქვეშ კი მიწერილი აქვს: „მე რას მერჩოდნენ, დასაკოდი ჩემი პატრონი იყოო". ჭეშმარიტად, ამას დამოუკიდებელი პროკურორი სტარიც დაუდასტურებს!

ბელმონდო თავისი საყვარელი იორკშირით

„ბადი" ინგლისურად „ძმაკაცს" ნიშნავს. და ბადიც კლინტონის საუკეთესო ძმაკაცია. თითქმის ისევე, როგორც მეგობარი ბორისი, ანდა, იქნებ, უფრო მეტადაც. მაგრამ, რატომ არ მისცემს ბილი ბორისს უფასო რჩევას – გაიჩინოს თავისი ბადი? ბილის ძმისა და პირისზიარების – ბორისის რეიტინგი კატასტროფულად უახლოვდება დამღუპველ ნულს, და აქ უკვე ვერავითარი იმიჯმეიკერები ვერ უშველიან. სასწრაფოდ უნდა გაიჩინოს ძაღლი, რომელიც სამშვიდობოს გაიყვანს.

მელორ სტურუა,
მინეაპოლისი.

როგორ უყურებენ ძაღლებს სასულიერო პირები?

მამა ფილიპე (ქიგულინი), მართლმადიდებელი მღვდელი: „ბოლო დროს ხშირად გაიგონებთ ლაპარაკს, ძაღლი უწმინდური ცხოველიაო.

რიაზანში, მაგალითად, თაყვანს სცემენ ვინმე პელაგიას. ბროშურებში, რომელსაც მისი „სულიერი შვილები" ავრცელებენ, ვკითხულობთ: „თუ სახლი ნაკურთხია – უფალი შემოვა. ხოლო თუ სახლში ძაღლს შეუშვებ – წმინდა სულის მადლი გაგეცლება. ვისაც ძაღლი იმ ბინაში ჰყავს, სადაც ხატები უკიდია, ის არ არის ზიარების ღირსი". ეს გახლავთ ნეოწარმართობის გამოვლენა. არც წმინდა წერილში, და არც წმინდა გადმოცემაში ასეთი მითითებები არ არის. პირიქით, ძველ აღთქმაში ნათქვამია, რომ როდესაც ანგელოზი რაფიელი წინასწარმეტყველ თალიას მიჰყვებოდა, მათთან ერთად მიდიოდა ძაღლიც. და ანგელოზი ამას არ დაუფრთხია და არ შეუცბუნებია. ასე რომ, ძაღლი და ღვთის მადლი არც ისე შეუთავსებელია".

ფარიდ ასადულინი, მოსკოვის მუფტის მრჩეველი: „მაჰმადიანებისათვის გზის მანათობელი ვარსკვლავია მუჰამედ წინასწარმეტყველი სუნა. მასში ძაღლებზე არაფერია ნათქვამი. სამაგიეროდ, კატები ხშირად ფიგურირებენ. კატებს წინასწარმეტყველი დიდი პატივისცემით ეკიდებოდა. მაგალითად, ერთხელ კნუტს წინასწარმეტყველის მოსასხამზე დაეძინა და მან, წასვლისას, კატა რომ არ შეეწუხებინა, ის კალთა მოიჭრა, რომელზეც კნუტს ჩასძინებოდა.

რაც შეეხება ძაღლებს... პირადად მე ვთვლი, რომ მაჰმადიანმა სახლში არ უნდა გაიჩერონ ძაღლი. ლოცვის დროს მორწმუნე სარიტუალო ქმედობას აღასრულებს. ამასთან, შენობის სარიტუალო სისუფთავეც იგულისხმება".

ზინოვი კოგანი, რაბინი, ებრაელთა რელიგიური ორგანიზაციების კონგრესის თავმჯდომარე: „არსებობს საერთო კანონი: ყველა ცხოველი წმინდაა, და მათი მოკვლა ცოდვაა. ასე რომ, თუ ძაღლი სინაგოგის ტერიტორიაზე შევა, რაც, რა თქმა უნდა, დაუშვებელია, მას უბრალოდ გააგდებენ. არავითარი ხსენება იმისა, რომ ძაღლი არ უნდა ცხოვრობდეს ადამიანის ბინაში, ბიბლიაში არ არის. თუმცა, მე მაინც მგონია, რომ ეს არ არის სასურველი".

მთარგმნელისაგან

რაც შეეხება ქართულ მართლმადიდებლურ ეკლესიას – ჩვენს პატრიარქს, უწმინდესსა და უნეტარეს ილია II-ს ძალიან ჰყვარებია ცხოველები, კერძოდ, ძაღლები, და როგორც სარწმუნო წყაროებიდან შევიტყვე, ერთი მათგანი, როტვეილერი ტობი, თავის ბინაშიც (საპატრიარქოში) ჰყოლია.

ასე რომ, იმათ, ვისაც ცოლები ან (დედები) არ განებებენ სახლში ძაღლის მიყვანას, თამამად შეგიძლიათ ჩვენი პატრიარქი ან აშშ პრეზიდენტი დაიმოწმოთ – ა.მ.

იუბილე

“უცხოელი“ „ქართველების მკვლევარი



ცნობილ მეცნიერს, შრომისა და ომის ვეტერანს ამირან ცამციშვილ-ფიცხალაურს დაბადების 75 და სამეცნიერო-საზოგადოებრივი მოღვაწეობის 55 წლისთავი შეუსრულდა.

ყველა ადამიანი არა მარტო თავისი ბავშვობიდან, არამედ თავისი შორეული თუ ახლობელი წინაპრებიდანაც მოდის და ყველა ცდილობს თავისი გენეალოგიის დადგენას. ბატონ ამირანსაც უცდია მეცნიერულად დაედგინა თავისი გვარის წარსული და გამოურკვევია, რომ მისი შორეული, ამ 200 წლის წინათ მცხოვრები წინაპარი გვარად ფიცხალაური ყოფილა, ხოლო ფიცხალაურის ერთ-ერთი შთამომავალი ძამსა ძამსაშვილთა მამამთავარი გამხდარა. ქართლ-კახეთში რუსთა გაბატონების შემდეგ გვარი ძამსაშვილი ჯერ ძამსაშვილ-ძამსიევად, მერე — ცამციევ-ცამციშვილად გადაკეთებულა, ახლა კი ბატონი ამირანი და მისი მემკვიდრენი ცამციშვილ-ფიცხალაურებად იწერებიან და XIX საუკუნის დამდეგს თელავის მაზრის სოფელ ვაჩნაძიანში მცხოვრები მღვდლის ივანე ისაკის ძე ფიცხალაურ-ძამსაშვილის (ცამსაშვილის, ცამციევის) მეექვსე თუ მეშვიდე თაობას ეკუთვნიან. თვითონ ამირან ცამციშვილ-ფიცხალაური კახელი მამის ივანეს და გურული დედის მარიამის პირმშოა. მას ბავშვობის ნაწილი მამის სოფელ ვაჩნაძიანში გაუტარებია, თუმცა, მერე უცხოვრია დედულეთ ქუთაისშიც, აგრეთვე, თელავში, ახმეტაში, წინანდალში, ბოლოს თბილისში, სადაც დაუმთავრებია საშუალო სკოლა.

1941 წელს ბატონი ამირანი მოხალისედ წავიდა ომში. უომია ჩრდილო კავკასიასა და ყირიმში, დაჭრილა და 1943 წელს, სამშობლოში დაბრუნებულს, უმუშავნია ქალაქ თელავში.

1950 წელს მან წარმატებით დაამთავრა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის საერთაშორისო ურთიერთობათა ფაკულტეტის დიპლომატიური განყოფილება აღმოსავლეთმცოდნის (თურქოლოგის) დიპლომით მის მეგობრებთან კარლო მეშველიანთან, მიხეილ სვანიძესთან, ვიტალი ჩოჩიევთან, ნოდარ ნაჭყებიასთან, კარლო ადეიშვილთან, გიორგი მოისწრაფიშვილთან ერთად, რომლებიც შემდეგ მასავით ცნობილი მეცნიერები და მოღვაწენი გახდნენ. მათს სწავლა-აღზრდას ხელმძღვანელობდნენ გამოჩენილი ქართველი მეცნიერები გიორგი წერეთელი, სერგი ჯიქია, ვალერიან გაბაშვილი, კოტე ბაქრაძე, ილია ტაბაღუა, შოთა მესხია, გიორგი გეხტმანი, ერეკლე ტატიშვილი, დავით გერიტიშვილი, მაქსიმე ბერძნიშვილი, დავით ენუქიძე და სხვ. მაგრამ მოსკოვის მთავრობისაგან დამოკიდებულ საქართველოში აღზრდილ პირველ თურქულენოვან დიპლომატთა თაობას მეცნიერ-ისტორიკოსობა არგუნა ბედმა. ამირან ცამციშვილ-ფიცხალაურმა ასპირანტურის დამთავრების შემდეგ დაიცვა ჯერ ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატის სამეცნიერო ხარისხი (1968 წელს), მერე კი — დოქტორისა (1989 წელს), თუმცა, 50-იან წლების მძიმე ვითარებაში არც მეცნიერის ადგილის შოვნა იყო ადვილი და თავდაპირველად მან სალექციო ბიუროში ლექტორად, მერე საჯარო (ეროვნულ) ბიბლიოთეკაში დაიწყო მოღვაწეობა ბიბლიოგრაფოსად. შემდეგ მუშაობდა საქართველოს სახელმწიფო მუზეუმის მეცნიერ თანამშრომლად, ხოლო უკანასკნელი ოცი წელი საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ივანე ჯავახიშვილის სახელობის ისტორიისა და ეთნოგრაფიის ინსტიტუტის ევროპის ქვეყნების ისტორიის განყოფილების წამყვანი მეცნიერი თანამშრომელია.

ამირან ცამციშვილ-ფიცხალაურის პირველი სამეცნიერო ნაშრომები და წერილები 50-იანი წლების შუახანიდან ქვეყნდება ჟურნალ-გაზეთებში, გამოიცემა წიგნებად.

თავისი მრავალრიცხოვანი ნაშრომების ხასიათით მკვლევარი ამირან ცამციშვილ-ფიცხალაური ისტორიკოს-კულტუროლოგია, რომელიც ყოველმხრივ სწავლობს კულტურისა და კულტურათა ურთიერთობის უაღრესად აქტუალურ პრობლემებს. იგი დიდი დაკვირვებით ეძებს ქართული კულტურის მოღვაწეთა, განსაკუთრებით ხელოვანთა და მწერალთა ნაკვალევს არა მარტო საქართველოს მრავალსაუკუნოვან წარსულში, არამედ შუასაუკუნეთა და ახალი დროის ევროპასა და აზიაში, მახლობელ და შორეულ აღმოსავლეთში, ყველგან, სადაც უმოღვაწნიათ ქართულბუდემოშლილ ჩვენებურებს — ქართველ ცხენოსნებს უცხოეთის ცირკში, მომღერალ მიშელ დარიალ-მიხეილ ნანობაშვილს, მოცეკვავე ელენე ჩერქეზიშვილ-ჩეროვას, მომღერალ ელენე თარხნიშვილს, ბალეტმაისტერ გიორგი ბალანჩივაძე - ჯორჯ ბალანჩინს, პიანისტ ირაკლი ორბელიანს, ფოლკლორისტ აჰმედ ოსკან-მელაშვილს, კომპოზიტორ ერეკლე ჯაბადარს, მხატვარ მატილდა მღებრიშვილს, ბალერინა თამარ თუმანიშვილს, ბალერინა და ქორმაისტერ ეთერ ფალავას, პიანისტსა და კომპოზიტორ გიორგი ჭავჭავაძეს, ოპერის მომღერალ კლარა გურამიშვილს და მრავალ სხვას.

ზოგჯერ საკამათოც გამხდარა მკვლევარ მეცნიერის დაუღალავი ძიების შედეგი, მაგალითად, შოთა რუსთაველის ვინაობა-სადაურობის, დავით ნარინის თუ იოანე დადიანის და სხვათა შესახებ, მაგრამ ბატონ ამირანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ იგი არასოდეს გაურბის მეცნიერულ კამათს, გაგებით ეკიდება განსხვავებულ მოსაზრებას.

ქართულის გარდა, ამირან ცამციშვილ-ფიცხალაურის ნაშრომები გამოქვეყნებულია სხვა ენებზეც, რაც ხელმისაწვდომს ხდის მათ არაქართველი მკითხველისათვის, რომელთა ცხოვრების არეალი ისევე ფართოა, როგორც მკვლევარის შესწავლის საგანი — „ქართველები უცხოეთში“, ქართული კულტურის მოღვაწენი თითქმის მთელ მსოფლიოში.

კვლავ დიდ წარმატებებს, ხანგრძლივ სიცოცხლესა და მოღვაწეობას ვუსურვებთ დაუღალავ მეცნიერ-კულტუროლოგს, ბატონ ამირან ცამციშვილ-ფიცხალაურს.

ილია ტაბაღუა,
ვაჟა ეგრისელი,
მიხეილ გაფრინდაშვილი,
იოსებ ჩიქავა,
კარლო ტაბატაძე,
თენგიზ ჩხეიძე.

სულიერება

მოძღვარი

სულ ახლახან ზესტაფონში მარგველი მიტროპოლიტი მეუფე კონსტანტინე საქართველოს პრეზიდენტმა ღირსების ორდენით დააჯილდოვა. მარგვეთის და ჭიათურის ეპარქიაში ეს ჯილდო მათი მეუფისადმი დიდი პატივისა და ღირსების ნიშნად აღიქვეს. ამიტომ ვესტუმრე რეზიდენციაში. მივულოცე ღირსების ორდენის კავალრობა და ჩვენი საუბარიც აეწყო.

როცა შევეკითხე მეუფე კონსტანტინეს, საიდან დაიწყო მისი სასულიერო სამყაროსადმი ტრფიალი, მიპასუხა, რომ ოთხი წლის ავადმყოფს გაღვიძებისას გამოეცხადა თეთრი, ბრწყინვალე პატიოსანი ჯვარი, რომელსაც გაოცებული მისჩერებოდა მთელი ნახევარი საათი და სრულიად განკურნებული, მშობლების გასახარად გამოვიდა გარეთ.

13 წლისამ დაინახა მურინავი ნათელი, ალბათ, ანგელოზი, რომელიც მივიდა მასთან. მერე იმ ხანებში წაიკითხა წმინდა გიორგის ცხოვრება და სასტიკად განიცადა მისი წამება, ამიტომ თავს დაესხნენ ბოროტი სულები და წმინდა გიორგიმ განდევნა ჩემგან ისინი, გვეუბნება მეუფე კონსტანტინე და განაგრძობს: როცა სტუმრად ვიყავი ქარელის რაიონის სოფელ კეხისჯვარში, მამიდასთან, იქ ვნახე ხუცური წიგნები „დავითნი“, „ჟამნი“, მღვდლის კონდაკი, ერეკლე მეორის დროს დაბეჭდილი „ლოცვანი“ და სხვა. სწრაფად შევისწავლე ხუცური, და აღმეძრა უდიდესი სურვილი, სწავლა გამეგრძელებინა სასულიერო სასწავლებელში და შევსულიყავი ეკლესიაში.

ოცნება და მოწოდება სინამდვილედ იქცა. 1967 წელს შევიდა ეკლესიაში. ჯერ წამკითხველ-მედავითნედ მოღვაწეობდა თბილისის წმინდა სამების ეკლესიაში, იყო მგალობელი.

1972 წელს აკურთხეს დიაკვნად და მსახურობდა სიონის საკათედრო ტაძარში, ხოლო 1973 წლის შემოდგომით აკურთხეს მღვდლად და წარგზავნეს ქარელის რაიონის სოფელ ატოცის წმინდა გიორგის ეკლესიაში. 1974 წლიდან კი გადაიყვანეს ხაშურის იოანე ნათლისმცემლის ტაძარში მღვდლად და წინამძღვრად, სადაც 10 წელი დაჰყო. ამ ეკლესიაში მოღვაწეობის პერიოდში, 1978 წელს აკურთხეს ურბნელ ეპისკოპოსად, შემდეგ აყვანილი იქნა მთავარეპისკოპოსის, 1983 წელს კი — მიტროპოლიტის ხარისხში. 1984 წელს მეუფე კონსტანტინეს გზავნიან ბათუმის ბათუმშემოქმედის მღვდელმთავრად მიტროპოლიტის ხარისხით, სადაც 8 წელი დაჰყო, ხოლო 1992 წელს თავისი სურვილით შეუცვალა ადგილი მარგვეთის ეპისკოპოსს და გადმოვიდა მარგვეთის ეპარქიაში, სადაც დღესაც ეწევა მოღვაწეობას.

მეუფე კონსტანტინეს მარგვეთის ეპარქიაში მოღვაწეობის პერიოდში ამოქმედდა მრავალი ეკლესია და ეკურთხა მრავალი ბერ-დიაკონი. დღეისათვის მოქმედებს 25-ზე მეტი ტაძარი და ეკლესია, ექვსი სამლოცველო სახლი, სადაც 20-ზე მეტი მღვდელმსახური და დიაკონი მოღვაწეობს.



მრავალი ავადმყოფი განუკურნავს, აქვე, ეპარქიაში, მზრუნველობის ქვეშ აყვანილი ჰყავს ორი საბავშვო ბაღი და ერთი უპატრონო ბავშვთა პატრონაჟი, სადაც ბავშვებს უვლიან და ასწავლიან რელიგიას, გალობას, ლოცვებს.

16 წელია მსახურობს მეუფე კონსტანტინე, როგორც საქართველოს კათალიკოს-პატრიარქის ქორეპისკოპოსი. მას, როგორც მიტროპოლიტს, დამსახურებისათვის მიღებული აქვს ყველა ჯილდო. იყო საქართველოს საპატრიარქოს გამომცემლობის განყოფილების თავმჯდომარე. ამ პერიოდში გამოიცა ჟურნალი „ჯვარი ვაზისა“, „საპატრიარქო ჟურნალი“, ჟურნალი „საღვთისმეტყველო კრებული“ და სხვა. იგი გამოირჩევა ხასიათის სიმტკიცით და უბრალოებით, ჭკუა-გონებით. არის მოკრძალებული.

ეკლესიის მოძღვარი, როგორ ამაყად ჟღერს ეს სახელი! ვინც მას იცნობს, ალბათ, დამერწმუნება, თუ რარიგად აქვს მომართული ენის დახვეწილობა და მოქნილობა, გამოთქმის ხატოვნება და სილამაზე, გონების სისხარტე და სიღრმე, მსჯელობის საფუძვლიანობა და სიცხადე, თხრობის სიმკვირცხლე, მომხიბვლელობა და ბუნებრიობა.

რა ნეტარებაა, გწამდეს ღმერთი და იცოდე, რომ შენ რწმენას იზიარებენ და მხარს გიჭერენ.

მეუფე კონსტანტინე გამოირჩევა ღრმა და ყოველმხრივი ცოდნით. მთლიანად გადამუშავებული აქვს სასულიერო ლიტერატურა, თითქმის ზეპირად იცის „ვეფხისტყაოსანი“, ლაპარაკობს რამდენიმე ენაზე. უზენაესი და უწმინდესი ფილოსოფიური პრინციპების გამოყენებით და გავრცობით, დასკვნების სიზუსტით და სიცხადით მეტყველებს კეთილშობილებით, ზნეობის სიფაქიზითა და სიმშვენიერით.

სწორედ ამ თვისებების გამო მიიწვიეს ინგლისში სამშვიდობო კონფერენციაზე, სადაც მისმა გამოსვლამ, თავისი მართლმადიდებლური მრწამსით, მაღალი შეფასება დაიმსახურა. მან მოიგონა რომის პაპთან შეხვედრები, საბერძნეთში ათონის მთაზე „ივერონის“ უძველეს ლავრაში, ასევე ეგვიპტეში სინას მთაზე საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან, უწმინდეს და უნეტარეს ილია II-სთან გატარებული დღეები, სადაც მასთან ერთად აღავლინა წირვა-ლოცვები. აგრეთვე, გაიხსენა საქართველოს კათალიკოს-პატრიარქთან ილია II-სთან ერთად ალექსანდრიის პატრიარქთან ნიკოლოზთან ერთობლივი წირვა-ლოცვები და სხვა.

ვერ წარმოუდგენია, როგორ უნდა იავარყო სული, რომელსაც ღმერთმა შთააგონა რწმენა მისი არსობის, უსასრულობისა და სრულქმნილებისა. მეუფე კონსტანტინე ნიადაგ ფიქრობს ქართული ოჯახის სიმტკიცეზე, მრავალშვილიანობასა და ბავშვების აღზრდაზე. მარგვეთის ეპარქიაში ღვთისმსახურთა და ეკლესიის მსახურთა შემადგენლობა ძირითადად ახალგაზრდა კადრებით არის დაკომპლექტებული.

იმატა ახალგაზრდების რიცხვმა ეკლესიებშიც, სადაც სისტემატურად ესწრებიან წირვა-ლოცვას, ქადაგებას, რელიგიურ დღესასწაულებს. მათგან ბევრი სრულად ან ნაწილობრივ მაინც ასრულებს რელიგიურ რიტუალებს.

ახალგაზრდა თაობის თანაგრძნობა და მხარდაჭერა თუ არ ექნა, ეკლესიას საერთოდ არა აქვს მომავალი, ამბობს მეუფე კონსტანტინე. ქართულმა მართლმადიდებლურმა ეკლესიამ ბოლო ხანებში ამ მხრივ ერთგვარ წარმატებასაც მიაღწია. ჩვენ იგივენი ვართ, რაც ვიყავით ადრე, გვეუბნება მოძღვარი, რომელთაც აღაშენეს ხუროთმოძღვრების შეუდარებელი ძეგლები, გამოჭედეს ხახულის კარედი და შექმნეს შარავანდედით მოსილი ჰაგიოგრაფიული და ჰიმნოგრაფიული ნაწარმოებები. ჩვენშია ეს გენია, ამბობს იგი, ამას მხოლოდ წარმოჩინება სჭირდება.

თავის ქადაგებაში მეუფე კონსტანტინე განსაკუთრებულ ადგილს უთმობს პატრიოტულ თემებს, ქრისტიანობის ჭეშმარიტი ისტორიის ობიექტურ და დროულ გაშუქებას, ზნეობის საკითხებს, ძეგლთა დაცვას და რესტავრაციას, ცდილობს, ახალგაზრდობას გააცნოს საეკლესიო გამომცემლობის ახალი ვარიანტები. ერთი სიტყვით, ეს პიროვნება თავისი ავტორიტეტით და კრისტალური პატიოსნებით ამაღლებულია. (სწორედ ამიტომ იყო, რომ საქართველოს კათალიკოს-პატრიარქმა ილია II-ემ მეუფე კონსტანტინე ამ მაღალ ჯილდოზე წარადგინა.

დაილოცოს მარადის მისი შემოქმედება, რომელიც მიმართულია ქართული ეკლესიის აღორძინების, მშვიდობის დაცვის, ქართველი ერის წინსვლისა და ბედნიერი მომავლისაკენ.

ჰენრი შარიძაძე,
„სრ“ საკ. კორ.

ამაგდარი

„ერის განძის ამომზიდველი“

მას დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა, მაგრამ ძნელად თუ ვინმე დაიჯერებს ამას, ისეთი ახალგაზრდული ენერგიითა და შემართებით არის აღსავსე...

გივი ელიავა — ამაგდარი, მუდამ მოფუსფუსე, დაუღალავი, უანგარო მოღვაწე, როგორც უწოდეს — „საფლავებიდან ერის განძის ამომზიდველი“...

18 წლის ახალგაზრდას სვანეთში დაუწყია პედაგოგიური მოღვაწეობა და მას შემდეგ ამ საქმისათვის არ უღალატია, რა თანამდებობაც უნდა ჰქონოდა, სკოლასთან კავშირი არ გაუწყვეტია.

... სვანეთი... წალკა.... შემდეგ მოხალისედ საბჭოთა არმიის რიგებში... ისევ მშობლიური რაიონი, მუშაობა რაიონულ კომიტეტში, ასევე სკოლაში, შემდეგ დაუღალავი შრომა სარაიონთაშორისო მხარეთმცოდნეობის მუზეუმის გახსნისათვის...

მარტვილის სარაიონთაშორისო მხარეთმცოდნეობის მუზეუმი ბატონ გივის პირადი თაოსნობითა და რუდუნებით გაიხსნა 41 წლის წინათ, 1957 წელს. მუზეუმი ახლა რაიონის უმნიშვნელოვანესი კულტურის კერაა, აქ წარმოდგენილი ექსპონატები გვიამბობენ ისტორიის მთელ მიმდინარეობაზე დაწყებული პალეოლითის ხანიდან, დამთავრებული დღევანდელობით. მუზეუმში განუწყვეტლივ ჩქეფს საინტერესო შემოქმედებითი საქმიანობა. რაიონის ცენტრში აღმართული ამ ლამაზი შენობიდან მრავალ ადამიანს აუდგამს ფეხი დიდი ცხოვრების გზაზე. აქ 1969 წელს ბატონმა გივიმ გამართა რესპუბლიკაში ერთ-ერთი პირველი შიდასასკოლო სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია, რომელიც ტრადიციად იქცა. აქ გამარჯვებული მოსწავლეები ხდებოდნენ მოსწავლეთა რესპუბლიკური სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციების მონაწილენი. ამგვარი გამარჯვებით მონიჭებული სიხარული არაერთხელ მიგრძნია მეც.

მუზეუმთან არსებობს ლიტერატურული წრე „ჭყონდიდი“, რომელსაც ისევ და ისევ ბატონი გივი ხელმძღვანელობს.

ამ ამაგდარი ადამიანის მეოხებით და რედაქტორობით გამოიცა ჩემი ლექსების პატარა კრებული „ვედრება“. მაშინ მე, მე-9 კლასის მოსწავლეს, იმის გამხელისაც კი მერიდებოდა, რომ ლექსებს ვწერდი. სწორედ ბატონმა გივიმ გამაბედინა ფიქრის ხმამაღლა თქმა, ჩამინერგა საკუთარი თავის რწმენა, რისთვისაც ძალიან ვემადლიერები.

მუზეუმში ყოველწლიურად იმართება სამეცნიერო სესიები, რომლის მასალებიც იბეჭდება ბროშურების სახით. სამოქალაქო ომის იმ მძიმე დღეებში დაინგრა ჩემი მარტვილი. დაწვეს და დაარბიეს შენობები, მუზეუმს კი — ცოდნისა და კულტურის ამ უწმინდეს კერას, თავგამოდებული მოამაგის წყალობით, ხელი არ შეხებია...

მრავალმხრივია გივი ელიავას მოღვაწეობის არეალი — მეცნიერი, მწერალი, პედაგოგი, ისტორიკოსი, ეთნოგრაფი, არქეოლოგი, ლექსიკოგრაფი, ბუნებისა და ეკლესია-მონასტრების ქომაგი. არის ეგრისისა და საქართველოს ეროვნულ და სოციალურ ურთიერთობათა სამეცნიერო აკადემიების აკადემიკოსი. გამოქვეყნებული აქვს 800-მდე ნაშრომი. წლეულს გამოიცა მისი მრავალწლიანი შრომის გვირგვინი — „მეგრულ-ქართული ლექსიკონი“, რომელიც დიდად დაეხმარება ქართველური ენების შესწავლით დაინტერესებულ პირებს.



80 წელიწადი უკან მოიტოვა ბატონმა გივიმ. დადის მარტვილში ახალგაზრდული ნაბიჯებით ეს კოლორიტული ფიგურა, უანგარო ადამიანი, მუდამ ძიებაში მყოფი... მინდა მივულოცო მას დაბადებიდან 80 წლისთავი და კიდევ ერთხელ მოვეფერო, შვილებისა და შვილიშვილების სახელით გულწრფელი მადლობა ვუთხრა.

დიდხანს სიცოცხლე, ბატონო გივი!

ხათუნა გალდავა,
ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტის II კურსის სტუდენტი.

ღვაწლი

იბერიულ-კავკასიურ ენათა მესაიდუმლე

საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარ სპეციალისტსა და ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა კათედრის პროფესორს ოტია კახაძეს დაბადებიდან 80 წელი შეუსრულდა.

ოტია კახაძემ ტყიბულის საშუალო სკოლა 1936 წელს დაამთავრა. ჯერ კიდევ სკოლის წლებში ქვანახშირის მაღაროებშიც მუშაობდა სამთო ოსტატად და იქვე დაამთავრა სამთო-სამრეწველო კურსები. შემდეგ სწავლა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ფილოლოგიის ფაკულტეტზე განაგრძო. უნივერსიტეტში სწავლის პერიოდი მეორე მსოფლიო ომის დაწყებას დაემთხვა და 1941 წლის შემოდგომაზე მეხუთე კურსის სტუდენტი ოტია კახაძე მოქმედ არმიაში გაიწვიეს. 1941-1942 წლებში ქერჩში იბრძოდა. შემდგომ კი, როგორც ქვანახშირის მრეწველობის ყოფილი მუშაკი, თავდაცვის სახელმწიფო კომიტეტის ბრძანების შესაბამისად მოქმედი არმიიდან 1942-1944 წლებში საქართველოში ბრუნდება და მუშაობს ტყიბულის საწარმოებში. ამიტომაც იყო, რომ ოტია კახაძემ უნივერსიტეტი გვიან, 1945 წელს დაასრულა. რომ არა, 1944 წელს მისი მასწავლებლების არნოლდ ჩიქობავასა და ვარლამ თოფურიას მიწერილი წერილები, სადაც სწავლის გასაგრძელებლად უნივერსიტეტში დაბრუნებას ურჩევდნენ, ვინ იცის, ტყიბულელი ტექნიკური უსაფრთხოების ცელის ოსტატი, პარალელურად რუსულსაც რომ ასწავლიდა საშუალო სკოლაში, იქნებ მხოლოდ ამით შემოფარგლულიყო.

პროფესორ არნოლდ ჩიქობავას, ჩანს, სტუდენტობიდანვე ახსოვდა და მოსწონდა თავისი ბეჯითი სტუდენტი. ოტია კახაძის პირველი მოხსენება „ოკრიბულის ზოგი თავისებურებანი“ 1941 წელს სწორედ მისი ხელმძღვანელობით დამუშავდა. ნაშრომი შემდგომ მოგვიანებით გამოქვეყნდა, 1945-1948 წლებში სწავლა ასპირანტურაში განაგრძო და 1948 წელსვე ენის მაშინდელი ინსტიტუტის (ამჟამად არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი) ლექსიკოლოგიის განყოფილებაში უმცროს მეცნიერ თანამშრომლად იწყებს მუშაობას.

1949 წელს ოტია კახაძე იცავს საკანდიდატო დისერტაციას თემაზე „პურეულის ლექსიკა ქართულში“. ნაშრომი 1987 წელს გადამუშავებული სახით ცალკე წიგნად გამოვიდა.

1951 წელს „ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ კომისიის თავმჯდომარემ და ამავე ლექსიკონის მთავარმა რედაქტორმა, პროფესორმა არნოლდ ჩიქობავამ ახალგაზრდა ოტია კახაძეს მეტად საპასუხისმგებლო დავალება მიანდო: მას სიმონ ყაჩნაძესთან ერთად უნდა ერედაქტორა ლექსიკონის მე-5 ტომისათვის და გამოსაცემადაც მოემზადებინა (ტომი დაიბეჭდა 1958 წელს). ამ რვატომეული ლექსიკონის გამოცემა 1964 წელს დასრულდა. ეს იყო ქართული ფილოლოგიის მეცნიერების ნამდვილი გამარჯვება — შეიქმნა და გამოიცა დიდი ერთენული საუნჯე, რომელსაც ცნობილმა ნორვეგიელმა ქართველოლოგმა ჰანს ფოგტმა უწოდა „ძველი ალმართული ენისა და მისი ძველი, ათასხუთასწლოვანი ლიტერატურის სადიდებლად“.

„ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის“ მომზადებამ და გამოცემამ ორი ათეული წელი მოითხოვა. ამან ქართველ კავკასიოლოგთაგან ყველაზე უფრო, თუ არ ჩავთვლით მთავარ რედაქტორს, ოტია კახაძე „დააზარალა“. მეორე ტომიდან მოყოლებული ბოლო ტომის გამოცემამდე იგი უშუალოდ მონაწილეობდა ლექსიკოლოგიის განყოფილების ამ საშვილიშვილო საქმიანობაში. ამიტომაც იყო, რომ მას სიმონ ყაჩნაძესთან ერთად, როგორც ლექსიკონის მეხუთე ტომის რედაქტორს, სხვა რედაქტორ-შემდგენლებთან ერთად, 1971 წელს მიენიჭა საქართველოს სახელმწიფო პრემია.

მართალია, ოტია კახაძე მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა განყოფილებაში მხოლოდ 1962 წლიდან მუშაობს, მაგრამ არნოლდ ჩიქობავას წინადადებით იგი ჯერ კიდევ 1951 წელს ადგილზე იწყებს დაღესტნის ერთ-ერთი საინტერესო ერთაულიანი ენის — არჩიბულის — შესწავლას, სადაც შემდეგაც წლების მანძილზე სისტემატურად სწავლობდა და იკვლევდა არჩიბის სხვადასხვა უბნების მცხოვრებთა მეტყველებას. ასე შეიქმნა ფუნდამენტური მონოგრაფია „არჩიბული ენა და მისი ადგილი დაღესტნის მონათესავე ენათა შორის“ — მისი სადოქტორო დისერტაცია. ეს სქელტანიანი გამოკვლევა 1979 წელს ცალკე წიგნად გამოვიდა.

ამავე დროს მისი გამოკვლევების შესანიშნავი ციკლი მზადდება თანხმოვანთა ერთი სპეციფიკური კლასის შესახებ „ლიტერატურული თანხმოვნები არჩიბულში“ (1958 წ.), „ზოგიერთი შენიშვნა ლიტერატურული თანხმოვნების შესახებ“ (1959 წ.) და სხვა. ცნობილი ფრანგი ბასკოლოგი და კავკასიოლოგი რენე ლაფონი „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების“ ტომებისადმი მიძღვნილ თავის რეცენზიებში საგანგებოდ გამოყოფს ოტია კახაძის ამ შრომებს. მეცნიერმა შექმნა ასზე მეტი ნაშრომი მთის იბერიულ-კავკასიური ენებისა და ქართულ-ქართველურ ენათა დიალექტების, ფონეტიკის, მორფოლოგიისა და ლექსიკის შესახებ.

1981 წელს „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულში“ (ტ. VIII) დაიბეჭდა მისი მრავალმხრივ საყურადღებო გამოკვლევა „ხმოვანთა ასიმილაციის ზოგიერთი საკითხის თაობაზე ქართველურ ენებში“.

ოტია კახაძე კარგა ხანია კითხულობს ლექციებს ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის კავკასიურ ენათა განყოფილების ქართულსა და რუსულ სექტორებზე. აქ მას აბარია საენათმეცნიერო კურსები — „ლეზგიური ენის გრამატიკა“ და „ლეზგიურ ენათა შედარებითი გრამატიკა“. ამდენად, მისი კვლევის სფეროში ახალი თემატიკა, ახალი მასალა შემოვიდა, რომლის ანალიზის შედეგად შეიქმნა ისეთი გამოკვლევები, როგორიცაა: „ნაცვალსახელური წარმოშობის ერთი რიგის სუფიქსების თაობაზე ლეზგიურ ენებში“ (იკეწ, XVII); „ლაბიალიზებული კომპლექსისა და Ф ბგერის თაობაზე ლეზგიურ ენებში“ (იკეწ, XVIII-XIX); „გრამატიკული კლასების თაობაზე ლეზგიურ ენებში“ და სხვ. სწორედ ეს უკანასკნელი გავრცობილი სახით ცალკე წიგნად — „გრამატიკული კლასები ლეზგიურ ენებში“ — 1984 წელს დაიბეჭდა. ეს არის ისტორიულ-შედარებითი ხასიათის გამოკვლევა, რომელიც მთის იბერიულ-კავკასიურ ენათა ერთ-ერთ ძირითად მორფოლოგიურ კატეგორიას ეძღვნება, რაც დღეს სწორედ ლეზგიურ ენებში მოშლის გზაზეა და ამდენად მისი ისტორიის კვლევა ზოგადენათმეცნიერული თვალსაზრისით, საინტერესოც არის და მნიშვნელოვანიც.

ამ ბოლო დროს ოტია კახაძემ კრებულში „საქართველოსა და ქართველების აღმნიშვნელი უცხოური და ქართული ტერმინოლოგია“ (1993 წ.) გამოაქვეყნა საყურადღებო სტატიები ტერმინ „ეგრისისა“ და „აფხაზ-/აფხაზა“ ფუძის შესახებ. ასე რომ, ჭარმაგი იუბილარი თავისი დაბადების 80 წლისთავს ხელხავერიელად ხვდება. იშვიათია ენათმეცნიერების ინსტიტუტსა თუ უნივერსიტეტში ჩატარებული სესია, რომ მან თავისი ახალი ნააზრევი არ წარმოადგინოს.

ოტია კახაძეს საზოგადოებრივი და სამეცნიერო რეგალიები არ აკლია: იგი ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორია, პროფესორი, მეცნიერების დამსახურებული მოღვაწე, საქართველოს სახელმწიფო პრემიის ერთი პირველი ლაურეატთაგანი, საერთაშორისო ჟურნალის „იბერიულ-კავკასიური ენათმეცნიერების წელიწდეულის“ სარედაქტორო კოლეგიის წევრი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის სადოქტორო ხარისხების მიმნიჭებელი საბჭოს წევრი და სხვ. მაგრამ ყველაზე მთავარი ის სიყვარულია, რასაც მის მიმართ მის გვერდში მყოფნი გრძნობენ. ამიტომაც გვსურს ჯანმრთელობა და ხანგრძლივი სიცოცხლე ვუსურვოთ მას, ჩვენი ღრმა რწმენით, მისი შრომები საპატიო ადგილს დაიჭერს იბერიულ-კავკასიურ ენათა შესწავლის ისტორიაში.

გურამ თოფურია,
საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთის კავკასიურ ენათა განყოფილების გამგე;

გენადი ბურჭულაძე,
ფილოლოგიის მეცნიერებათა დოქტორი, პროფესორი, ენათმეცნიერების ინსტიტუტის მთავარი სპეციალისტი.

პიროვნება

ცხინვალი მისი სალოცავი იყო

85 წელი შესრულდებოდა ცხინვალის პირველი ქართული საშუალო სკოლის ლეგენდარულ და ღვაწლმოსილ დირექტორს, მის მემატიანეს ვახტანგ კასრაძეს და 120 წელი თვით სკოლას, რომელსაც არა მარტო სამაჩაბლოსა და მის შემოგარენში, არამედ საქართველოს ოფიციალურ სტრუქტურებშიც სიმბოლურად ვახტანგის სკოლას უწოდებდნენ. პირველი — ბუნებრივი სიკვდილით შევიდა სამარადისო სასუფეველში, მეორე — ოსი სეპარატისტების მიერ ჩადენილმა ვანდალიზმმა იმსხვერპლა და მაინც სწორედ ამ სკოლის დაწვის ცნობამ მეორედ მოუსწრაფა სიცოცხლე.

თითქმის ნახევარი საუკუნე ედგა სათავეში ვახტანგ კასრაძე მისსავე ღვაწლით სახელგანთქმულ სკოლას და ამ ხნის მანძილზე მან უამრავი ღირსეული მამულიშვილი აღუზარდა საქართველოს. იგი მხოლოდ თავისი სკოლის კედლებში კი არ ქმნიდა დიდი ილიასა და დავითისეული სწავლა-აღზრდის ტრადიციების ჭეშმარიტ სასწავლებელს, არამედ საკუთარ მაგალითზე უქადაგებდა სრულიად საქართველოს პედაგოგიურ სამყაროს მომავალი თაობის ეროვნული სულისკვეთებით აღზრდას. კომუნისტური მმართველობის ბოლო პერიოდში განსაკუთრებულ რთულ პირობებში იმყოფებოდნენ სამაჩაბლოს ქართული სკოლები, იქ მოღვაწე პედაგოგები, რომლებსაც უფლება არ ჰქონდათ მომავალი თაობებისათვის ეუწყებინათ სიმართლე — ბოლშევიკების მიერ საქართველოს ძირძველ ტერიტორიაზე ე. წ. სამხრეთ ოსეთის ავტონომიური ოლქის წარმოქმნის თაობაზე.

ასე მოღვაწეობდა სკოლის დირექტორი ყოველგვარი უნაყოფო დაპირისპირებისა და „დონ-კიხოტობის“ გარეშე, წარმატებით ართმევდა თავს მოსწავლე-ახალგაზრდობის პატრიოტული სულისკვეთებით აღზრდას, თითოეულში ეროვნული თვითშეგნების ჩამოყალიბებას. მაშინ ეს იოლი არ იყო, მაგრამ ღვთიური ნიჭით ზეგარდმოცხებულ კაცს უნარი შესწევდა დაუცხრომლად ეკეთებინა მამულიშვილური საქმე, რაც წინაპარ ქართველ მოღვაწეთა და მოაზროვნეთა მიერ საუკუნეების მანძილზე იყო დაფუძნებული.

ვახტანგ კასრაძე სულით ხორცამდე ეროვნული ტრადიციებით გაჟღენთილი ადამიანი და იმავდროულად, ჭეშმარიტი ინტერნაციონალისტი გახლდათ. მოღვაწეობისას მუდამ ცდილობდა ქართველ და ოს ხალხებს შორის ოდნავი ბზარიც არ გაჩენილიყო, ეს ის ადამიანი იყო, ვინც ქართულ-ოსურ ურთიერთობებს ნიადაგ აღუღაბებდა.

ვახტანგ კასრაძის ყოფილი მოსწავლე, შემდეგ მისი თანამოსაქმე და ამჟამად გაზეთ „შიდა ქართლის“ რედაქტორი ვასილ საბანაძე თავის წიგნში „ცხინვალი და ცხინვალელები“ წერს: — ბატონი ვახტანგი ყოველთვის ცდილობდა მისი სკოლა არა მარტო რიგით ყოფილიყო პირველი, არამედ თავისი შინაარსითაც. ერთხელ მოსწავლეები მცხეთაში ექსკურსიაზე წავიყვანე. კომკავშირის მცხეთის რაიკომისა და განათლების მუშაკებმა შესანიშნავად გვიმასპინძლეს. დაგვათვალიერებინეს მცხეთის ღირსშესანიშნაობანი, გვანადიმეს კიდეც. დაბრუნებულებს სკოლის დირექტორმა გვითხრა: ჩვენც ხელგაშლილად დავხვდებით, უნდა გვეწვიონო.

საზეიმო შეხვედრა სკოლის ეზოდან დაიწყო. მას ცხინვალის მაშინდელი ხელმძღვანელები, სკოლის დირექტორები, აქტივისტები ესწრებოდნენ. როგორც ამბობენ ხოლმე, მეორე განყოფილება სკოლის კლუბში გაიმართა. თამადა თვითონ ვახტანგ კასრაძე ბრძანდებოდა. სადღეგრძელოებს მან ქართული ხალხური სიმღერები და ცეკვები მოაყოლა, სტუმრები განაცვიფრა მისმა მოხდენილმა ცეკვამ, თვითონვე შემოსძახა პოპულარული, სუფრული ქართული სიმღერები. მცხეთელმა სტუმრებმა დაინახეს, თუ ქართულ სკოლაში როგორი პატივისცემით, სიყვარულით ექცეოდნენ ოს კოლეგებს, ახალგაზრდებს, ქართულ სიმღერებსა და ცეკვებს ოსური სიმღერები და ცეკვებიც ენაცვლებოდა...

ვასილ საბანაძე ერთ სამწუხარო ფაქტსაც იხსენებს: „მოხდა ისე, რომ მასწავლებელთა ერთმა ჯგუფმა სკოლის დირექტორს უჩივლა განათლების სამინისტროში. იქიდან ჩამოვიდა სკოლების სამმართველოს უფროსი ბატონი რეზო კანდელაკი. რედაქციაში დამირეკა დირექტორმა და მითხრა: შვილო, სამინისტროში მიჩივლეს, შემოწმებაზე ჩამოვიდნენო. გავიგე, რომ შემმოწმებლები განათლების საოლქო განყოფილების გამგესთან გიორგი ძაგოევთან იყვნენ. მე ჩემს მეგობრებთან მიხეილ ცოტნიაშვილთან, ესო ყაზახაშვილთან და ვაჟა ცერაძესთან ერთად მივედი განათლების განყოფილებაში. წარვუდექით რეზო კანდელაკს, რომელმაც ჩვენთან ასეთი ფრაზა წარმოსთქვა: — მე გავიცანი ცხინვალის პირველ სკოლას, ღმერთმა ქნას, ასეთი სკოლები თბილისშიც გვქონდესო. დამშვიდდით, ყველაფერი რიგზე იქნებაო. ჩვენგან რეზო კანდელაკი პარტიის სამხრეთ ოსეთის საოლქო კომიტეტის პირველ მდივანთან მისულა. იქ შეთანხმებულან, რომ დირექტორი უნდა გაეთავისუფლებინათ. იქიდან რეზო კანდელაკი სკოლაში მისულა და პედაგოგების კრება მოუწვევია, საჩივარი უნდა განვიხილოთო. მომჩივრებმა დაიწყეს სიტყვებში გამოსვლა და ისეთი უკადრებელიც იკადრეს, რომ ბატონმა ვახტანგმა დამცირებას ვერ გაუძლო, წამოდგა და თქვა:

— მე არ დავიწყებ თავის მართლებას, ალალი იყოს ჩემი ამაგი თქვენზე, სკოლაზე, რომელზეც მამა-შვილური სიყვარულით ვარ შეყვარებული. მე მივდივარ და თქვენთვის დამილოცნია აქაურობაო.

— დიახ, ასე „დაფასდა“ ის დიდი გარჯა და ამაგი, რაც ვახტანგ კასრაძემ სკოლისთვის და საზოგადოებისთვის გასწია. მის დასაფლავებას უამრავი ხალხი ესწრებოდა, როგორც ამბობენ, ყველაზე მეტად ისინი ტიროდნენ, ვინც მას უჩივლაო“.

მოკრძალებულად შეიძლება ასე შეფასდეს ცხინვალის პირველი საშუალო სკოლის დირექტორის პორტრეტი: საქართველოს დამსახურებული მასწავლებელი, საზოგადო მოღვაწე, პროფესიული თეატრმცოდნე, ცხინვალის ისტორიის მკვლევარი, დიდი პატრიოტი და ინტერნაციონალისტი, ხალხთა მეგობრობის დაუღალავი მოქადაგე.

ვახტანგ კასრაძის სკოლიდან წასვლის შემდეგ სკოლამ რამდენიმე დირექტორი გამოიცვალა. მოხდა ისიც, რომ 1991 წელს ეს სკოლა დაიხურა და შემდეგ, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ავისმქნელებმა მას ცეცხლიც კი წაუკიდეს.

ამ სტრიქონების ავტორს, ცხინვალის პედაგოგიურ ინსტიტუტში სწავლის დროს წილად მხვდა ბედნიერება პირველ საშუალო სკოლაში დავხელოვნებულიყავი და ახლო გამეცნო ვახტანგ კასრაძე. ხშირად მინახავს იგი სკოლის კლუბში მოსწავლეებს სიმღერას და ცეკვას რომ ასწავლიდა. პროფესიონალი თეატრმცოდნე, მასწავლებელთა და მოსწავლეთა ძალებით შესანიშნავ სპექტაკლებსაც დგამდა. და კიდევ ბევრი რამის გახსენება შეიძლება ამ შესანიშნავი პიროვნების ცხოვრებიდან...

ვახტანგ კასრაძის აღზრდილები არიან საქართველოს სახელოვანი მამულიშვილები: მწერალი და კინოდრამატურგი მერაბ ელიოზიშვილი, პოეტები მზია ხეთაგური, ვახტანგ კობერიძე, შოთა დარბუაშვილი, მეცნიერ-ისტორიკოსები მიხეილ და ავთანდილ ცოტნიაშვილები, ლიდა კასრაძე, ამირან ჭამპურიძე, ძმები ტარიელ და ავთანდილ სართანიები, ჟურნალისტები გივი თედეიშვილი და გივი ჭამპურიძე, დღეს ლუდვიგ ჩიბიროვის მრჩეველი ნოდარ ზაღიშვილი, იურისტი ნიკოლოზ გოჩაშვილი, ლტოლვილთა და განსახლების შიდა ქართლის სამმართველოს უფროსი ფელიქს ქესანაშვილი და მრავალი სხვა. აღსანიშნავია ისიც, რომ „ვეფხისტყაოსნის“ ქართულიდან ოსურ ენაზე მთარგმნელი გიორგი ბესთაუთიც პირველ სკოლადამთავრებულია, და ამ თარგმანისათვის მას ივანე მაჩაბლის პრემია მიენიჭა.

ახლოვდება ბატონ ვახტანგ კასრაძის საიუბილეო თარიღი. ამ თარიღის აღსანიშნავად სამაჩაბლოს საზოგადოება საგანგებოდ ემზადება. შეიქმნა საიუბილეო კომისია, რომელმაც „იაკობობის“ დღესასწაულის აღსანიშნავ დღეებში, 25-26 ოქტომბერს დანიშნა საიუბილეო საღამო. მაგრამ, ვფიქრობ, სასურველი იქნებოდა ქართულ საზოგადოებას ეს იუბილე უფრო ფრცლად აღენიშნა, რამეთუ ბატონ ვახტანგ კასრაძის დამსახურება ქართველი ერის წინაშე უდაოდ დიდია.

კიდევ ერთი რამ გამახსენდა: 70-იანი წლების მიწურულს ცხინვალის კოსტა ხეთაგუროვის თეატრის ქართული დასის ყოფნა-არყოფნის საკითხი იდგა. თეატრში შექმნილი რთული ვითარების გამო სპექტაკლებს ცოტა ხალხი ესწრებოდა, რაც სეპარატისტებს ხელს აძლევდა. მავანთა გარკვეული მსჯელობისა და შეხლა-შემოხლის შემდეგ, საქართველოს კულტურის სამინისტრომ გამოჰყო კომპეტენტური კომისია, რომელსაც თეატრის ბედი უნდა გადაეწყვიტა.

ბატონმა ვახტანგ კასრაძემ ეს რომ შეიტყო, საკუთარი თანხით იმ სპექტაკლის ყველა ბილეთი შეიძინა, რომელსაც კომისია უნდა დასწრებოდა — რა თქმა უნდა, იმ საღამოს სპექტაკლი სრული ანშლაგით წარიმართა და გადაჭედილ დარბაზში მაყურებელთა ოვაციებით შეგულიანებულმა მსახიობებმა საშემსრულებლო დიდი ოსტატობა გამოავლინეს. კომისიამ თეატრის დახურვის ნაცვლად, დასს მადლობა გადაუხადა და შემოქმედებითი წარმატებები უსურვა. ასე იხსნა ქართული თეატრი დახურვისაგან ამ შესანიშნავმა პიროვნებამ — ბატონმა ვახტანგ კასრაძემ.

დიმიტრი მუხაშვილი,
აფხაზეთის ჟურნალისტთა კავშირის პასუხისმგებელი მდივანი.

სპორტი

„საქართველოს რესპუბლიკის“ სპეციალური გვერდი

საქართველოს თასი

პირველი რაუნდის შედეგები

გუშინ ჩვენი ქვეყნის სტადიონებზე მოეწყო ფეხბურთელთა ეროვნული თასის გათამაშების პირველი მერვედფინალური მატჩები. გაუწყებთ მათ შედეგებს: თსუ – „ვიტ-ჯორჯია“ 2:2, „მერანი“ – „ოდიში“ 3:0, „დინამო“ – „ლოკომოტივი“ 0:0, „დილა“ – „ბათუმი“ 1:2, „იბერია“ – „სამგურალი“ 1:1, „გორდა“ – „სიონი“ 0:0. „კოლეჯი“ – „არსენალი“ 1:1, „კოლხეთი“ – „ტორპედო“ 3:1.

საპასუხო თამაშები 18 ნოემბერს გაიმართება.

მკლავჭიდი

მედლების წვიმა ქაიროში

ეგვიპტის დედაქალაქში დამთავრდა მსოფლიო ჩემპიონატი მკლავჭიდში, რომელშიც მონაწილეობდნენ 40 სახელმწიფოს, მათ შორის საქართველოს წარმომადგენლები.

ორი უმაღლესი ჯილდოს მფლობელი გახდა მძიმეწონოსანი ვახტანგ ჯავახაძე. მან გამარჯვება იზეიმა როგორც მარჯვენა, ასევე მარცხენა ხელით ასპარეზობაში. 110 კგ-მდე წონაში ანალოგიურ წარმატებას მიაღწია ერეკლე გურჩიანმაც. „მემარჯვენეთა“ შორის პირველი ადგილი დაიკავა გურამ გიგოლაშვილმა (55 კგ-მდე), ხოლო თემურ ლიპარტაშვილმა (50 კგ-მდე) თავის კოლექციას ორი მედალი შემატა – საუკეთესო იყო მემარჯვენეთა ასპარეზობაში, ხოლო „მემარცხენეთა“ ჭიდილში საპატიო კვარცხლბეკის მეორე საფეხურზე ავიდა.

მსოფლიო ჩემპიონატის ვერცხლის პრიზიორები „მემარჯვენეებში“ გახდნენ დათო ჭელიძე (100 კგ-მდე) და ვეფხია სამხარაძე (75 კგ-მდე), ბრინჯაოს ჯილდოებს დაეუფლნენ მამუკა ფაჯიშვილი (90 კგ-მდე), თემურ მიხაშვილი (85 კგ-მდე) და მძიმეწონოსანი კახა აფციაური.

ინვალიდთა ტურნირში ბესიკ ლეკიაშვილმა (60 კგ-მდე) და მძიმეწონოსანმა დათო ქემელაშვილმა „მემარჯვენეთა“ ტურნირში პირველი ადგილები დაიკავეს, ხოლო „მემარცხენეებში“ – მესამე.

გაიმართა აგრეთვე შეჯიბრება „სენიორებშიც“ (მონაწილეთა ასაკი 40 წელს ზემოთ). აქ საუკეთესო იყო სოსო ჯაჭელიანი (100 კგ-მდე). გუნდურ ჩათვლაში მამაკაცთა და სენიორთა შორის პირველი ადგილი დაიკავეს საქართველოს წარგზავნილებმა, ხოლო საერთო გუნდურ ჩათვლაში, სადაც ჯამდებოდა მამაკაცების, ქალთა და ინვალიდთა შედეგები, საქართველოს სპორტსმენებმა მეორე ადგილი დაიკავეს. ეს იმიტომ, რომ ჩვენს გუნდში ქალები არ გამოდიოდნენ.

მსაჯთა კოლეგიის მუშაობაში მონაწილეობდა საერთაშორისო კატეგორიის არბიტრი ვახტანგ მუსელიანი.

გარი ამირხანოვი.

ჩოგბურთი

დღეს ფინალია



ლეილა მესხის ჩოგბურთის აკადემიის კორტებზე რამდენიმე დღეა მიმდინარეობს საქართველოს ეროვნული ჩემპიონატი ქალთა შორის. ასპარეზობაში 16 ჩოგბურთელი ჩაება. გუშინ გაიმართა ნახევარფინალური შეხვედრები. ნინო ლუარსაბიშვილმა სძლია ია ზოზრაშვილს – 6:1; 6:1, ხოლო მაკა ჩახნაშვილმა სოფიკო მანაგაძე დაამარცხა – 6:4, 4:6, 6:1.

დღეს ჩემპიონობისთვის ლუარსაბიშვილი და ჩახნაშვილი იბრძოლებენ, ხოლო ბრინჯაოს მედალს ზოზრაშვილი და მანაგაძე შეეცილებიან ერთმანეთს.

შეხვედრები 10 საათზე დაიწყება.

რაგბი

მეტოქემ შემადგენლობა დაასახელა

მსოფლიო თასის მეოთხე გათამაშების ფინალური შეჯიბრებები გაისად გაიმართება. გადამწყვეტ ეტაპზე მოსახვედრად ევროპის ერთ-ერთ ჯგუფში საქართველოს, ირლანდიისა და რუმინეთის გუნდები იბრძვიან. პაექრობები 14, 18 და 22 ნოემბერს დუბლინში გაიმართება.

მასპინძლებმა, ირლანდიელებმა, დაასახელეს ის 22 მორაგბე, რომლებიც „ლენსდაუნ როუდზე“ შეიძლება იხილონ გულშემატკივრებმა. ესენი არიან: კონორ ოშეი, ჯასტინ ბიშოფი, პატ დიუნენი, ჯონათან ბელი, კევინ მაგში, ერიკ ელვუდი, კონორ მაკგინესი, ვიქტორ კოსტელო, ენდი უორლი, ერიკ მილერი, მალკოლმ ოკელი, პედი უოლესი, ჯონ სენდეილი, პიტერ კლოჰესი, გირვენ დემპსი, დევიდ ჰამფრისი, ქიარან სქალი, ჯასტინ ფიცპატრიკი, ალენ კლარკი, ჯერემი დევიდსონი, დიონ ოკინიგენი.

უცხოეთის ფეხბურთი

დიდი მეკარე ახალგაზრდა კოლეგების შესახებ

ახლო წარსულისა და, უნდა ვიფიქროთ, ყველა დროის ერთ-ერთმა საუკეთესო მეკარემ დინო ძოფმა, რომელიც ახლა იტალიის ნაკრების მთავარი მწვრთნელიც არის, გერმანულ ჟურნალ „კიკერის“ კორესპონდენტთან საუბარში განაცხადა:

– იმის თქმა, რომ მეკარის თამაშმა ამ ბოლო წლებში ადრინდელთან შედარებით დიდი ცვლილებები განიცადა, რა თქმა უნდა, სწორი არ იქნებოდა. მეკარის ხელოვნების ძირითად შემადგენელ ნაწილებად კვლავინდებურად რჩება ტრადიციული ტექნიკა, ათლეტურობა, პოზიციის შერჩევის უნარი. მაგრამ არ შეიძლება ორი ახალი მომენტის აღუნიშნაობაც. პირველი – შეცვლილი წესები მეკარეს გარკვეულ სიტუაციაში უკრძალავს ბურთის ხელში აღებას, ამდენად, მეტი მნიშვნელობა მიენიჭა ფეხით თამაშის ტექნიკას. მეორეც – ახლა წამყვანი ნაკრებები აღარ იყენებენ „ლიბეროს“. მცველები, რომლებიც ერთ ხაზზე არიან განლაგებული, ხშირად მიმართავენ თამაშგარე მდგომარეობის „მახეს“, ამ შემთხვევაში კი მეკარემ უნდა დააზღვიოს საკუთარი მცველები, ე. ი. თვით შეასრულოს „ლიბეროს“ ფუნქცია. ეს კი იმას ნიშნავს, რომ მან დიდი ყურადღებით უნდა ადევნოს თვალი თამაშს, „წაიკითხოს“ მისი მსვლელობა და იცოდეს, როგორი ურთიერთობა უნდა ჰქონდეს პარტნიორებთან.

ყველა ამ მომენტის გათვალისწინებით მე ძალიან მომწონს მსოფლიო ჩემპიონების ფრანგების მეკარის ფაბიენ ბარტეზის თამაში. მას ყველა აღნიშნული თვისება აქვს და, ვფიქრობ, მომავლის მეკარეს განასახიერებს. შემთხვევითი როდია, რომ მთელი მსოფლიო ჩემპიონატის დროს ბარტეზმა სულ ორი გოლი გაუშვა.

საფრანგეთში არაერთი სხვა შესანიშნავი მეკარის თამაშიც ვნახეთ. მათგან, ვინც საიმედოდ, თანამედროვე მანერით თამაშობდა, უნდა დავასახელო ხოსე ლუის ჩილავერტი, პეტერ შმეიხელი, ედვინ ვან დერ სარი და ჯანლუკა პალიუკა.

რიკარდო ტეიშეირა იმედოვნებს...

ბრაზილიის ფეხბურთის კონფედერაციის პრეზიდენტი რიკარდო ტეიშეირა იმედოვნებს, რომ ნაკრების ახალი მწვრთნელი ვანდერლეი ლუქსემბურგო ღირსეულად წაუძღვება თავის საქმეს. როგორც პრეზიდენტმა განაცხადა, ლუქსემბურგო სეზონის ბოლომდე ერთდროულად სან-პაულუს „კორინტიანსის“ მწვრთნელიც იქნება, ხოლო პირველ ნაკრებთან ერთად ოლიმპიურ გუნდსაც უხელმძღვანელებს. – უპირველეს ყოვლისა, – განაცხადა ლუქსემბურგომ, – ჩვენ უნდა დავსხდეთ მაგიდასთან და ყველაფერი კარგად დავგეგმოთ.

გავეცნოთ ვანდერლეი ლუქსემბურგოს მოკლე შემოქმედებით ბიოგრაფიას.

1952 – დაიბადა რიო დე-ჟანეიროში.

1986 – მას შემდეგ, რაც დაამთავრა ხანგრძლივი თამაში „ფლამენგოსა“ და „ინტერნასიონალში“ მცველის ამპლუაში ისე, რომ რაიმე განსაკუთრებული წარმატება არ ჰქონია, მწვრთნელი გახდა. დაინიშნა კლუბ „ოლარიას“ მთავარი მწვრთნელის თანაშემწედ.

1989 – სათავეში ჩაუდგა პროვინციულ „ბრაგანტინოს“. ისტორიაში პირველად ეს სრულიად უმნიშვნელო კლუბი სან-პაულუს შტატის პირველ დივიზიონში გადაიყვანა.

1990 – „ბრაგანტინო“ სან-პაულუს შტატის ჩემპიონი გახდა!

1991 – ასეთი კოლოსალური წარმატების შემდეგ მიიწვიეს ბრაზილიის ყველაზე პოპულარულ კლუბ „ფლამენგოში“ (რიო დე-ჟანეირო).

1992 – სათავეში ჩაუდგა „პალმეირასს“, რომელიც აქამდე მთელი 17 წლის მანძილზე ბრაზილიის ჩემპიონი არ ყოფილა.

1993 – ივნისში „პალმეირასი“ სან-პაულუს შტატის ჩემპიონი გახდა, წლის ბოლოს კი ბრაზილიის ჩემპიონიც!

1994 – განსაცვიფრებელი წარმატებები გაგრძელდა. „პალმეირასი“ კვლავ გახდა ჯერ სან-პაულუს შტატის, შემდეგ კი ბრაზილიის ჩემპიონი. კლუბის ხელმძღვანელობასთან უთანხმოების გამო მიატოვა „პალმეირასი“ და „ფლამენგოში“ დაბრუნდა.

1995 – ვერ შეეგუა რომარიოს მიერ დისციპლინის დარღვევას და ამაოდ ცდილობდა მის მორჯულებას. „ფლამენგოში“ ექვსთვიანი მარცხიანი მუშაობის შემდეგ დატოვა გუნდი. ოთხი თვის მანძილზე „პარანაში“ მუშაობდა, შემდეგ კი ისევ „პალმეირასს“ დაუბრუნდა.

1996 – „პალმეირასი“ კვლავ სან-პაულუს შტატის ჩემპიონი გახდა. გაიტანა 102 გოლი. წლის ბოლოს გააფორმა კონტრაქტი პელეს ყოფილ კლუბთან, სან-პაულუს პოპულარულ „სანტოსთან“.

1997 – „სანტოსში“ მთელი წელი გაატარა, თუმცა რაიმე წარმატება არა ჰქონია. კონტრაქტის დამთავრების შემდეგ გადავიდა სან-პაულუს „კორინთიანსში“, რომელიც ამჟამად „ფლამენგოს“ შემდეგ ბრაზილიაში ყველაზე უფრო პოპულარულ კლუბად ითვლება.

1998 – „კორინთიანსი“ გავიდა სან-პაულუს შტატის ჩემპიონატის ფინალში, სადაც დამარცხდა „სან-პაულუსთან“.

ყოველივე ამის შემდეგ, დაინიშნა ბრაზილიის ნაკრების მთავარ მწვრთნელად. ზაგალოსგან განსხვავებით ჯერჯერობით რაიმე კონფლიქტი ჟურნალისტებთან არ მოსვლია.

გივი თხინვალელი.

სპორტი ჩემს ცხოვრებაში

ბოლოს და ბოლოს თხოვნა-მუდარამ გაჭრა – სახელოვანმა მსახიობმა ზურაბ ქაფიანიძემ სიტყვა შეასრულა და ჩამოაყალიბა თავისი შეხედულება თემაზე „სპორტი ჩემს ცხოვრებაში“.

ზურაბ ქაფიანიძე: ნავარჯიშევი ტანი სცენაზეც და კინოშიც ლამაზი საყურებელია...



ცურვა

– ჩემი სახლის წინ 100 მეტრში რიონი მოედინება, უფრო ახლოს, 50 მეტრში – ოყანური. კავკასიონის ძირში განლაგებულია ჩემი სოფელი ზევი, საიდანაც მოდის რიონი, სათავეს რომ ღმერთებისგან დაცემული პირამიდების წყებათაგან იღებს. ოყანური – ეს წისქვილების წყალი – ზაფხულობით ძალიან თბილია და თან უამრავი მჟავე წყლებით შეზავებული საბანე ბავშვებისათვის.

აი, ეს არის თავდაპირველი ბავშვების საცურაო ადგილი. აქ დავიზარდენით ლიფსიტებივით და მერე რიონში ვსინჯავდით ძალასა და ღონეს, სადაც, წამოჩიტებულები უნდა გავსულიყავით და გამოვსულიყავით. ამ ადგილს წყლისსამსები ჰქვია. მშობლები შიშით და ვაივაგლახით დაგვდევდნენ, რიონში რომ არ გვებანავა იმიტომ, რომ სახიფათო იყო წყლისსამსები. ორმოცდაათმეტრიანი ნახევრად ფონი იყო. ჯერ გორებამდე (ასე ვეძახდით ჩქარი დინებისაგან ამობურცულ წყალს) უნდა მიგვეღწია, მერე მოზრდილები დგებოდნენ აქეთ და იქით ნაპირზე და ისე ვცდილით გასვლა-გამოსვლას. ეს უკვე ჩვენთვის დიდი სახელი იყო.

რა თქმა უნდა, მამაჩემმა შეამოწმა – ჩემს ბანაობას უყურა და მითხრა, იარე შვილო და მეც დავდიოდი რიონზე. ეს მდინარე ევროპისა და აზიის საზღვარია და რომ წამოვიზარდე, ვტრაბახობდი – ევროპიდან აზიაში გადამიცურავს, აზიაში ყურძენი მომიკრეფია და ისევ ევროპაში გვიჭამია-მეთქი. ეს ცურვა გამომადგა ჩემს კოტორაშვილში, სადაც გულადმა სიმღერით მთელი ერთი კილომეტრი მოვყვებოდი დეკემბრის ყინვაში მტკვარს. ასევე – კაპიტან ერუნველის ახალ თავგადასავალში, რომელიც მოსკოვის გორკის სტუდიამ გადაიღო: თოკით ვიყავი პატარა გემს გამოკიდებული და ზღვაზე მიმათრევდა მთელი ათი კილომეტრი.

ქვეყანაში ყველა ბავშვმა უნდა იცოდეს ცურვა, რა თქმა უნდა.

ჭიდაობა

გამხდარი ვიყავი დაწყებით სკოლაში და ავლარწული. ყველას ჩემთან უნდოდა ჭიდაობა, იმიტომ, რომ ძალიან სუსტი ვიყავი და მერეოდნენ. მე რატომღაც არც მწყინდა და არც ვთაკილობდი სუსტობას. რაღაც ქვეცნობიერი იმედი სულ მქონდა. ამ იმედით ყველას ვეჭიდავებოდი, ერთხელაც ყველა წავაქციე. ჩემზე უფროსიც დამეჭიდა და ისიც წავაქციე – ბეჭში გავიმალე და უკვე „სამიმი“ შევიქენი.

თოხნა

მამაჩემი, ესო ქაფიანიძე, კოლმეურნეობის თავმჯდომარე იყო და არ მამუშავებდა. სოფელი უქნარას მეძახდა, მაგრამ საკუთარი ყანის გათოხნა დედასთან ერთად კი მიხდებოდა. ეს არის მკლავების დამანგრეველი და წელის ტკივილი. მაგრამ, რა თქმა უნდა, ჩვენ გამოუცდელობის გამო ვილევბოდით ძლიერ, ყველაფერს თავისი ცოდნა და გამოცდილება უნდა, სახალისო რომ იყოს მძიმე შრომაც. ერთხელ ქალაქში მოხარშული სიმინდი რომ შემოიტანეს სუფრაზე, ჩემმა ძმაკაცმა მითხრა, ძალიან მიყვარსო, და ორთქლიან სიმინდზე მაჩვენა, მაგრამ მრცხვენია ჭამაო. რატომ-მეთქი – რატომ და, მაგის მოყვანას რომ უყვარს, ის მე არ მიყვარსო – თოხი.

თიბვა

უკვე გარკვეულ ასაკში უნდა იყო, რომ ცელი დაიკავო და ჩადგე კაცებში. პირველად სულ უკან ყველაზე ბოლოში აყენებენ ახალ დამწყებს. წვალობს, ხან რა მოეშლება და ხან რა, ან ქვას წაჰკრავს დიდხანს ნაკვერ ცელს და წამში უფუჭდება. ერთი სიტყვით, მაჩანჩალობს. ასეთები ვიყავით ყველა დამწყებნი და ერთ მშვენიერ დღეს, კარგად რომ გამოკვერავ ცელს, კარგად რომ გამართავ (კარგი რგოლი უნდა, კარგი სოლი, კარგი კინთა) – შენი ზომისა და წონის მიხედვით რომ გამართავ, მერე იწყება ბრძოლა თავში დადგომისთვის, ოღონდ ესეც ბოლოდან უნდა დაიწყო. ასეთი წესია: როგორც კი შენი ნათიბი ბალახი ფეხზე მოხვდება წინა მთიბავს, ის გადმოდის შენ ადგილას და შენ მის ადგილზე დგები. ასე წინაურდები პირველი ადგილისკენ. თიბვა არის უვაჟკაცესი ვარჯიში, უდიდესი ძალა და ღონე. მოუღლელი მკლავი და მოუღლელი მუხლი სჭირდება, ულამაზესი და უსუფთავესი, რადგანაც ეს ხდება მთაში სუფთა და კრიალა ჰაერზე. უდიდეს სილამაზეში – კავკასიონის ამ ულამაზეს ოაზისში, სადაც კი ვერც შრომით, ვერც სუნთქვით, ვერც წყლის სმით, ვერც ყურებით ვერ გაძღები. ისეთი საოცარია მთაში მუშაობა და ისეთივე კარგია ხულაში ძილი. მიყვები ფარს წვერისკენ, ჩადგებიან კაცები და დაეშვები დაბლა თიბვით. ხიხამთაზე მომიწია თიბვამ. ორი წელი ბრიგადირი ვიყავი, ჩემი სოფლის მთიბავების წინ ვიდექი და დილიდან საღამომდე ვთიბავდით. დავიწურებოდით ოფლისგან, ხელებში ძალა გეცლება საღამოზე, მაგრამ ქვემოთ მზადდება პურ-მარილი, შენ კი ხარ დაღლილ-დაქანცული, მწყურვალი, მშიერი. ო, რა გემრიელია ის დალოცვილი ღვინო მწყურვალზე, რა გემრიელია პურის ნატეხი, ხახვის და ნიორის კბილი, მოხარშული ყველი, ქარვისფერი ლორი და მჭადი, რომელსაც თავმჯდომარე მამაჩემი სულ გვახვედრებდა ხულაში, მერე თივაში გავეხვეოდით და გამთენიამდე გვეძინა მთაში...

რა თქმა უნდა, ეს ლეილა გოგრელაძის ფილმ „მთიბავებში“ გამომადგა. ერთხელ, რაღაც კადრის მიხედვით ალაგებდნენ ბალახის მთიბავებს წაღმა-უკუღმა. ლეილას ვუთხარი, მომეჭრება სოფელში თავი – მთიბავები ადგილის მიხედვით ლაგდებიან და არა კადრის მიხედვით-მეთქი, თორემ რაჭაში რას მეტყვიან-მეთქი.

ყველაფერს ცოდნა უნდა და თავისი წესი და კანონი აქვს.

ხე-ტყის ჭრა

მასალის დასამზადებლად საგლეხოს ტყეებში ვჭრიდით ნაძვს, ცამდე ასულს. თუ იცი, ხეს ისე წააქცევ, როგორც შენ გინდა – მორების ამოღებისას ადვილი რომ იყოს დასაცურებლად ქვევით სახარო ან სამანქანო გზამდე. ოჰ, რა ლამაზია – რომ წამოვა ეს ულამაზესი ხე და შენი ნების მიხედვით რომ წამოწვება ადგილზე და ამოკაფავ მორებს და დააცურებ, ატეხავ ყვირილს დაცურებამდე, რომ ვაცურებ და აგუბინებ შენს ქვევით ვინც არიან. ამოეფარებიან დიდ ხეებს და დაუშვებ ქვემოთ; რომ აიწყვეტს თავს, შლიგინით რომ დასრიალდება ამ თავდაღმართში და მოადენს ქვევით ზათქს. ყველაფერს უნდა დაუგდო ყური და გააკონტროლო, ჩავა თუ არა დაბლა, იმიტომ, რომ დაკიდებული მორი შეიძლება დამოკლეს მახვილს ჰგავს – შეიძლება აიშვას თავი და ქვემოთ კაცი დაღუპოს. განზეც იცის წასვლა დაქანებულმა მორმა. მახსოვს, ტყეში ვისხედით, საჭმელს ვჭამდით და ინსტინქტურად აეხტით ჰაერში – ვეებერთელა მორმა ჩვენს ფეხებში ელვის სისწრაფით გაიგლიჯინა.

შეშის ჩეხვა მიყვარდა. ჩამოვივლიდი სოფელს და დავუჩეხავდი შეშას, ვისაც არ შეეძლო დაჩეხვა. ესეც კარგი დამქანცველია და გამკაჟებელი სხეულის.

ხალხური თამაშობები

ჯორიღლიტა

გავიყოფოდით სოფლელი ბიჭები ორად და ერთ მწკრივს გავაკეთებდით, ფეხებზე ხელებს შემოვხვევდით, თეძოზე თავს მივადებდით და ასე გავაკეთებდით ჯორების მწკრივს. ჯორები ასე ლაგდებოდნენ: წინ ყველაზე სუსტი და ბოლოში ყველაზე ძლიერი. როცა ყველა შეხტებოდა, უნდა გაეძლო ჯორებს, სანამ ვინმე არ ჩაიკეცებოდა. მერე ისინი დგებოდნენ და ასე გრძელდებოდა.

კორაობა

ვნახავდით ბრტყელ სამ ქვას და ნახევარი მეტრის მოშორებით მინდორზე ჩავარჭობდით მწკრივში. მოწინააღმდეგეც ასევე დააყენებდა 30-50 მეტრის მოშორებით სამ-სამ კორას, მუჭში რომ ჩაგეტევა მრგვალი ქვა – თითოს გეეჭირა. ჯერ ერთი მხარე ესროდა სამს, მერე – მეორე და ასე შემდეგ. აქაც ბოლოს ძლიერი რჩებოდა და რაც უფრო მსხვილი იყო კორა, მით უფრო ხშირად ანადგურებდა და აქცევდა დაყენებულ ქვებს. იყო გამარჯვებული და დამარცხებული.

ცხენი კუკურა

მამაჩემს ჰყავდა კარგი ცხენი, კოლმეურნეობის იყო. ღამე ვპარავდით ხოლმე და ვაჭენებდით უბელო ცხენს, მაგრამ ფერმიდან გამოყვანა კუკურასი სასწაულ ხიფათთან იყო დაკავშირებული – გამოყვანისას და შეყვანისას მწყემსს არ უნდა გაეგო. ბაწარს მოვაბამდით ლაგამის მაგიერ და ვაჭენებდით სოფლიდან მოშორებით, რომ ჭენების ხმა არავის გაეგო. ცხენზე ჯდომა კი აუცილებელი იყო ქართულ კინოში „ხევსურული ბალადა“, „წიგნი ფიცისა“. კუკურას ქურდი ბიჭუნა რას იფიქრებდა, თუ საქართველოში რუსთაველის პრემიის ლაურეატი გახდებოდა და თუ კუკურაც მიიღებდა მონაწილეობას მასზე ნასწავლი ცხენოსნობით.

ვენახი

ღვინო — სისხლი ქართველი კაცისა.

ბარვა, თოხნა, შეწამვლა, სარის მოჭრა-მოტანა, გაჩეხვა, გასხვლა, წამლის ზიდვა, ჩასაელიხა და ქვევრის რეცხვა ისეთი მუხლჩაუხრელ შრომას მოითხოვს, რომ ხშირად მიფიქრია: ამდენი ვარჯიშის გამო იყო ქართველი კაცი ერთზე ათს რომ უმკლავდებოდა და დილიდან საღამომდე ხმალს ხელიდან არ უშვებდა.

ყველაზე მძიმე იყო სავენახე ადგილის გადაბრუნება და სავენახე ადგილის მომზადება. ნახევარი მეტრზე მეტი სიღრმის და ამდენივე სიგანის კვალი ითხრება ნაკვეთის სიფართემდე და არჩევ ქვისა და ღორღისაგან მიწას და მიჰყვები თავამდე, რამხელა ვენახიც უნდა გაშენდეს, თან ამ ამოყრილი ქვიდან აკეთებ ყორეს და ეზიდები ქვებსა და ლოდებს. რაჭაში სად არის უქვო და გვერდი ადგილი, რომელიც ვაზს სჭირდება? მაგრამ მადლიანია ის ღვინო, რომელიც ქართველ კაცს მოუწევია, თავისი განუყრელი სისხლი ჭირსა და ლხინში ეს უძველესი და უკულტურესი წინაპარი ქართველებისა. დიდება შენს მადლს, ვაზო, ბარაქალა შენს ჯიშსა და მოდგმას, შენ ჩვენო სიმღერავ, ლექსო და ცეკვავ!

კალოობა

პური, ძალა და ღონე კაცის!

შუმერთა სიძველეებში რომ აღწერილია კალოობა, ზუსტად ისეთია რაჭაშიც. მეცნიერებმა კალოობა არ იციან და პარალელს როგორ გაავლებენ ჩვენი წინაპრების ისტორიასთან. ვაჟას დაწერილი ფშავ-ხევსურული კანონები და შუმერთა უძველესი კანონები ერთი და იგივეა. კალოობა იყო ჩვენი კვერით გასეირნების უდიდესი სიხარული, მაგრამ მერე, დღის ბოლოს, მოსაწყენი. კალოს მოპიტვლა, გამრობა, პურის კონების გაშლა, მკა, დათესვა, ხვნა, დაფარცხვა, მოზიდვა, დადგმა, ძნების პურის განიავება, გასუფთავება და შენახვა. პურის გარეშე არც ერთი ძველი რელიგიური დღესასწაული არ არსებობს; ბოსლობა, მელამელაობა, ჩიტიფათობა, ბოკიაობა, კორკოტობა – ეს სულ უმაღლესი წარმართული დღესასწაულებია.

საერთოდ, ნაშრომი სხეული, როცა სხეული ერევა შრომას და აძალებს, ლამაზია, ვაჟკაცური, ძლიერი. თვალსა და გულს ახარებს ჯანმრთელი კაცის დანახვა. აი, ასეთი მოვხვდი თეატრალურ ინსტიტუტში.

კოწო ბადრიძე, გიგანტები

ცნობილი ტანმოვარჯიშე, ვაჟკაცი ადამიანი და კარგი მასწავლებელი სპორტთან ერთად კაცობასაც გვასწავლიდა. თეატრალურ ინსტიტუტში დადგებოდა – აბა, მე ვინ გადამახტებაო. ჩვენ უნდა გავქცეულიყავით და იმის თავზე გადაგვევლო, შემდეგ ხელებით ვეშვებოდით ძირს და ზურგზე კოტრიალით ფეხზე ვიდექით წამსვე. ერთხელ, გიორგი შავგულიძე მოიყვანა სავარჯიშოდ – ჩხუბს გვასწავლიდა საჩვენებელს. დადგა და, აი ჩემი ბიჭები რას აკეთებენო – დამიძახა, გავფრენილიყავი.

– ჰაიტ, მითხრა, არა გრცხვენია?

– რა, მასწ...

– ამას ხედავ? და ოდნავ აწეული ხელი დამანახა...

თავიდან გადავხტი, ამჯერად – სუფთად.

აკაკი ხორავამ მითხრა: თუ გინდა, დიდი მსახიობი გამოხვიდე, ვასაძესთან უნდა მოხვდეო. მართალიც გამოდგა ჩემი მამობილი სამსახიობო საქმეში – აკაკი ხორავა. ასევე შვილობილად მიმიღო აკაკი ვასაძემ – ამ მეორე გიგანტმა მაშინდელი პლანეტისა. თეატრში მაღალდება ამ ორი უდიდესი ადამიანით დაწყებული ჩემი სამსახიობო გზა, რაც კინომ და თეატრმა ერთი მესამედითაც ვერ გამოიყენა. დასრულებული დავდექი ქუთაისის თეატრში. ხმაც, მსახიობობაც და ნავარჯიშევი ტანი ერთად სცენაზეც და კინოშიც ლამაზი საყურებელია და მიყურებდა ჩემი ქუთაისის საოცარი მაყურებელი ოთხი თეატრალური სეზონის განმავლობაში და ტაშით მხვდებოდა ამ ღლაპ დამწყებ მსახიობს.

1964 წლიდან კი კინოს ჩავეხუტე...

ზურაბ ქაფიანიძე.

ყოველი მხრიდან

„ფორმულა-1“ მოითავა და ჩოგბურთს მიხედა

მულტიმილიონერმა ბერნი ეკლსტოუნმა, „ფორმულა-1“ ავტორბოლების ავანჩავანმა, გადაწყვიტა – თავისი ფული და ენერგია ჩოგბურთსაც მოახმაროს. ლონდონის სიტის წყაროებზე დაყრდნობით პრესა იუწყება, რომ ბერნის სურს სპორტის ამ პოპულარული სახეობის სტრუქტურის შეცვლა პროფესიონალ ჩოგბურთელთა ასოციაციისა და „დიდი მუზარადის“ ტურნირების შეერთებით – მსოფლიო ჩემპიონატად.

ჩოგბურთსა და ფეხბურთში (ლაპარაკია სუპერლიგაზე) თავისი ამბიციების დასაკმაყოფილებლად მან სათანამშრომლოდ მიიწვია „მორგან სტენლი“. დასავლეთის ერთ-ერთი უმსხვილესი ეს ბანკი უახლოეს ხანში გამოუშვებს ეკლსტოუნის მიერ შექმნილი „ფორმულა-1 ჰოლდინგის“ 2 მილიარდი დოლარის ევრობანდებს. მისი მფლობელები არიან ბერნის ცოლი, ხორვატელი ექს-მოდელი სლავიკა და ეკლსტოუნის ორი შვილი.

საქმოსნის თქმით, დიდი ჩოგბურთის აღმავლობის იდეა, რაც მას დიდი ხანია აინტერესებს, თითქოს სხვისი ნაკარნახევია, ის კი მხოლოდ ექსპერტების გაანგარიშებებს ახორციელებს.

„ფორმულა-1“-ის მფლობელმა განაცხადა: „მე ინტენსიურ მოლაპარაკებებს ვაწარმოებ ჩოგბურთთან დაკავშირებულ ადამიანებთან და ვფიქრობ, ამ სპორტში ცვლილებები გარდაუვალია, ჩემთან ერთად ან უჩემოდ“.

ნათელია, ტურნირების ორგანიზაციას სერიოზული შეჯანჯღარება სჭირდება: ძალზე ბევრი ტურნირი ტარდება, – მიაჩნია ეკლსტოუნს. პროფესიონალთა რეიტინგი მას მასხრობად მიაჩნია. „ხალხი კარგად ვერ ერკვევა, ვინაა საუკეთესო“, – აღნიშნავს მულტიმილიონერი, – „ფეხბურთს და ჩოგბურთს რომ ვუყურებ, ჩემთვის ნათელი ხდება, თუ როგორ გავამარტივოთ რთული სისტემა“, – კულუარებში განაცხადა რეფორმატორმა. იგი აღიარებს, რომ ნაკლებად ერკვევა ჩოგბურთის საორგანიზაციო საკითხებში, მაგრამ სწორედ ეს მიაჩნია თავის უპირატესობად.

უეფას თასიდან გააძევეს

ალბათ გახსოვთ, უეფას თასის მეთექვსმეტედფინალის განმეორებით მატჩში, როცა ერთმანეთს ხვდებოდნენ იტალიის „ფიორენტინა“ და შვეიცარიის „გრასჰოპერსი“, ტრიბუნიდან ისროლეს ყუმბარა, რომელმაც დააზიანა გვერდითი მსაჯი. რასაკვირველია, თამაში შეწყდა. საქმე უნდა **უეფას** განეხილა. ყველა მოუთმენლად, ბევრი – შიშითაც, მოელოდა ევროპული ფეხბურთის შტაბის გადაწყვეტილებას. მანაც არ დააყოვნა – განაჩენი ერთობ მკაცრი გამოდგა: გაირიცხოს „ფიორენტინა“ **უეფას** თასის გათამაშებიდან.

ბევრმა, შეიძლება თქვას, რომ მკაცრი გადაწყვეტილებაა, რადგან გუნდი ძალზე კარგად თამაშობდა და ვინ იცის, რა მოხდებოდა, სხვა ქალაქში მაყურებლის მიერ ნასროლმა ბომბმა თასისათვის ბრძოლის ფართო გზა გაუხსნა არაფრით გამორჩეულ შვეიცარულ გუნდსაო.

შედავება თითქოს ძნელია, ვინაიდან ჯოვანი ტრაპატონის გუნდი მართლაც ურიგოდ არ თამაშობდა, მაგრამ დალუპა მისმა ქველმოქმედურმა განზრახვამ, – მატჩი გაემართათ სალერნოში სამხრეთ იტალიაში წყალდიდობის შედეგად დაზარალებულთა სასარგებლოდ.

ვინ ითამაშებდა სტადიონზე, სადაც მაყურებლები მუდამ ცდილობენ თავიანთი გუნდისათვის საქმის წახდენას?

შეიძლება ითქვას, ფლორენციელები ბედს უნდა უმადლოდნენ, რომ ყუმბარა ისროლა ადგილობრივმა მოქალაქემ და არა გუნდს ჩამოყოლილმა გულშემატკივარმა, თანაც, კიდევ კარგი და როგორც გაირკვა, ესროლეს გუნდს და არა მსაჯს. მაშინ სასჯელი უფრო მკაცრი იქნებოდა.

კლუბის გამწარებულმა მენეჯერმა ლუჩიანო ლუნამ განაცხადა, რომ განაჩენს აუცილებლად გააპროტესტებენ. ჩვენ ხომ თავად დავზარალდითო, ზოგიერთმა მოთამაშემ დროებით სმენაც კი დაკარგაო. გუნდის მთავარი მწვრთნელის ჯოვანი ტრაპატონის აზრით, სადმა აზრმა უნდა გაიმარჯვოს და მათი აპელაცია მიიღონ. წინააღმდეგ შემთხვევაში ნებისმიერ ბოროტგანმზრახველს შეუძლია ჩაშალოს სხვა გუნდის მატჩი და შეჯიბრებიდან გააძევებინოს.

„გრასჰოპერსის“ პრეზიდენტი კი სხვა აზრისაა – „ჩვენ მივესალმებით **უეფას** გადაწყვეტილებას, – ჩაუთვალოს „ფიორენტინას“ ტექნიკური დამარცხება. ვფიქრობთ, რომ ის მიღებული იყო ვითარებასთან შესაბამისად. ახლა ჩვენ „ბორდოსთან“ მატჩს ველოდებითო.

ღიმილის დოზა



მოწოდების სიმაღლეზე.

ლევან მართაშვილის ნახატი.

კრემლს ფული ჰქონია

ორიოდე კვირა გავიდა, რაც მოსკოვში დამთავრდა „კრემლის თასის“ გათამაშება ჩოგბურთში ქალთათვის და ორშაბათს იქვე სტარტი აიღო ვაჟთა ტურნირმა. ეს უკვე მეცხრედ გათამაშდება „კრემლის თასი“ და მისი საპრიზო ფონდია 1125000 დოლარი.

როგორც ჩანს, კრემლს ფული ჰქონია. ქალთა ტურნირის მონაწილეებიც კარგად დასაჩუქრებულნი გაისტუმრეს და არც მამაკაცებს დატოვებენ გულნაკლულებს, მით უმეტეს, რომ ფულს საერთაშორისო რეიტინგის ქულებიც ემატება და, როგორც ამბობენ ხოლმე, ტურნირის მონაწილეებს „ორი კურდღლის დაჭერის“ შანსი ეძლევათ.

ტურნირში გამარჯვებული 157400 დოლარს მიიღებს, ხოლო „რეიტინგში“ 230 ქულა ჩაეწერება. ფინალისტისთვის 93 ათასი დოლარი და 168 ქულაა განკუთვნილი, მე-3 – მე-4 ადგილები 55000 დოლარი და 105 ქულა „ღირს“. 5-8 ადგილები შესაბამისად 32100 და 53; ზემოთ ვთქვით, რომ გულნატკენი არავინ დარჩებაო და ეს ნამდვილად ასეა, თვით ისიც კი, ვინც ბოლო – 32-ე ადგილზე გამოვა, ხელცარიელი არ დატოვებს „კრემლს“ – 11300 დოლარსა და ერთ ქულას გაიყოლიებს თან.

უძღვება
ანზორ ბასილაია.



სამწუხაროდ, არის მსხვერპლი

8 ნოემბერს, 14 საათსა და 50 წუთზე, სამტრედიის რაიონის სოფელ საჯავახოში შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოება „მაკონელ ლოუველის" ავტომანქანა „მიცუბიში", რომელსაც ამავე ფირმის თანამშრომელი, პაკისტანის მოქალაქე მიშტიაკი მართავდა, გადავიდა გზის საპირისპირო მხარეს და შეეჯახა თურქეთის რესპუბლიკის ქალაქ სტამბოლის ფირმა „კრანსმატის" ავტომანქანა „დფს", რომელსაც ქემალ ახნირი მართავდა, შემდეგ კი შეეჯახა ხეს.

შედეგად ადგილზე გარდაიცვალა ფირმა „კრანსმატის" ორი თანამშრომელი და დაშავდა ორი მგზავრი.

ბავშვებო, დანით თამაში საშიშია!

8 ნოემბერს, სისხლის სამართლის სამძებრო განყოფილების არასრულწლოვანთა ინსპექციის თანამშრომლებმა დაადგინეს, რომ № 101 საშუალო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლემ ლაშა მოისწრაფიშვილმა 3 ნოემბერს, 12 საათზე მე-60 საშუალო სკოლის შენობაში ურთიერთშელაპარაკებისას, დანით დაჭრა ამავე სკოლის მოსწავლე ირაკლი მამფორია.

ლაშა მოისწრაფიშვილი გაშვებულია ხელწერილით.

კორნელ ენუქიძის დიდი ზარალი

8 ნოემბერს, საგზაო პოლიციის მთავარი სამმართველოს თანამშრომლებმა, ნატახტრის საგუშაგოზე დააკავეს სამი „კამაზის" მარკის ბენზინმზიდი, 50 ტონამდე ბენზინით. ტვირთს აცილებდა მფლობელი, თბილისში მცხოვრები კორნელი ენუქიძე, რომელმაც კონტრაბანდული საწვავი ცხინვალში შეიძინა.

სამივე ბენზინმზიდი ჩაბარდა ნატახტრის შემკრებ-გამანაწილებელ ტერმინალში საბაჟო დეპარტამენტის წარმომადგენლებს.

„სუპერსერვისის" გაქურდვა სურდათ

8 ნოემბერს, მდინარე მტკვრის მარჯვენა სანაპიროზე მდებარე ფირმა „სუპერსერვისი-96"-ის ადმინისტრაციული შენობის გაქურდვის დროს დააკავეს მერაბ ვარსიმაშვილი, რაინდ მოდებაძე, ლევან მოდებაძე და შოთა ცუცქირიძე.

ნაქურდალი ნივთები ჩამორთმეულია.

ჯარისკაც ქლერიას ჯიბეში ვაზნები აჟღერდა

8 ნოემბერს, სამტრედიის რკინიგზის სადგურის ტერიტორიაზე დააკავეს სენაკში დისლოცირებული № 11196 სამხედრო ნაწილის ჯარისკაცი გოდერძი ქლერია. მას აღმოაჩნდა ავტომატ „ასკ" 187 ვაზნა და 2 კილოგრამი ასაფეთქებელი ნივთიერება „ამონიტი".

ინფორმაცია მოგვაწოდა საქინფორმმა.

შპს „გაზმშენი" DARIA
გთავაზობთ:
— ბინების, ოფისების, საწარმოების გაზიფიკაციის სამუშაოებს
— გათბობის სისტემების მონტაჟს
— გაზის მრიცხველების, გაზის რადიატორების და წყლის გამაცხელებლების რეალიზაციას იაფად.
ტელ: 70-28-67.

ცხელ კვალზე

გუშინ ჩვენი სახალხო არტისტი, მსოფლიო ფესტივალების მრავალგზის ლაურეატი, ღირსების ორდენის კავალერი, მწერალი — მრავალი გახმაურებული წიგნის („ტრიუმფით მსოფლიოს გზებზე", „ტრიუმფი გრძელდება", „ფარნავაზ"), იუმორისტული კრებულების და დასაბეჭდად გამზადებული 3 სოლიდური რომანის ავტორი ქართლოს კასრაძე რედაქციაში გვეწვია და ეს ლექსი მოგვიტანა. მკითხველი ადვილად მიხვდება ვის და რას ეხება ის და რატომ გადაწყვიტა „ხუმარა" კაცმა ასეთი სტრიქონები ეძღვნა ტარასი ტარასკონელისათვის.

ნომრის მორიგე რედაქტორი.

ავსა კაცსა — ავი სიტყვა!..

ჰეი, შენ! ტარასკონელო,
გაუმაძღარო ბოღმითა!
„ხუმარას" მე რომ მიწოდებ,
ჩემგან პანღური მოგინდა?
თბილისში მე ვერ მიცანი?!
შარვალი ხომ არ შეგხსნია!

ეს პამფლეტია თუ მართლა
ბრმა სიძულვილის თესლია?...
ჰეი, შენ, ტარასკონელო.
უნიჭოების რაშებით
ჩემგან რა გინდა?, რას მერჩი?
ან რა ლახტს მეთამაშები?...

რა ჭირი ჭამე ასეთი,
ბოღმა-კაცმა და ბეჩავმა?
ან მე როგორ ვერ მიცანი?
„ტომატი" მაინც გეჭამა!
ღირსების ორდენს სჭირდება
შრომა, ცხრა ხარის ოდენი,
მეორედ რომ დაიბადო —
ვინ მოგაქვავა ორდენი!
მე ვიცი, რად იბოღმები
რატომ ხარ ნერვებაშლილი
მოდის ყველაზე ძლიერი
მოქალაქეთა კავშირი!
ღირსების ორდენს რომ სინჯავ
მაგ უწმინდური ხელებით —
შორია პრეზიდენტამდე!...
ვერც მიხვალ ჭენებ-ჭენებით!
შენ მე „ხუმარა" მეძახე, —
თან ვითომ რაღაც მიცოდებ!..
სკანდინავიის ქვეყნებმა
„ლიტე ჩაპლინი" მიწოდეს...
ცხრამეტ სხვადასხვა ენაზე
რაც მიღვაწნია — დღეს ახდა!
მთელი რუსეთი, იყო დრო,
„ქართველ რაიკინს" მეძახდა...
ან მხატვრებს როგორ მიახტი —
ციური ნიჭით ნაბოძებს?
ნეიდერლანდის ქვეყნებსაც
ხუთი მხატვარი აცხოვრებს!..
შენ არც მხატვრობა გინახავს
არც ქართველ მხატვრის ნახატი..
საქმე არა გაქვს, ბიძია?
წადი, იშოვე მახათი!
პრეზიდენტს ნუღარ ახსენებ,
საქმეს მიხედე, ძამია
შენ ვითომ ტარასკონელო,
შე მართლა მწყერი-ჭამია!

ქართლოს კასრაძე.

ამბები პარიზიდან

მხატვრის საიდუმლო

საფრანგეთში საქართველოს საელჩოს აპარტამენტები ხშირად მასპინძლობს ქართულ ხელოვნებაზე შეყვარებულ ფრანგებს და ის ტრადიცია, რომ დროდადრო აქ პატარა გამოფენები ეწყობა, ისევ და ისევ ნაკარნახევია ქართული კულტურისა და ხელოვნების რაც შეიძლება ფართო პროპაგანდის სურვილით.

იმ დღესაც, 26 ოქტომბერს, უამრავი მნახველი ეწვია ამ პატარა გალერეას, რომელიც ამჯერად საქართველოს სამხატვრო აკადემიის კურსდამთავრებულის (დიმიტრი თაყაიშვილის სახელობისნო), ნიჭიერი მხატვრის **ირინა ელიაშვილის** ნახატებმა გამოაცოცხლეს. ჯერ კიდევ სრულიად ახალგაზრდა მხატვარ ქალიშვილს უკვე საინტერესო შემოქმედებითი ბიოგრაფია აქვს. მისი ნამუშევრები თავის დროზე გამოიფინა თბილისის თანამედროვე ხელოვნების გალერეაში (1993, 1998), თბილისის სამხატვრო აკადემიაში (1994), თბილისის გრიბოედოვის სახელობის თეატრში (1995) და წელს საფრანგეთში, თბილისთან დაძმობილებული ქალაქის, ნანტის „დროთა ოქროდ" წოდებულ გალერეაში, სადაც მათ უდიდესი წარმატება ხვდათ.



ირინა ელიაშვილის ნამუშევარი სერიიდან „ნოსტალგია" (ტილო, ზეთი).

და აი, ირინას შემოქმედებამ ნანტიდან პარიზს გადმოინაცვლა და საქართველოს საელჩოს აპარტამენტები დაამშვენა. საოცარი იდუმალების მთოვარი ეს ნახატები, რომლებსაც ორიგინალობის უტყუარი ბეჭედი აზის, სიძველისა და რეტროსპექტივის ილუსტრაციის ლამაზი მცდელობაა, „ნაპოლეონი", „ნოსტალგიების ტეტრალოგია, ველოსიპედი „**Carpe Diem**", „დიალოგი", „ჩემი ქალაქი", „მოგონებათა გასაღები" და სხვ. უცნაურ ფიქრებს აღძრავს მნახველში და როგორც ნანტელი ხელოვნებათმცოდნე ელიან ფუშერი თავის მიმოხილვაში წერს, — მხატვარი ქალის „თითოეული სახვითი რეპრეზენტაცია ყალიბდება როგორც ერთგვარი საიდუმლო, რასაც გვაზიარებს მხატვრისეული ჭვრეტა და მგრძნობელობა".

ამ ლამაზმა გამოფენამ მრავალი ლამაზი ემოცია გამოიწვია. საღამო, რომელიც გახსნა საქართველოს საგანგებო და სრულუფლებიანმა ელჩმა საფრანგეთში, ქალბატონმა ნათელა ლადიძემ, ქართული ხელოვნების კიდევ ერთ აპოგეად იქცა და ირინა ელიაშვილის „დღიურს" უამრავი ჩანაწერი შემატა. პარიზის ქართული დიასპორა, რომელიც უხვად იყო წარმოდგენილი, ისე როგორც ფრანგი სტუმრები, ერთხმად იზიარებდნენ დემოკრატიული საქართველოს პირველი რესპუბლიკის მთავრობის თავმჯდომარის უფროსი ქალიშვილის, ქალბატონ ნათელა ჟორდანიას სიტყვებს: „ჩვენ დღეს მოწმენი ვართ ახალი ვარსკვლავის ამობრწყინებისა ქართული სახვითი ხელოვნების ცარგვალზე".

„თბილისი — სპარსეთის ჭიშკარი XIX საუკუნეში"

... XIX საუკუნის დასაწყისში სპარსეთმა თავისი პერიფერიის მრავალი პროვინცია დაკარგა. ამ რეგიონებმა და, კერძოდ, მათმა მთავარმა ქალაქებმა ორიგინალური როლი ითამაშეს როგორც სპარსეთის კარიბჭეებმა. აღნიშნულ გეოპოლიტიკურ კონტექსტში თბილისს უმნიშვნელოვანესი დატვირთვა ჰქონდა, რაც შეიძლება შევადაროთ სტამბოლის, კაიროსა თუ ბომბეის მაგალითს. საქართველოს დედაქალაქი საუკუნეთა მანძილზე საკმაოდ მჭიდრო პოლიტიკურ, სავაჭრო და კულტურულ ურთიერთობაში იმყოფებოდა ირანის ცენტრალურ პროვინციებთან.

XIX საუკუნის პირველივე წლებიდან, როდესაც საქართველო ანექსირებულ იქნა რუსეთის მიერ, თბილისი სწრაფად იქცა რუსების „გენერალურ შტაბად" და რუსეთის კარიბჭედ სპარსეთისაკენ. ცოტა მოგვიანებით თბილისი გახდა საქართველოს ცენტრი და რუსეთის სამხედრო ბაზა მთელს კავკასიაში. ირან-რუსეთისა და რუსეთ-თურქეთის ომის დასასრულს, თბილისი მთელი კავკასიის დედაქალაქია, ხოლო კავკასია თავის მხრივ — ადმინისტრაციულ რეგიონად ყალიბდება და ტრადიციულ ეკონომიკურ ურთიერთობებს აღადგენს მეზობელ სახელმწიფოებთან. ამრიგად, თბილისი ხდება მნიშვნელოვანი გზაჯვარედინი საქონლისა და მგზავრთა ტრანზიტის თვალსაზრისით მოსკოვსა და თეირანს, სპარსეთსა და დასავლეთს შორის.

რაში გამოიხატებოდა თბილისის საშუამავლო როლი დასავლეთისა და აღმოსავლეთს შორის? რა თვალსაზრისით ითვლებოდა ეს ქალაქი სპარსეთის კარიბჭედ?

ამ კონტექსტში გაიმართა ამა წლის 15 ოქტომბერს პარიზში, სამეცნიერო კვლევების ეროვნული ცენტრის (**CNRS**) ირანული სამყაროს ფილიალის საკონფერენციო დარბაზში საერთაშორისო მრგვალი მაგიდა, რომლის ინიციატორია ჩვენი თანამემამულე, ირანოლოგი და ამჟამად „**Monde Iranien**"-ის ასოცირებული წევრი, ქალბატონი ირინა ნაჭყებია.

კონფერენციის მუშაობაში მონაწილეობდნენ „**CNRS**"-ის, „**INALCO**"-ს (აღმოსავლეთის ენებისა და ცივილიზაციების ეროვნული ინსტიტუტი) და საქართველოს აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის მეცნიერ-მუშაკები ბ. ურკადი, გ. ბერაძე, ფ. ელლიო-ბელიე, ნ. ტერ-ოგანოვი, ტ. ზარკონი, კ. იურევიჩი, კ. ადლი, ბ. გოგუა და სხვები. მრგვალი მაგიდის მონაწილენი შეეხნენ, აგრეთვე, ისეთ თემებს, როგორიცაა „თბილისი — კავკასიის დედაქალაქი, საქართველოს დედაქალაქი?", „არარელიგიური ქართული მხატვრობა XVIII და XIX საუკუნეებში", „ქართულ-რუსული ურთიერთობანი და სპარსეთი XIX საუკუნეში". კონფერენციის დასასრულ უჩვენეს ფილმი „საქართველოს საგანძური".

კონფერენციამ, რომელმაც უამრავი მონაწილე მოიზიდა, კიდევ ერთხელ ცხადყო ის დიდი ინტერესი, რასაც დასავლელი მეცნიერები იჩენენ აღმოსავლური და კერძოდ კი ქართული ცივილიზაციის ისტორიის მიმართ.

ვლადიმერ ზარიძე.
პარიზი.

GEORGIAN MINERAL WATER
BORJOMI
12-08-99
14-20
12-08-99
17-21

საქართველოს შუშისა და მინერალური წყლების კომპანია
GG&MW
Georgian Glass & Mineral Water Co. N. V.
ჩვენ ვზრუნავთ თქვენს ჯანმრთელობაზე
დალიეთ მხოლოდ ნამდვილი ბორჯომი
ტრადიციული შუშისა და
პოლიეთილენის ახალი ბოთლის
თავსახურზე შენახვის ვადის
შემოწმების შემდეგ
ნამდვილი ბორჯომი
პოლიეთილენის
ერთლიტრიან ბოთლებში

თითქმის ნატურიდან

ამირჩიეთ და ბედსა გწევთ

წინასაარჩევნო კამპანია გადამწყვეტ ფაზაში შევიდა. ამასთან დაკავშირებით, ჩვენმა კორესპონდენტმა რამდენიმე კითხვით მიმართა „ხალხის კეთილდღეობისათვის თავგადამკვდარი პარტიის" ლიდერს, თბილისის საკრებულოს თავმჯდომარეობის კანდიდატს ფარსმან ფარსაგიშვილს.

— ბატონო ფარსმან, როგორია თქვენი წინასაარჩევნო განწყობილება?

— გადასარევი. დარწმუნებული ვარ, ამომრჩევლები ერთსულოვნად მომცემენ ხმას, მომდევნო ეტაპზე კი პრეზიდენტადაც ამირჩევენ.

— გაჩნია „თავგადამკვდრები" რა პროგრამის პატრონები ხართ; ახლა, როგორც წესი, პოლიტიკური პარტიები ხალხს თავიანთ პროგრამებს სთავაზობენ.

— ძალიანაც ცდებიან. ხალხს ცხოვრება უნდა და არა პროგრამები. ჩვენი პარტიები კი, მოგეხსენებათ, პროგრამების შედგენას გადაყვნენ და დამშეულ ადამიანებს პრაქტიკულად ვერაფერი მოარგეს. პროგრამები რომ ქვეყნის სამენებლად ვარგოდეს (სხვათა შორის, მარქსსა და ლენინს კომუნიზმის მშენებლობის უნიკალური პროგრამები ჰქონდათ), საბჭოთა კავშირი კაპიტალიზმთან ჭიდილში კი არ ჩაფლავდებოდა!

ჩვენ ეს გავითვალისწინეთ და პირდაპირ მოქმედებაზე გადავედით. არავითარი მაკრო და მიკროეკონომიკური პროგრამები, მთავარია საქმე, რომელიც ხალხს გაჭირვებიდან გამოიყვანს.

— მაინც რის გაკეთებას აპირებთ?

— საყოველთაო კეთილდღეობის საზოგადოების აშენებას. მაგრამ, როგორც უკვე ვთქვი, ყოველივე ამას გავაკეთებთ ულაქლაქოდ და უპროგრამოდ, რაც მთავარია, უმცირესი შრომითი და ფინანსური დანახარჯებით.

— კერძოდ, რით?

— მარტივი მონეტარული პოლიტიკით, რომელსაც დიდი ეკონომიკური გათვლები არ სჭირდება. კომუნისტური პოლიტიკის უმთავრესი შეცდომა ფულის სიჭარბე და საქონლის დეფიციტი იყო. დღეს მეორე უკიდურესობაში გადავცვივდით — ხალხს ფული არა აქვს, მაღაზიები და ბაზრები კი პროდუქციით დაზნექილია (ეს უარესია?). თუ ხალხი ხმას მოგვცემს, ამ უხერხულობას, რამაც ქვეყანა გამოუვალ კრიზისში ჩააგდო, ერთი ხელის მოსმით გამოვასწორებთ.

— როგორ?

— ფულის ემისიაზე გადავალთ, რაც დღემდე არავის გახსენებია. მას მიზერული თანხები სჭირდება, ეფექტი კი საკმაოდ დიდია. რაც მთავარია, ხალხს ფული გაუჩნდება (პირველსავე ეტაპზე პენსია 150 ლარამდე, ხოლო საშუალო ხელფასი 300 ლარამდე გაიზრდება), ბაზარს კი — მომხმარებელი. წახალისდება მეწარმეც და გლეხიც, რომელთა გარჯა ეროვნულ პროდუქციას მოამრავლებს, უცხოურს კი ბაზრიდან განდევნის.

— მერე ინფლაციას რას მოუხერხებთ, ლარს რით გაამაგრებთ?

— თქვენ გგონიათ, რომ დოლარი და მარკა (განებავთ სხვა უცხოური ვალუტა) ლარს ზურგს უმაგრებს? პირიქით, ლარი სწორედ მათთან კონკურენციაში მარცხდება. ჩვენ გზიდან ჩამოვაცილებთ ყველა უცხოურ ვალუტას (საერთოდ, ავკრძალავთ მათ ქვეყნის საბანკო და საბაზრო მიმოქცევაში) და ნახავთ, ლარი საქართველოში როგორ გაბატონდება.

— ეს მართლაც კარგად მოგიფიქრებიათ. კიდევ რა დაპირებას იძლევით?

— რახან ფულის ჭრის ინდუსტრიას განვავითარებთ, პენსიებს და ხელფასებს ყოველკვარტალურად 30 პროცენტით გავადიდებთ, სახელმწიფო და კომერციული ბანკების მეანაბრეთა ვალებს ორ წელიწადში გავისტუმრებთ. ამავე პერიოდში მთლიანად აღვადგენთ დანგრეულ ეროვნულ მეურნეობას, გავაუქმებთ საბაჟო და საგადასახადო სამსახურებს, განვავითარებთ თავისუფალ, უგადასახადო მეწარმეობას.

— ნავთობსადენის მშენებლობას ხომ არ მოაჩერებთ?

— არავითარ შემთხვევაში, მაგრამ მასში კასპიის კი არა, ქუვეითის ნავთობს გავატარებთ. ამით ფინანსურადაც წელში გავიმართებით (ქუვეითი ტრანზიტში აზერბაიჯანზე მეტს იძლევა) და რუსეთის რისხვასაც ავიცილებთ.

— რუსეთთან დაკავშირებით გამახსენდა, აფხაზეთთან ურთიერთობაში რა პოლიტიკას დაადგებით?

— ეს, რაზეც ვისაუბრე, განა თავისთავად პოლიტიკა არ არის? ჩვენს საამურ ცხოვრებას რომ შეხედავენ, აფხაზები და ოსები შემოგვიერთდებიან კი არა, აქეთ შეგვეხვეწებიან.

— თქვენ, როგორც ძირძველ თბილისელსა და პატრიოტს, დედაქალაქელებისთვის ცალკე სიურპრიზი გექნებათ.

— რატომაც არა. პირველ რიგში, მეტროპოლიტენს მივხედავთ — მას საბიუჯეტო კვებაზე გადავიყვანთ, თბილისელებს კი მგზავრობის საფასურისგან გავათავისუფლებთ. წყნეთის, დიდი დიღმისა და ლილოს მიმართულებით გავაგრძელებთ მეტროს ახალი ხაზების მშენებლობას. მოლაპარაკება გვაქვს „თელასის" უცხოელ მეპატრონესთანაც — იგი ამ ზამთარსვე უგრაფიკოდ და უავარიოდ იმუშავებს, დენის საფასურს ყოველწლიურად შეამცირებს და ბოლოს სულაც გააუქმებს.

— კიდევ?

— არ მინდა ყველა ჩანაფიქრი გავამჟღავნო. თუ საქმე კარგად წაგვივიდა, ახლო მომავალში სახელმწიფო ბინათმშენებლობას განვაახლებთ, დედაქალაქში გაზის ქსელსაც აღვადგენთ და ცენტრალურ გათბობასაც.

— ბატონო ფარსმან, ისეთი ეშხით ლაპარაკობთ, კაცს შეიძლება უნებლიედ ცხონებული საბჭოთა კავშირიც კი გაახსენდეს...

— ვფიქრობ, ეს ჩვენს ამომრჩევლებს არ გაანაწყენებს. მით უფრო, რომ განახლებული „საბჭოთა კავშირი" ძველისაგან არსებითად განსხვავებული იქნება. ჩვენ კომუნისტების გულუბრყვილო შეცდომას აღარ გავიმეორებთ — ჯერ კაპიტალიზმს ავაშენებთ (ისინი ფეოდალიზმიდან პირდაპირ სოციალიზმზე გადავიდნენ) და როცა დავრწმუნდებით, რომ მკვიდრად ავაგეთ, მხოლოდ მაშინღა ვიფიქრებთ სოციალიზმზე.

— სწორედ ამაზე იტყვიან, წინა კაცი უკანას ხიდიაო. კომუნისტების შეცდომა რომ არა, არჩევნებში გამარჯვების შანსი დაგეკარგებოდათ!

ოთარ ხუციშვილი.

რეპლიკა

რატომ „მოკლეს" ჟურნალისტებმა დოდო ვადაჭკორია?

რა დააშავა ასეთი? რით დაიმსახურა მათი გულისწყრომა ამ დარბაისელმა, სიკეთითა და სათნოებით აღსავსე მანდილოსანმა, რომელმაც თითქმის ნახევარი საუკუნე ქართველი ბავშვების სულიერების სამსახურში ილვაწა.

წლეულს, იელისში, ცნობილი საბავშვო მწერლის, შიო მღვიმელის პრემიის ლაურეატის დოდო ვადაჭკორიას დაბადებიდან 75 წელი ზეიმით აღნიშნა ქართულმა მწერლობამ, ჟურნალმა „დილამ", საიუბილეო მილოცვებით აჭრელდა ჟურნალ-გაზეთები. „ლიტერატურულმა საქართველომ" — მთელი გვერდი, ხოლო საქართველოს ტელევიზიამ სპეციალური გადაცემა უძღვნა მას.

და აი, 6 აგვისტოს „ახალმა ქართულმა გაზეთმა" მკითხველს აუწყა — იელისში გარდაიცვალნენ მწერლები გიორგი ნატროშვილი და დოდო ვადაჭკორიაო. ამ „სასხვათაშორისო" ინფორმაციამ თავზარი დასცა შვილებს, შვილიშვილებს (რომლებიც წინა ღამით დაშორდნენ „გარდაცვლილს"), ნაცნობ-მეგობრებს, კოლეგებს, ატყდა ტელეფონების ზარის წკრიალი. ამგვარი მორალური ზარალის მიყენება უცხოელ ჟურნალისტებს მამასისხლად უჯდებათ, „ახალი ქართული გაზეთის" წარმომადგენლებმა კი სიტყვიერი „ბოდიში" იკმარეს.

დაუდევრად, უგულოდ და უპასუხისმგებლოდ მოქნეული კალმის მსხვერპლის — დოდო ვადაჭკორიას „რეანიმაცია", ალბათ, იმავე გაზეთს უნდა აეღო თავის თავზე, მაგრამ...

ღვაწლმოსილი ქალბატონი დღემდე ამაოდ ელის „ახალი ქართული გაზეთის" ყოველი ნომრის გამოსვლას და გულწრფელად სჯერა, რომ ეს გაზეთი თავის ფურცლებზე მას თუ არა, მისი საბავშვო მოთხრობის რამდენიმე გმირს მაინც გააცოცხლებს და ამით მიაგებს ღირსეულ პატივს საბავშვო მწერლობის სამსახურში განვლილ იმ ხანგრძლივ და ნაყოფიერ გზას, რომელსაც ჩვეული შემართებით კვლავაც აგრძელებს.

ლეილა კოშკაძე.

EVRIKA
განახლებული რადიო
Fm 100.3
ევრიკა

სს „ბია" იწვევს სს-ის აქციონერებს მორიგ საერთო კრებაზე, რომელიც გაიმართება 1998 წლის 30 ნოემბერს დღის 12 საათზე, აბელედიანის ქ. №3-ში.
დღის წესრიგი:
სს-ის წესდების ცვლილებები:
1. საწესდებო კაპიტალის გაზრდის შესახებ;
2. სააქციო სახელწოდების შეცვლის შესახებ.
დღის წესრიგის საკითხებთან დაკავშირებით დაწვრილებითი ინფორმაციის მიღება შეიძლება სააქციო საზოგადოება „ბიას" დირექციაში.
სს დირექტორატი.

ხსოვნა

მიხეილ ბახტაძე



80 წლის ასაკში გარდაიცვალა ქართული ხალხური ცეკვის ამაგდარი, ხელოვნების დამსახურებული მოღვაწე, ღირსების ორდენის კავალერი **მიხეილ იოსების ძე ბახტაძე.**

გარდაიცვალა ქართული ცეკვის მემატიანე, ამაგდარი კაცი, რომელმაც დიდი ღვაწლი დასდო ქართულ ხალხურ საშემსრულებლო ხელოვნებას. 39 წელიწადი ედგა სათავეში რკინიგზელთა სახლს. ქორეოგრაფთა მრავალი თაობა აღზარდა. მისი აღზრდილები ამშვენებდნენ და ამშვენებენ საქართველოს საუკეთესო ანსამბლებს. მთელი სიცოცხლე ელოლიავებოდა და ხვეწდა არა მარტო თითოეულ ილეთს, არამედ თითოეული შემსრულებლის სულსაც, მხოლოდ ცეკვას როდი ასწავლიდა, არამედ იმ რაინდობას, სიწმინდეს, სიყვარულსა და სითბოს უნერგავდა გარშემომყოფთ, რომლითაც ასე იყო გაჟღენთილი მისი პიროვნება.

გარდაიცვალა მზიანი ღიმილის მქონე კეთილი კაცი, ქართული სუფრისა და ლხინის დიდად მოყვარული. არანაირი სიმდიდრე არ შეუძენია თავისი ხანგრძლივი ცხოვრების მანძილზე, გარდა ხალხის, მეგობრებისა და ნათესავების უდიდესი სიყვარულისა. თავის უკანასკნელ გზაზე მრავალთა გულწრფელი სევდა და ცრემლი გააცილებს ამ ღირსეულ ადამიანს.

**საქართველოს კულტურის სამინისტრო,
საქართველოს ქორეოგრაფიის მოღვაწეთა კავშირი,
საქართველოს რკინიგზელთა კულტურის ცენტრი,
საქართველოს რკინიგზელთა და სატრანსპორტო მშენებელთა დამოუკიდებელი პროფესიული კავშირი.**



მეუღლე იდა კაპანაძე, შვილი ანზორ, შვილიშვილები მარიამ, ანა ხარაიშვილები, რძალი ელიკო მეგრელაძე იუწყებიან, როგმ გარდაიცვალა

პეტრე ელიზერის ძე ხარაიშვილი

პანაშვიდი 12, 13 XI 3 სთ-ზე გამოსვენება 14 XI 2 სთ-ზე, ვაჟა-ფშაველას გამზირი I შესახვევი № 3, I სადარბაზო, ბინა № 15.

ალ. წულუკიძის სახელობის უროლოგიის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის თანამშრომლები ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა ბიოქიმიის ლაბორატორიის ხელმძღვანელი, მედიცინის მეცნიერებათა კანდიდატი

ნაზირა ალექსანდრეს ასული პაპავა

და თანაგრძნობას უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.



საქართველოს საავტომობილო გზების სახელმწიფო დეპარტამენტი და ინსტიტუტი „საქგზამეცნიერება" ღრმა მწუხარებით იუწყებიან, რომ გარდაიცვალა საგზაო სისტემის ღვაწლმოსილი მუშაკი, სოხუმის საგზაო სამმართველოს ლაბორატორიის ინჟინერი, [illegible] ქალბატონი

მზისადარ (მზია) [illegible] ასული [illegible]

და სამძიმარს უცხადებენ განსვენებულის ოჯახს.

დაკრძალვა 14 XI 2 სთ. ქ. [illegible], [illegible] ქ. № 74.

რედაქციის მიერ შეუკვეთავი მასალების პუბლიკაციისთვის ჰონორარი არ გაიცემა.

საქართველოს რესპუბლიკა
САКАРТВЕЛОС РЕСПУБЛИКА
SAKARTVELOS RESPUBLIKA
გამომცემელი - შპს „პრესა-98"

სარედაქციო კოლეგია: არმაზ სანებლიძე (მთავარი რედაქტორი), [illegible] აბაშიძე, ალეკო ასლანიშვილი, ნანული ბარათაშვილი, ანზორ ბასილაია, ზურაბ ზოზიაშვილი, რუსუდან ლორთქიფანიძე, არჩილ მანჯგალაძე, ბონდო მძინარიშვილი, რუსლან რუსია, სპარტაკ ქობულია, მიხეილ ჭკუასელი, ბადრი ხატიძე, ოთარ ხუციშვილი.

დამფუძნებლები - „საქართველოს რესპუბლიკის" ჟურნალისტები

ნომრის მორიგე რედაქტორი სპარტაკ ქობულია.

ინდექსი 66434

რედაქციის მისამართი: 380096, თბილისი, მ. კოსტავას ქ. №14.
ტელ: 99-73-24.
სარეკლამო განყოფილება — ტელ: 93-28-13.
იბეჭდება გამომცემლობა „კოლორში", რკინიგზის ჩიხი 20.